

917722981095006




საზოგადოებრივ-ლიტერატურული ქარაილი

პერიდი


ფასი 3 ლარი

1134
2022



ლიტერატურული
პრემია

5 (305) 2022



სარჩევი



საბა - 20	1	“საბა” თბილისის კატაკომბებიდან ამოვიდა, როგორც ღრუბელი, როგორც ღრუბელი... ინტერვიუ რატი ამალაბელთან ესაუბრა ლექსო დორეული
	5	“საბას” დასაწყისის განცდა - დებიუტის ამბები მოამზადა თაკო წულაია
	10	“ჩვენ უნდა დავაღწიოთ თავი მსხვერპლის როლს” - ინტერვიუ მაია ბადრიძესთან ესაუბრა გუგა მგელაძე
	15	გუგა მგელაძე ლიტერატურული პრემია “საბა 2022”-ის მოკლე სიის მიმოხილვა
	20	ირინა ჯავახაძე: პრემია “საბა” და აპლიკაცია ერთობლივად აძლიერებენ ერთ ბრენდს ესაუბრა კესო უძილაური
პორტრეტი	22	ნანა კობაიძე მანანა ლარიბაშვილი - წმინდა ლირიკის მთარგმნელი
პოეზია	28	ლია სტურუა
თარგმანი	32	რობერტ ფროსტი ლექსები ინგლისურიდან თარგმნა მდედა ზაალიშვილმა
ესე	39	მალხაზ ხარბედია შეთხზული “მე” - მწერალი და ავტობიოგრაფია
რეცენზია	47	შოთა იათაშვილი კომიკურობა და პარადოქსულობა, როგორც ენდი უორჰოლის სტრატეგია

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
“არილის” ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine “Ariili”

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალაბელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდვილის

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ძართული ლიტერატურის მარილი

ხალხურ

ელექტრონული ფოსტა: info@ariilimag.ge
ვებგვერდი: ariilimag.ge

AriiliMagazine

გამოდის 1993 წლიდან


© ყურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება “არილის” რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ყურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



“საბა” თბილისის კატაკომბებიდან ამოვიდა, როგორც იდეა, როგორც ღირებულება...

ინტერვიუ რატი ამალღობელთან
 ესაუბრა ლექსო დორელი



- მოდი, 20 წლის წინანდელ ლიტერატურულ სინამდვილეში გადავინაცვლოთ. საბას შექმნის სურვილი სწორედ მაშინ დაიბადა. ვინ იყავით ამ იდეის სათავეებთან? როგორ გაჩნდა პრემიის დარსების იდეა და როგორ შექმლით მისი სისრულეში მოყვანა? რა გამოხმაურება მოჰყვა ამ წამოწყებას ლიტერატურული წრეებიდან?

- 90-იანი წლების ბოლოს ლიტერატურული სარდაფი მნიშვნელოვანი ადგილი იყო ახალგაზრდა მწერლებისა და მკითხველებისათვის. აქ, ახალ თაობასთან მოდიოდნენ კლასიკოსები: ვახუშტი კოტეტიშვილი, მიხეილ ქვლივიძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ დონანაშვილი. მაშინ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ცოცხალი შეხვედრები და ტექსტების ცოცხალი კითხვა. მკითხველთან ურთიერთობის ამგვარი ფორმატი ძალიან ახალი იყო და, იმავდროულად, ორგანულიც. ამ შეხვედრების ორგანიზებაში ბევრი ადამიანი მონაწილეობდა: რეჟისორი დათო ჯანელიძე, მუსიკოსი დათო ევგენიძე, მწერლებიდან - დათო ტურაშვილი, ზალიკო სამადაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, ლა-

შა ბულაძე და მე. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ “საბა” რეალურად 90-იანების სარდაფიდან, შეგვიძლია ვთქვათ, თბილისის კატაკომბებიდან ამოვიდა, როგორც იდეა, როგორც ღირებულება, როგორც ერთგვარი სულისკვეთება. მაშინ სარდაფის ზემოთ, დღის სინათლეზე ლიტერატურული პროცესები სულ სხვაგვარი იყო. ათასჯერ გატკეპნილი, მჭავანძისდროინდელი სკოლის სახელმძღვანელოებიდან ამოღებული საზეპიროსავით დაზუთხული, მეერ მრავალგზის შელახული და გაცვეთილი (აქ მკაფიოდ ხაზს ვუსვამ ლიტერატურულ პროცესებს და არ ვგულისხმობ მხატვრულ ნაწარმოებებს). ქართულ ლიტერატურას მკერდზე ორდენებს მაშინდელი მთავრობა ჰკიდებდა. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, შევარდნაძის ხანდაზმული ნომენკლატურა და ქართული ლიტერატურა ერთმანეთს ისე შეეთვისა, რომ რთული იყო გაგერჩია მწერალთა კავშირის მოხელე და მთავრობის “აპარტჩიკი”. არსობრივად ისინი ერთ სისტემას ქმნიდნენ და წარმოადგენდნენ. მაშინ ჩვენი მიზანი იყო ლიტერატურის შეფასების პრივილეგია ხელისუფლებისთვის ჩამოგვეერთმია, ვფიქრობდით, რომ ეს არა ძალაუფ-



ლების მქონეთა საქმე, არამედ თავად ამ საეროში მყოფთა უფლება და პასუხისმგებლობა იყო. საამისოდ მოვიფიქრეთ ლიტერატურული კონკურსის კონცეფცია და კერძო ფინანსების მოსაძიებლად ჩვენს მეგობარს, მამუკა ხაზარაძეს მივმართეთ. მამუკამ იდეა ელვისებურად აიტაცა და მაშინდელი რუსეთის 2-ის ხელმძღვანელს, ეროსი კინმარიშვილს დაურეკა. მეორე დღეს შეხვდით. ეროსის და მამუკას ინიციატივით მომავალ ლიტერატურულ პროექტს უკვე თიბისი ბანკთან ერთად შედგა პოლიტიკა "რუსთავი 2" ედგა მხარში. ეს კი უკვე "საბას" განვითარებისა და მდგრადობისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო. "საბას" გარშემო ლიტერატურულ წრეებში გამოხმაურება საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო, დიანრა წერილები, ბევრი გვემიჯნებოდა, გახმოვანდა არაერთი "შეთქმულითის თერია", ახლა რომ ვისხვებ, სრულიად შლეგური და ფანტასმაგორიული. მამუკა და მე ვხვდებოდით მწერლებს, ვაცნობდით ჩვენს იდეას. შეხვედით თთარ და თამაზ ჭოლაძეებს, თამაზ ჩხენკელს, ნოდარ კაკაბაძეს, დავით წერეთლს, ვახუშტი კოტეტიშვილს, ზურაბ კიკნაძეს. მათგან უპირობო და მძლავრი მხარდაჭერა ვიგრძენით, ეს დაუფიქარი შეხვედრები იყო, ზოგჯერ მწერლებთან სახლში, ხშირად კი სუფრასთან.

- "საბა" საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. 20 წელი - ეს უკვე ისტორიაა. საბოლოოდ, როგორ შეიძლება შეფასდეს "საბას" გავლენა მიმდინარე ლიტერატურულ პროცესზე? მსმენია, რომ ზოგჯერ ავტორები სწორედ "საბასთვის" წერენ და გამოსცემენ ნივთებს. რეალურად, შეიძლება ამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ლიტერატურულ პროცესს, რომ მან განახლებოს ლიტერატურული ცხოვრება ესთეტიკის, დისკურსის, შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით?

- "საბა" რომ უკვე ასეთი ახლობელია ბევრისთვის, ეს მართლაც დიდი და გააზრებული შრომის შედეგია. მრავალი იმედის მოცემი ინიციატივა გვიანხავს უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, თუმცა მაღლევი ჩამქრალა და მივიწყებულა.

ფეხქობ, "საბას" მდგრადობის საიდუმლო იმასა, რომ ის თავისი არსით და კონცეფციით არანაირ კონიუნქტურაზე არაა მორგებული. მრავალი ბრძოლების მიუხედავად, იგი არცერთი სოციალური თუ ლიტერატურული ჯგუფის კერძო ინტერესს არ გამოხატავს. მე დიდად არ მიყვარს ციფრები და სტატისტიკა, თუმცა როცა საქმე განვილი 20 წელს ეხება, ციფრები ზუსტად და მოეკიდობელი ანალიზის საშუალებებს გვაძლევს. მისი სტორიების მანძილზე "საბას" თეორიში 90-მა ადამიანმა იმუშავა, რაც გულისხმობს ყოველ წელს 90%-ით განახლებულ თეორიას. თავად პრემია 200-ჯერ გაიკა 150 ავტორზე, აქედან ზოგმა ერთხელ აიღო, ზოგმა არამედ-ჯერმე. დამეთანხმებით, სეკტიკური თვალისთვი-საც შთამბეჭქდავი მასშტაბია. საქართველოში არ მეგულდება მსგავსი მოცულობის არათუ ლიტერატურული, არამედ სხვა სხელოვნებო ტიპის აქტივობა.

თუმცა "საბას" მე ერთგვარ სტიმულად, ლიტერატურული პროცესების მაპროვოცირებლად უფ-

რო აღვიქვამ, ვიდრე მის განმსაზღვრელად.


- რამდენად შეიცვალა საბამ თავისი ისტორიის მანძილზე მიზნები და ამოცანები? თუ თავის თავდაპირველი წინაფიქრისა და სულისკვეთების ერთგული დარჩა? რა იყო ის სირთულე, რასთან ადაპტირება და გამკლავებაც უწევდა მას?

- რასაკვირველია, ფორმები იცვლება და იხვეწება, თუმცა მიზანი თავდაპირველია, ესაა ლიტერატურის, როგორც სოციალური და შემოქმედებითი სფეროს მაქსიმალური თავისუფლება ან დღეს უკვე ასეც შეიძლება ითქვას - საქართველოში თავისუფალი, თანამედროვე ლიტერატურის ხელშეწყობა და განვითარება. ამავე დროს, ხშირად დგება მომენტი, როდესაც არსებული მონაპოვარი უნდა დაიცვა. წარმოიდგინეთ, დღეს რომ მართო ნულუკაის კულტურის სამინისტროს კულტურის პოლიტიკისა და "ლოტ. პრემიების" ანაბარა იყოს თანამედროვე ქართული ლიტერატურა. აღარ გავაგრძელებ "საბა" წლებია, ქმნის და მყარად იცავს ლიტერატურაში თავისუფლების მაღალ სტანდარტს, რომელსაც ველარანარი ხელისუფლება ვეღარ დასცემს ძირს, დიდი სურვილისა და ფაფხურის მიუხედავად.

- უკვე დიდი ხანია, "საბას" პრემია იქცა ერთ-ერთ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვან მარკერად ლიტერატურის შეფასებისათვის. ვითხვლობენ და აღიარებენ იმ ნივთებს, რომლებსაც "საბა" გამოარჩევს, ტექსტს, რომელიც პრემიის თვალსაწიერის მიღმა დარჩება კი, დიდი ალბათობით, უყურადღებობისთვის არის განწინრული. როგორ გგონიათ, რისი წყალობით მოიპოვა "საბამ" ასეთი, თუ გაზვიადებული არ იქნება ეს სიტყვა - "ძალაუფლება" თანამედროვე ლიტერატურასთან მიმართებით და რა ამოცანების, პასუხისმგებლობის წინაშე გაყენებთ ეს "ძალაუფლება"?

- პასუხისმგებლობა მართლაც დიდია. ამ გზაზე შეცდომებიც ყოფილა, თუმცა არა ისეთი, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის "საბას" არსებობით მოტანილი სიკეთები ეჭვქვეშ დაეყენებინა. მე მნამს, რომ ყველა კარგ ნივთს საკუთარი ბიოგრაფია გააჩნია, ზოგი ათასწლეულები ცხოვრობს, ზოგი ეკვდრადმობილია. "საბას" თუ კარგი ტექსტი გამოჩნდა, არა მგონია, ის ამის გამო წაუკითხავი დარჩეს. მაგალითად, 2003 წელს თეორიში აკა მორჩილას "შენი თავგადასავალი" დაავილოდოვა წლის საუკეთესო რომანში. იქვე, საფინანსო სიაში იყო ზაირა არსენიშვილის საოცარი ტექსტი "ვა, სოფელო", დღეს ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ "საბას" აუღებლობამ რამე დააკლი ამ ტექსტს, ვერც იმის მტიკავებს შეუფდებობი, რომ აკა მორჩილას "შენი თავგადასავალი" მაშინდელი თეორის ახირება იყო და ეს ტექსტი ჩვენს ლიტერატურულ ქრესტო-მათიას არ დარჩება, ვფიქრობ, რომ პირიქით. ასეთ თემებზე პოლემიკა და დისკუსია კი მართლაც მნიშვნელოვანია, რომლის შესაძლებლობასაც "საბას" არსებობა ნამდვილად იძლევა.

- რა პრინციპებით და კრიტერიუმებით ხელმძღვანელობთ ხოლმე თეორის ნეკრების შერჩე-



ვისას? და როგორია მათი მუშაობის პროცესში თქვენი, ორგანიზატორების ჩართულობა? თუ იღებთ მონაწილეობას თუნდაც ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის ნომინაციის განხილვაში?

- მიშვენლოვანია ჟიურის წევრების ყოველწლიური როტაცია, ასევე, წევრთა შორის უანრული და გენდერული ბალანსის დაცვა, რაც საქმეს მრავალმხრივ აართულებს. ყველა არაა მზად ფინალურ სიაში ვერ მოხვედრილი ავტორების ლანძღვა-გინება იტყანოს, რადგან არიან ავტორები, რომლებიც ლიტერატურულ პოლემიკას პირდაპირ დედის გინებას ამჯობნიებენ. ჩვენი, ორგანიზატორების უპირველესი ამოცანაა ჟიურის საქმიანობის ხელშეწყობა, მათი საკონკურსო წიგნებით აღჭურვა, შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება, მათთვის კონკურსის წესების გაცნობა და პროცესის მოდერაცია. ორგანიზატორებმა შესაძლოა ჟიურისთან ერთად იმსჯელონ "ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის" კანდიდატებზე, რაც რეკომენდაციის ფორმატს არასდროს გაცდენია, საბოლოო გადაწყვეტილებას, ბუნებრივია, ჟიური იღებს.

- მიუხედავად იმისა, რომ, ალბათ, თქვენი ჩანაფიქრით, "საბა" ის პრემიაა, რომელიც ყველასთვისაა და რომლის კარიც ყველა ავტორისთვისაა, მაინც რჩება მის მიღმა ჩვენი ლიტერატურის გარკვეული ნაწილი. მაგალითად, მწერალთა კავშირი სრულიად ალტერნატიული სამყაროა თავისი პრემიებითა და ჯილდოებით. ვასაგებია, რომ კონკურსის დაბეჭდვა მონაწილეობას არავის უკრძალავს, მაგრამ მაინც თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ "საბა" მთელ თანამედროვე ლიტერატურას ბოლომდე ვერ მოიცავს და მის მიღმა რჩებიან გარკვეული ლიტერატურული ჯგუფები? ამას პრემია ასევედწყვეტობენ ხოლმე.

- ვფიქრობ, რომ "საბა" მიშვენლოვანად მოიცავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. არა მგონია, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ტექსტები "საბასგან" შორს, სადმე განცალკევებით განიხილებოდეს და ისინი "საბაზე" არ იყვნენ წარდგენილნი, თითზე ჩამოსათვლელი

გამონაკლისების გარდა.

- ვინ არიან ის ადამიანები, ვინც "საბას" ქმნიან? ვინ იყვნენ და არიან წლების მანძილზე პრემიის საორგანიზაციო გუნდის წევრები და როგორია მათი ფუნქციები?

- 2002 დან 2018 წლამდე "საბას" ორგანიზებაში ჩართული იყო მაია ძირკველიშვილი, შეიძლება ითქვას, "საბა" მის ხელში გაიზარდა და ფეხიც მაიკოს მზრუნველობის ქვეშ აიღვა. 2018 წლიდან პრემია "საბას" დირექტორია ირინა ჯავახაძე. ირინასთან ერთად პრემია იზრდება და კიდევ უფრო ვითარდება. ირინა ასევე ხელმძღვანელობს "საბას ელექტრონული წიგნების სახლს", სადაც უამრავ ელექტრონულ წიგნთან ერთად მრავალი ხმოვანი წიგნიცაა განთავსებული. ორივე პლატფორმა- "საბას" პრემია და "საბას" ელექტრონული ბიბლიოთეკა - ერთმანეთს ავსებს, ავითარებს. ირინას, გუნდთან ერთად გადამწყვეტი როლი აქვს ამ საქმეში.

მიღმა ვისარგებლო და მაღლობა ვუთხრა "საბას" მთელ გუნდს ამისთვის: ირინა ჯავახაძეს, ნატა ფვანიას, დიანა ანფიმიადის, სალომე მჭედლიძეს, გიორგი ჯანჯღავას, ბექა შწირულს, ანასტასია ჯღარკავას, ნიკა ბერიძეს, თაკო ტურაშვილს, კომპანია "ლივინგსტონის გუნდს" "საბას" შესანიშნავი აპლიკაციისთვის. აქვე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ "თიბისი", რომელიც "საბას" სახით მეოცე წელია უწყობანოდ გვერდში უდგას თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანეს პროცესს. განსაკუთრებული მაღლობა ვიზობუცხრიკიძეს, ნინო ევაძეს, მამო სამამდაშვილს, მარი ლორთქიფანიძეს და, რასაკვირველია, ცალკე მამუკა ხაზარაძეს, რომლის გარეშეც "საბა" არ იქნებოდა.

- შეგიძლიათ გაიხსენოთ რომელიმე ავტორის განსაკუთრებული ემოცია "საბას" მიღებასთან დაკავშირებით? ვისთვის აღმოჩნდა ჯილდოს გადაცემა უცნაური, განსაკუთრებულად ემოციური და მოულოდნელი?

- პანდემიის გამო განსაკუთრებული იყო ბოლო ორი წელი, ცნობილ მიზეზთა გამო "საბამ" შეიცვა-

ლა ფორმატი. რის გამოც, ამ 2 წლის მანძილზე უკლებლივ ყველა ლაურეატის ტყუილითა და სხვადასხვა ხრიკებითა თუ ფედერატივით ვაჭობსოხობა და პრემიის გადაცემა მოგვიწია. სისარული და რეაქციები მართლაც განსაკუთრებული და დაუფინყარი იყო. მე გივი შაშნაზარს ვაგვისსენებდი. პრემიის გადაცემის დროს, მთელი გადამღები ჯგუფი სისარულის ცრემლებით აზლუქუნდა, მათ შორის, ჩვენი უდრეკი, ყოვლის მნახველი და ცხოვრებისგან შექმნილი ნეიტრალურობით გამორჩეული ოპერატორებიც.

- ნლებია, საბას კრიტიკოსებიცა და კეთილისმუსრველებიც ითხოვენ, რომ საზოგადოების ინტერესი და ცნობისმოყვარეობა უფრო მეტად დააკმაყოფილონ ჟიურის წევრებმა. იმისთვის, რომ ტექსტებზე მსჯელობის, განხილვის, რეჟექსიის სპროცესს პიძგი მიეცეს, იქნებ მართლაც საჭიროა, ჟიურის წევრებმა აიღონ პასუხისმგებლობა და კონკურსის შედეგებზე მეტი ისაუბრონ გარკვეული არხებით? მაგალითად, როგორც ეს დათო გაბუნიაშ გააკეთა ნელს "არილთან" ინტერვიუში. კარგი იქნება, თუ ისინი საჯაროდ ისაუბრებდნენ საკუთარ შეხედულებებზე, განწყობებზე, ერთობლივი დისკუსიის შედეგებზე... ეს, ვფიქრობ, ძალიან ნაადგებოდა ლიტერატურულ პროცესს...

- გეთანხმებით, ეს მართლაც ძალიან კარგი და გამორჩეული იყო, რაც დათომ გააკეთა, მაგალითის მიმცემი, სწორი პრეცედენტი. იმედია, მას სხვებიც მიბაძავენ.

- რამდენად ხშირად ხდება, როცა პირადად თქვენ ჟიურის გადაწყვეტილებებს არ ეთანხმებით? ხომ არ გაიხსენებდით, თუნდაც ერთ სახასიათო შემთხვევას?

- მსგავსი რამ ძალიან ბევრჯერ მომხდარა და ეს ასეც უნდა იყოს, პრემია არაფრით არ უნდა ჰგავდეს ორგანიზატორის ლიტერატურულ გემოვნებას. თავიდან უცნაური იყო ამის გაზარება; ვფიქრობდები, რომ უსამართლობასთან გვაქვს საქმე. როდესაც ადამიანს რამე მოსწონს და ისე არ ხდება, როგორც ეს მას წარმოუდგენია, ყოველთვის ფიქრობს, რომ აქ უსამართლობას ჰქონდა ადგილი, თუმცა ძალიან მალევე მივხვდი, თითქმის პროცესის პარალელურად, რომ უნდა გავხედო ჟიურის მუშაობაში სრულყოფილ უმნიშვნელო ფიგურას. როგორც ლიტერატორს, პოეტს, საკუთარი აზრის მქონე ადამიანს მთლიანად უკან უნდა გამეზო საკუთარი თავი და ეს მართლაც საინტერესო გამოცდილება იყო. ერთია, როცა ამას გარკვეული ახასი ადამიანი ცოდნითა და გამოცდილებით აკეთებს, ხოლო მეორე, როცა სრულიად ახალგაზრდა დგები მსგავსი გამოწვევის წინაშე.

ახლა რომ ვფიქრობ, ზედმეტი კეკლუცობის გარეშე, მიმაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი გამოცდილება და მონაპოვარია, როგორც ჩემთვის, ისე "საბასთვის".

- 20 წლიანი ციკლი დასრულდა და პრემია განვითარების ახალ გზებს, ფორმებს უნდა ეძებდეს.

თუ აპირებთ რამე სიახლის დანერგვას? ან ახალი ნომინაციის დამატებას? ხშირად მომისმენია გულდაწყვეტა იმასთან დაკავშირებით, რომ პრემია არ გადაცემა საბავშვო ლიტერატურის ნომინაციაში. ამ საკითხზე რა აზრის ხართ?

- საბავშვო "საბაზე" ბევრი გვიფიქრია, ძალიან კარგი კონცეფციაც გვაქვს

ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, არსებულ ნაწარმოებებში კი არ უნდა გავცეთ პრემია, არამედ ახალი საბავშვო ლიტერატურის შექმნას უნდა შევეწყობო ხელი. თემები და მიმართულებები წინასწარ უნდა გამოცხადდეს და საგრანტო სისტემით დაფინანსდეს და ასე ნახალისდეს სრულიად ახალი საბავშვო ლიტერატურის შექმნის პროცესი. საამისოდ ბევრი მოსაზრადებელი საშუაო გავნიეთ, მაგრამ ხან სამედიკოლომა, ხან კი ადვოკატივმა პრობლემებმა ბევრჯერ შეგაფერხა. იმედი გვაქვს, ამ კუთხითაც მალე გვექცნება სიახლეები.

- როგორი იქნება წლევანდელი საიუბილეო საბა? რამე სიურპრიზს ხომ არ უშადადებთ მკითხველს? როგორ აპირებთ ამ თარიღის აღნიშვნას?

- რალაც ადგილებში, რალაც ნერტილებზე ხანდახან საჭიროა დაბრუნება, ამგვარი დაბრუნება, ჰომეროსიდან მოყოლებული, ლიტერატურასაც უყვარს. 20 წლის წინ ჩვენ მთანმინდაზე, ძველი ფუნისკულიორის ზედა სადგურზე, ნანგრევებში ვაგხსენით "საბა". ნელს ჩვენ მთანმინდაზე დაგვრუნდებით. არ ვადავჯარბებ, თუ ვიტყვი, რომ "საბასთვის" მთანმინდა ითაკასავით არის და ჩვენც, ზუსტად რომ, 20 წლის მეერ ვბრუნდებით ჩვენს ითაკაზე.

- გვიხარია, რომ ნელს "საბასა" და "არილის" ინტენსიური თანამშრომლობა შედგა. ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია, ერთობლივი ძალებით უფრო მეტი ადამიანი დავაინტერესოთ ლიტერატურით. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში კონკურსის შედეგების უფრო ფუნდამენტურად განხილვის, შეფასების და დისკუსიის წამოწყების საშუალება მოგვეცემა. რას ფიქრობთ ამაზე?..

- "არილი" მიყვარს, დასაბუთებული ეჭვი მაქვს - ეს სიყვარული ობიექტურია და ორმხრივი, ჩემი პირელი ლექსები და დაბეჭდა 1995 წელს. ჩემთვის "საბას" მსგავსად, თანამედროვე ქართული ლიტერატურა და მისი განვითარების დინამიკა "არილს" უკავშირდება. არც ისაა შემთხვევითი, რომ "საბას" პირველივე რაუნის შემადგენლობაში ამ გამოცემის მაშინდელ ერთგულ ავტორებთან; ზურაბ კიკნაძესთან, ნოდარ კაკაბაძესთან, თამაზ ჩხენკელთან ერთად - "არილის" რედაქტორი, მალაზხარებელი იყო. ასე რი, ჩემთვის "საბას" და "არილის" თანამშრომლობა, სრულიად ბუნებრივი და ორმაგად სასიხარულო ამბავია. მომავალი თანამშრომლობის წინასწარსა და ფორმებს ალბათ "არილის" მკითხველს თავად იხილავს.

“საბას” დასაწყისის განცდა - დებიუტის ამბები

მოამზადა თაკო წულაიამ



პრემია “საბა” ოცი წლისაა. წელს მეოცედ გამოვლინდება “წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი” გამარჯვებული. ეს ნომინაცია, ერთი მხრივ, დიდი სტიმულია ავტორებისთვის, მეორე მხრივ, მკითხველის შემზადებაა სიახლეებისთვის და განსაკუთრებულ მოლოდინებსაც აჩენს. ამიტომაც ამ ნომინაციაში გამარჯვებულის შერჩევა საპასუხისმგებლო საქმეა: ყიურის წევრებმა ავტორების პოტენციალი უნდა ამოიცნონ და მათი ლიტერატურული მომავალი განჭვრიტონ. ამ ამოცანას დღემდე წარმატებით რომ ართმევენ თავს, ამას “დებიუტის” გამარჯვებულების პრემიის მიღების შემდგომი გზა და შემოქმედებითი განვითარება მოწმობს. მათი უმრავლესობა დღეს ქართული ლიტერატურული სივრცის განუყოფელი ნაწილია და “საბას” არაერთი სხვა ნომინაციის გამარჯვებულიც.

რაც შეეხება საიუბილეო “საბას”, წელს რჩეულ დებიუტანტთა ჩამონათვალი არა მარტო ძალიან მრავალფეროვანი, არამედ საკმაოდ ვრცელიცაა. იშვიათად ყოფილა მოკლე სია ასეთი გრძელი (უფრო ზუსტად, მხოლოდ 2012-2013 წლებში, როცა ასევე 9 დებიუტანტი ავტორი იყო ნომინირებული). წლევეანდელი პრემიის განსაკუთრებულობაზე ისიც მიანიშნებს, რომ საიში პროზაული და პოეტური კრებულები, სტილისტურად და თემატურად განსხვავებული რომანები, თარგმანი და დოკუმენტური პროზა მოხვდა. წლევეანდელმა დებიუტმა თითქმის ყველა ძირითადი ლიტერატურული ჟანრი მოიცვა. საკმარისია, თვალი გადავაგლოთ ნომინანტთა ტექსტებს, მაშინვე ცხადი გახდება, რამდენად რთული გადაწყვეტილების მიღება მოუწევს “საბას” ყიურის და ისიც, რომ ასეთი ექვექტიზმიანდ გამოიმდინარე, თანა-

მედროვე ქართული ლიტერატურის მკითხველს ძალიან გაუმართლა.

“არილი” გთავაზობთ ინტერვიუებს “წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტის” ნომინაციაში წარდგენილ ავტორებთან:

კოკა ქამუშაძე - “ბალა(ნ)და”

ნიგნი თქვენი პირადი გამოცდილების შესახებ, შესაბამისად, წერისას მოგიწევდათ ამბების გადარჩევა, რომელი მათგანის მოყოლა იქნებოდა ღირებული და რომლის - არა. რა პრინციპით იხელმძღვანელებთ ამ პროცესში, რა გამოარჩევს კონკრეტულ ამბებს (რომლებზეც დაწერეთ) დანარჩენებისგან? როგორი რეალობა გამოდგება, თქვენი დაკვირვებით, ლიტერატურად ქცევისთვის?

კ. ქ.: ნიგნში მოყოლილი ამბავი პირად გამოცდილებას ეფუძნება, თუმცა, უფრო მეტად მხატვრულია, ვიდრე დოკუმენტური. ამბების ნაწილი, რომლებსაც ტექსტში ვხვდებით, რეალურად მოხდა, ნაწილი კი მთლიანად ჩემ მიერ არის გამოგონილი.

რაც შეეხება იმ რეალურ ისტორიებს, რომლებიც ციხეში გადახდა ან მოვისმინე, ასეთი ფილტრი მივუყენე: რამდენად საინტერესო იქნებოდა ეს ამბავი სრულიად უცხო ადამიანისთვის, რომელსაც საერთოდ შეხება არ ჰქონია საპატიმრო სისტემასთან. ასევე მნიშვნელოვანი იყო გადარჩევისას, რამდენად სწორად ჩაჯდებოდა ეს ამბები ნაწარმოების მთლიან დრამატურგიაში. კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც დამეხმარა, იყო თავად ამ რეალური ამბების პოტენციალი, ქცეულიყო მხატვრულად. ბევრ ამბავს სჭირდება ცოტა ხელის შევლება-შელამაზება, მასშტაბის მიცემა, დრამატიზება. ზოგი ამბავი ამას იტანს, ზოგიც - ვერა, ამიტომ რომანში ისეთები მოხვდა, რომლებსაც, ასე ვთქვათ, გაზრდის პოტენციალი ჰქონდა.

რას ნიშნავს თქვენთვის “საბას” ფინალისტობა?

კ. ქ.: საბას ფინალისტობა, პირველ რიგში, არის ობიექტური მკითხველის მიერ დადასტურება იმისა, რომ თურმე მართლაც არ დაგინერია ცუდი ნიგნი. როცა დამწყები ავტორი ხარ, ძირითადი, შენი მკითხველები არიან შენივე წრე, ოჯახი, მეგობრები, ნაცნობები, რომლებიც უფრო სუბიექტურად აფასებენ შენს ნაშრომს და, შესაძლოა, არ იყვნენ განსაკუთრებით კრიტიკულები. ვერ გითხრან, მაგალითად, რომ არ მოეწონათ შენი რომანი. ამიტომაც ძალიან სასიამოვნოა, როცა შენთვის უცნობი ადამიანები, თანაც ლიტერატურაში კარგად გათვითცნობიერებული

ადამიანები, ამბობენ, რომ კი, ეს ნიგნი კარგია და იმსახურებს ფინალში გადასვლას.

გიორგი კახიშვილი - “ტრაქისელი ქალები”

“ტრაქისელი ქალები” საუკუნეების წინ დაინერა, თუმცა, ამის მიუხედავად, დღესაც თარგმნიან და კითხვლობენ. თქვენი აზრით, რა ანიჭებს ამ ტექსტს სიცოცხლისუნარიანობას, რთულებია ან ძველი სამყაროს პრობლემები თანამედროვეობას?

გ. კ.: მითოსი, რომლითაც ასე ნაყოფიერად სარგებლობს ანტიკური ტრაგედია, უხეშად რომ ვთქვათ, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის მრავალსაუკუნოვანი სულიერი გამოცდილების ასახვა და რადგან ადამიანი არსობრივად ამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე “იგივეა მარად და მარად”, ტრაგედიები, რომლებიც მისი სულიერი გამოცდილების გაზრებით თუ გადაზრებით იქმნება, ისეთივე აქტუალურია დღეს, როგორიც, თუნდაც, ძვ. წ. V საუკუნეში იყო. ის, რაც შემთხვით ოიდიპოსს, ანტიგონეს, აიასს, ჰერაკლეს, დეიანირას, ელექტრას და სოფოკლეს ტრაგედის სხვა პერსონაჟებს, ნებისმიერ დროს შეიძლება ჩვენი დასათმენიც აღმოჩნდეს. ანტიკური ტრაგედია კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩენილ ადამიანზე ორიენტირებული, ეს კი ნებისმიერი ეპოქის მკითხველისათვის საინტერესო და აქტუალურია. ჰერაკლეს მითოსის ღრმა გადაზრებითაც შეიძლება იმ დასკვნამდე მისვლა, რომ ჰერაკლე საკუთარი ვნებების წინააღმდეგ მებრძოლი გმირია, კაცობრიობის ისტორია კი, უპირატესად, ადამიანის საკუთარ თავთან ბრძოლის ისტორიაა. ხომ შეუძლებელია, შემთხვევითი იყოს ის, რომ “ტრაქისელ ქალებში” ჰერაკლე თვისივე საუკეთესო იარაღის მნიშვნელოვანი კომპონენტით, ჰიდრას შხამით კვდება? ეს მხოლოდ ერთი მიზეზია იმ მრავალთაგან, რომელთა ძალითაც სოფოკლეს “ტრაქისელი ქალები” დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

20 წლიანი გამოცდილება, მკითხველების ნდობა, ნომინანტების ვინაობა, ტექსტები, ჟიური... მაინც რა აქცევს “საბას” ავტორებისთვის მნიშვნელოვან პრემიად?

გ. კ.: არაერთი რამ. პირველ რიგში, სწორედ ის ნდობა, რომელიც ქართველმა მკითხველმა “საბას” და ჟიურის წევრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს გამოუცხადა. საზოგადოდ, ვერცერთი ლიტერატურული პრემია ვერ გამოდგება ლიტერატურულ პროცესზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად. ამას ნობელის პრემიის გარეშე დარჩენილი უდიდესი მწერლების მშრალი ჩამონათვალიც კი დაგვიდასტურებს. მაგრამ ფაქტია, რომ

ოცნისანი არსებობის მანძილზე "საბამ" არა მხოლოდ დამსახურებულ მწერლებს მიაგო ჯეროვანი პატივი, არამედ მრავალი ახალი სახეც წარმოაჩინა და ქართულ ლიტერატურულ პროცესს გულისხმობს და მისი ღირსებას აფრთხილებს. ეს ყოველივე "საბას" აქცევს სრულიად გამორჩეულ პრემიად, რომლის მიღებაც სასურველი და სასიხარულოა ნებისმიერი მწერლისა თუ მთარგმნელისათვის.

თემო რეხვიაშვილი - "კურიერის ამბები"

თქვენი რომანი ავტობიოგრაფიულია, მასში მოთხრობილია არა მხატვრული გამონათქვამი, არამედ თქვენივე ცხოვრებიდან აღებული ისტორიები. როგორია რეალობის ლიტერატურაში ტრანსლირების თქვენთვის მეთოდი, რატომ ტრანსფორმაციას განიცდის სინამდვილე ტექსტად ქცევისას?

თ. რ.: სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. ჩემი მეთოდი ნამდვილად არ გამაჩნია. მინდობდა, უბრალოდ, ამბები მომეხრო და როგორც ცხოვრებაში ვუყვებოდი ხოლმე ჩვენს ახლობლებს რეალურ ისტორიებს, წერის დროსაც ამას ვცდილობდი. ჰოდა, რეალური ისტორიის წერისას თუ შეპირად მოყოლისას, მე მგონია, ამბავი თავისთავად გადაიქცევა ხოლმე ფიქციად. ის ითვითვე რეალურია, როგორც იყო, თუმცა, ამავდროულად, რაღაც დეტალები ოდნავ იცვლება, რასაც თითქოს ტექსტი თავისთავად გიკარნახებს. დეტალების თუ ეპიზოდების თანმიმდევრობა უკვე ტექსტს ემორჩილება და არა დოკუმენტურ სიზუსტეს.

რას ფიქრობთ "საბას" დებიუტის ნომინაციაზე, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ასეთ ჯილდოს მკითხველსა და ავტორზე?

თ. რ.: პირველ რიგში, ის გავლენა, რომ ნომინაციებია თუ ლაურეატების ნიგნებს უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, მკითხველამდე მივიდნენ, რაც ძალიან კარგია. ასევე, ეს დიდი სტიმულია მომავალში წერის გავრცელებისთვის. თუმცა, რა თქმა უნდა, მგონია, რომ მუშაობისას ჯილდოს აღება არასდროს არ უნდა იყოს თვითმიზანი, ხელოვნების არცერთ სფეროში.

მარიამ გურგენიშვილი - "მარგალიტები"

"მარგალიტებში" მოთხრობილი ამბავი არაერთი მკითხველისთვის ნაცნობი აღმოჩნდა, სვანეთისუბანი კი მშობლიურ ადგილად იქცა. რა განაპირობებს იმას, რომ თქვენი რომანი ემოციურად ამდენი ადამიანისთვისაა ავლენს? ვგულისხმობ იმას, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, როცა ამბის დამაჯერებელ ტექსტად გადაიქცევა გასურთ.

მ. გ.: სვანეთის უბანი, უპირველეს ყოვლისა, ჩემთვისაა ძალიან ძვირფასი და ძალიან მშობლიური ადგილი და, ალბათ, ჩემი ეს ემოცია და განწყობა მკითხველსაც გადაედო. ძალიან მიხარია, ყველას საკუთარი უბანივით რომ შეუყვარდა. ალბათ, სწორედ ესაა ჩემი "საიდუმლო რეცეპტი" - ისეთ ადგილებზე, ისტორიებსა და ადამიანებზე წერა, რომლებიც გყვარს, კარგად იცნობ და გემშობლიურება.

რას ნიშნავს თქვენთვის და "მარგალიტებისთვის" პრემია "საბას" ნომინაცია შორის ყოფნა?

მ. გ.: რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულო ამბავია და მოტივაციას ერთიასად გამატებს.

თორნიკე სიბაშვილი - "დეტექტივი"

კრებულის შესავალში პაატა შამუგია წერს: "ხელიდან სხლტება მთავარი - პიროვნება, ინდივიდი, რომელიც დარჩენილია ამ სოციალური ტოტალურის ველში სრულიად მარტო". როგორ ცდილობს პიროვნების მოხელთებას "დეტექტივის" ავტორი და რატომ მისთვის მნიშვნელოვანი ინდივიდუალისტური განცდების გამოხატვა?

თ. ს.: კითხვა კარგად ვერ გავიგე. პიროვნების მოხელთებაში რას გულისხმობთ, როგორ ვერჩები პიროვნებად, რატომ არ ვცყვები, ნაწილებად რატომ არ ვიმსხვრევი? თუ როგორ მოვიხელთებ სხვა პიროვნებას, რომ მერე სული გამოვაცალო ანდა შთავებრო? ხომინჯებზე შევაყენო და ლიბო გავუმარგო? ცოტა უცნაურია. ფიქრობთ, რომ რამდენიმე პიროვნებაა ჩემში? ეს, ალბათ, შემდეგი კვლევის მასალაა. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს - არ ვიცი. უბრალოდ, ასე გამოვიდა. ყველა ხომ ვერ დაწერს სიყვარულზე, ტრიკილზე, სიხარულზე, ზოგადი თანამედროვე ტენდენციების მიხედვით.

თქვენი აზრით, რა შეცვალა "საბას" არსებობამ თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესებში?

თ. ს.: დიდი ხანია, მესმის ეს სახელი. არა როგორც ადამიანის სახელი, არამედ, როგორც საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული კონკურსის სახელი. თავის დროზე, ანუ პრემიის დასაბამიდან, "საბამ" დახმარების ხელი გაუწოდა ქართველ მწერლებს, მთარგმნელებს, ლიტერატორებს, ქართულ თეატრს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი აქტი მჯონია, მით უფრო იმ წლებში, როცა დაარსდა და ჩამოყალიბდა "საბა". ასეც შეიძლება ითქვას, "საბამ" შექმნა ტენდენციები, შექმნა კონკურენცია, დადო ხარისხი, გამოა-

ცოცხლა ლიტერატურული პროცესი. რა თქმა უნდა, ამაზე კამათი შეიძლება, გვინახავს კიდევ "საბათი" უკმაყოფილო მწერლები, რომლებიც შემდეგ გულწრფელ მადლობას იხდინა, თუმცა ეს მცორხარისხოვანია და სწორედ ასეთი ფაქტებიც მეტყველებს თანამედროვე ქართულ კულტურაში "საბას" მნიშვნელობაზე.

მინდია არაბული - "ყოველი ამბის დასასრული"

"ყოველი ამბის დასასრულის" თითოეული მოთხრობა დასრულების შემდეგაც ინარჩუნებს გარკვეულ ბუნდოვანებას. მოთხრობელი არა მხოლოდ დასასრულს, მნიშვნელოვან ეპიზოდებსა და მოვლენებსაც კი ხშირად ტოვებს ღიას ინტერპრეტაციისთვის. როგორც ამ ტექსტების ავტორი, რატომ აძლევთ მკითხველს ასეთ თავისუფლებას? ზოგადად, როგორია თქვენი იდეალური მკითხველი?

მ. ა.: განზრახვა ნამდვილად არ მქონია, რომ ამბები ბუნდოვანი ყოფილიყო, უბრალოდ, მოთხრობების ბუნება მგონია ასეთი. მე თავად მოხმონს, როცა მოთხრობაში გარკვეული ინერცია იქმნება, მაგრამ პასუხი მაინცდამაინც არაა მოცემული. სიუჟეტის, სტილისა და სხვა ელემენტების ინერციამ უნდა უზიძგოს მკითხველის წარმოსახვას მნიშვნელობისკენ. რომანებს აქვთ ფუფუნება, რომ მნიშვნელობა საკუთარ ყდებს შორის მოაქციონ. მოთხრობების მნიშვნელობა მათ გარეთ დევს ხოლმე. ამასთანავე, არ მგონია, რომ ეს პროცესი დამაბნეველი უნდა იყოს. პირიქით, ვცდილობ ხოლმე, იმდენად საკმარისი ინფორმაციით აღვჭურვო თითოეული ამბავი, რომ არც დიდი სიხალავათე და არც დიდი სიმჭიდროვე არ შეიქმნას.

იდეალურ მკითხველს რაც ეხება, არ მყავს მანცდამანინც იმდენად დიდი აუღტორია, რომ მკითხველის ტიპის არჩევის ფუნქცია მომეცეს. თუ არის, უკვე კარგია.

რას ცვლის თქვენთვის და თქვენი ტექსტისთვის "საბას" ნომინანტობა?

მ. ა.: ჯერჯერობით goodreads-ზე მომემატა რამდენიმე ერთეულით ნაკითხვები. მეტი ჯერ არ ვიცი.

მაგდა კალანდაძე - "მეორე ოთახი"

თქვენი პერსონაჟები საზოგადოებისგან გაცალკევებული არიან, რომანის თემატიკა კი იმდენად აქტუალურია, რამდენადაც პრობლემური. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება სოციალურად მწვავე საკითხებზე ახალბედა ავტორმა წეროს ისე, რომ "მეორე ოთახში" შეხედვამ მკითხველი კი არ დააფრთხოს, არამედ

გამოაფხიზლოს და ის ადამიანები დაანახოს რომლებსაც "ვერ ხედავს, რადგან უკვე დაინახა"?

მ. კ.: მკითხველის გამოაფხიზლება თვითმიზანი არაა. არც სოციალურად მწვავე საკითხების ტექსტის ცენტრად წარმოდგენა მგონია მართებული შეფასება. ვფიქრობ, რომ ადამიანები და მათი ამბები მოუხელთებელ, ერთმანეთისგან ნატიფად განსხვავებულ და არამსგავს შეგრძნებებს ტოვებენ მკითხველის სხეულსა თუ ფსიქიკაში და ეს მგონია ყველაზე მნიშვნელოვანი.

რა მნიშვნელობა აქვს დებიუტანტი ავტორებისთვის ლიტერატურულ პრემიებს?

მ. კ.: მეტი მკითხველისთვის ტექსტის გაცნობა.

ლელა კურტანიძე - "მელატონინი"

ქრისტიანა ფონ ბრაუნი წერს, რომ მას შემდეგ, რაც ისტერია, რომელიც ქალური დაავადება იყო, მამაკაცებმა "მითვისეს", ქალების უკანასკნელ თავშესაფრად ანორექსია, ესე იგი, სხეულებრივი გაუჩინარება იქცა, რაც პატრარქალური წესრიგისადმი პროტესტის უკიდურეს ფორმაა. თქვენს ლექსებში კი პირიქით, თითქოს ლირიკული გამირების სხეულები მკვეთრდება და ცოცხლდება. რისი თქმა სურს ამ სიცხადით ლელა კურტანიძეს ქალების შესახებ და ქალებისთვის, ესეც სახეცვლილი პროტესტი ხომ არაა?

ლ. კ.: ჩემს ლექსებში მცხოვრებ სხეულებს მე, ალბათ, სათქმელით სავსე სხეულებს ვუწოდებ. სხეული როგორც სიტყვა, სხეული როგორც მედიუმი, სხეული როგორც თავისთავადი - დაახლოებით ასე აღვიქვამ. ქალების ცხოვრება პატრარქალურ სამყაროში ქალის სხეულზე მრავალგვარი თავდასხმის გარეშე, ფაქტობრივად, არ არსებობს, თავდასხმა კი მრავალგვარია: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გამობატული სქესობრივ დანაშაულებში, ჩაცმის, წონის, ფერის, ფორმის კონტროლში. ძალადობა იმდენად მრავალფეროვანი და მრავალნახანგოვანია, შესაძლოა, მისი რომელიმე ფორმა ჯერ კიდევ აღმოჩენილი და სახელდებულაც არ იყოს. სხეული კი ცოცხალი ორგანიზმი და გამლიზინანებულზე აქვს რეაქცია. ეს რეაქცია ურეაქციოა შეიძლება იყოს. როდესაც ვმსჯელობთ სხეულებრივ რეაქციებზე, სხეულზე ამა თუ იმ ასპექტში, მანამდე დაშვება უნდა გვქონდეს, რომ სხეული ყოველთვის მართალია. თუ ეს დაშვება კარგად გაცნობიერებული გვექნება და ვირწმუნებთ, ყოველგვარი გაუგებრობა მისი შეცნობისას კითხვებს დაბადებს და ეს კითხვები იქნება სწორი კითხვები. ამან კი შეიძლება მართლა

მიგვიყვანოს პასუხებამდე.

მე არ ვიცი, სხეული თავისთავად თუ არის პროტესტისუნარიანი. პროტესტი უფრო პიროვნების თვისება მგონია. და პიროვნებისა და სხეულის ერთობა, მათი განუყოფელი მთლიანობა შესანიშნავ კოლაბორაციას მოგვცემდა, ბევრ რამეს გვეტყოდა. მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ამდენი ტრავმის შედეგად გახლეჩა ხდება პიროვნებისა და სხეულის, როდესაც ადამიანი უუცხოვდება საკუთარ სხეულს?

ჩემი სხეულები, ალბათ, ამ გახლეჩილობის დაძლევის მცდელობაში მყოფი სხეულები არიან. როდესაც ჩვენ, ქალები, ვცდილობთ, საკუთარ სხეულს ვეკონტაქტოთ და მასთან ამდენი ხნის გაუცხოების შემდეგ პირველ შეხებას, შორეულს, ბუნდოვანს ვგრძნობთ. სუსტ, ჯერ ისევე მიყვებ კავშირს, პირველ სიტყვებს, პირველ სათქმელს.

გაპიროვნებულ სხეულს უკვე პროტესტისა და ამბოხის უნარიც შესწევს. ჩემი სხეულები, ალბათ, უფრო ამბოხისათვის მზადების პროცესში მყოფი სხეულები არიან, ხმამაღალი განცხადებისა და გაცხადების წინარე პერიოდში. ეს პროცესი კი, რაც შე პირადად და, ვიმედოვნებ, მკითხველსაც, იმედს მაძლევს და ჩემში შეუტყვევლობის ურყევი წინსწარმგანცდილი სულდგმულობს.

დაახლოვება თუ არა თქვენი კრებული მკითხველთან "საბას" ნომინატობაზე? რას ფიქრობთ, რამდენად ზემოქმედებს პრემიები მკითხველთა რაოდენობასა და წიგნის ცნობადობაზე?

ლ. კ.: დიახ, დაახლოვება და "მელატონინს" მეტი მკითხველი შესძინა. ასევე წიგნის მიმართ ინტერესი გააძლიერა ადამიანების იმ ნაწილშიც, რომელთაც იცოდნენ წიგნის არსებობის შესახებ, მაგრამ, შესაძლოა, ვეგამო არ ჰქონდათ მისი წაკითხვა ან შექცნა. "საბას" აქვს უკვე საკმაოდ დიდი მოპოვებული ლიტერატურის მოყვარულთა ფართო წრეები და, შესაბამისად, ჩემი ფინალში ყოფნა წიგნის ცნობადობაზე დადებითად მოქმედებს. ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი თბილისი უკუკავშირი მივიღე მკითხველებისგან, რაც ძალიან მახარებს. განსაკუთრებით მიხარია ხოლმე, როდესაც მკითხველს ვატყობ, რომ ლექსები იგრძნო, გაიგო, ლექსში არსებული ემოციური სივრცე თვითონაც გაიარა და იცხოვრა მასში. ასეთი მკითხველი ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერებაა.

ვისურვებდი, საქართველოში მეტი ლიტერატურული პრემია და კონკურსი არსებობდეს, მეტი გასაქანი და დაფასება ჰქონდეს თავისუფალ სიტყვას, ამიტომ ბოლოდროინდელი მოვლენები (თუნდაც "ლიტერასა" შემთხვევა) ძალიან მასევე დიანებს და მამბრავს. თუმცა, იმედს ვიტოვებ, ლიტერატურული სხეული გამთლიანებას მოახერ-

ხებს და მეტი შესაძლებლობები იქნება ავტორებისა და მკითხველებისთვის.

დავით ჯიშკარიანი - "ბუცები და ტყავის ჩექმა"

რა როლი შეიძლება ჰქონდეს თბილისის "დინამოს" შესახებ თხრობას დღევანდელ საქართველოში? რა უნდა აღმოაჩინოს თანამედროვე მკითხველმა, როცა წარსულს შეხვდება?

დ.ჯ.: თბილისის "დინამო" არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული საფეხბურთო კლუბის ისტორია. განსაკუთრებით ის პერიოდი, რომელსაც ჩემი წიგნი ეხება. ის მოიცავს მთელ რიგ სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს. ერთი მხრივ, ეს არის მოსკოვი, როგორც პოლიტიკური ცენტრი და, მეორე მხრივ, თბილისი, სსრკ-ს აღმოსავლეთ პერიფერია. აქ ჩნდება, როგორც ცდილობს ფეხბურთის საშუალებით ადგილობრივი ელიტა, რომ წარმოჩნდეს ცენტრში, მოსკოვში. ამ ურთიერთობებში კი ფეხბურთის მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. ასევე ესაა შინსახკომი, რომელსაც ეკუთვნოდა საფეხბურთო კლუბი "დინამო" და შიდა სტრუქტურები. ფეხბურთელებიც შინსახკომის თანამშრომლები იყვნენ - ზოგი ფორმალურად იყო ვაფორმებული, ზოგიერთი აქტიურად იღებდა მონაწილეობას მის საქმიანობაში. რეპრესიები კი ყველას შეეხო, მათ შორის შინსახკომსაც. მათი ნაწილი მოძალადე იყო, ნაწილი კი - მსხვერპლი. ამიტომ დღევანდელი მკითხველისათვის ეს მნიშვნელოვანია, რათა ისტორიის მრავალწახნაგობა გაიგოს. ასევე, ამ ტექსტის წაკითხვა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ისტორია იქნას აღქმული არა მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში, პოლიტიკურისა და ცეკას სფეროებში, არამედ ყოველდღიური გადმოსახედიდან. ფეხბურთი ყოველდღიურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი იყო სტალინის პერიოდის საბჭოთა კავშირში და არა მხოლოდ, ამიტომ მგონია, რომ მკითხველებს ეს წიგნი აძლევს საშუალებას, ყოველდღიურობის ნივთიერებას ადეკვატურად გაიაზროს.

როგორ შეაფასებდით პრემია "საბას" 20 წლიან ისტორიას?

დ.ჯ.: "საბა" მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს უახლეს ისტორიაში. მსგავსი პრემიები ხელს უწყობს ლიტერატურულ ცხოვრებას და მათი არსებობა აუცილებელია. რაც მეტი იქნება ასეთი პრემია, უკეთესია. ესაა პრემია, რომელიც ყოველ წელს დიდ დისკუსიებს იწვევს, ზოგი უკმაყოფილოა, ზოგიც - ძალიან კმაყოფილი, მაგრამ ეს ყველაფერი იმას მიაჩნია, რომ ლიტერატურული ცხოვრება გრძელდება.

“ჩვენ უნდა დავაღწიოთ თავი მსხვერპლის როლს” - ინტერვიუ მაია ბადრიძესთან

ესაუბრა გუგა მგელაძე



ლიტერატურული
პრემია



მაია ბადრიძე არაერთი გერმანულენოვანი მწერალი თარგმნა ქართულად: რობერტ მუზილის “უთვისებო კაცი” და “ყმანვილი ტერლესის სულიერი შფოთვა”, პერმან ბროხის “მთვარეულები”, ზებალდის “აუსტერლიცი” და “ემიგრანტები”, კარლ გუსტავ იუნგის “მეტამორფოზის სიმბოლოები” და “პასუხი იობს”, ზიგმუნდ ფროიდის რჩეული ტექსტები, ფრიდრიხ დიურენმატის “მინოტავრი. დავალება” და სხვ.

2020 წელს “საბას” ყიურის ერთ-ერთი წევრი იყო. მაია ბადრიძე ინტერვიუში სწორედ კონკურსების მნიშვნელობაზე, თანამედროვე ლიტერატურულ კონტექსტზე, ქართულ თარგმანებზე, ყიურის პასუხისმგებლობასა და თარგმანის სირთულეებზე საუბრობს.

- როგორ აფასებთ “საბას” ყიურიში ყოფნის გამოცდილებას? კიდევ უფრო მეტად რომ დავაზუსტოთ: რა ტიპის პასუხისმგებლობას გულისხმობს კონკურსზე შემოსული ნივთების ნაკითხვისა და სელექციის რთული პროცესი?

- მთავარი და გადამწყვეტი მიზეზი, რის გამოც სიამოვნებით დავთანხმდი ყიურის წევრობას, იყო შემდეგი: ძირითადად, დიდ და რთულ ავტორებზე მინევს მუშაობა, ეს კი ნიშნავს შემდეგს: მე მინევს გავეცნო კულტურულ კონტექსტს, რომელსაც ფიქრობ, რომ თითქოს იცნობ, მაგრამ მუშაო-

ბის პროცესში აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს ცოდნა საკმარისი არ არის და ტექსტზე მუშაობისას უამრავი სხვა ავტორის ნაკითხვაც ხდება აუცილებელი. ეს დიდ დროს და ენერჯიას ითხოვს, ამიტომ, ცუდად ვიცნობდი თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. წარმოიდგინეთ, დღემდე რვა, ათი საათის მუშაობის შემდეგ, როცა მთლიანად კონცენტრირებული ხარ ერთ ავტორზე, აღარც დრო რჩება საიმისოდ, რომ რამის ნაკითხვა შეძლო და, სიმაართლე ვითხრათ, ამის აღარც ძალა შეგწევს. ამიტომ, ცხადია, ეს იყო შესანიშნავი შესაძლებ-

ლობა, გამეგო, რა ხდებოდა ქართულ ლიტერატურულ სამყაროში. რთული პროცესი აღმოჩნდა, მაგრამ ამას ველოდი კიდევ.

არის ტექსტები, რომლებსაც დასაწყისშივე გრძნობ და ხვდები, რომ საქმე კარგ ან ცუდ ლიტერატურასთან გაქვს. იცი, რომ იმ ტექსტების მიღმა, რომელიც არ მოგწონს, ადამიანის მოლოდინი და შრომა დგას. კითხულობ იმ იმედით, რომ იქნებ მერე გაამართლოს, იქნებ მერე შეძლოს და გამოკეთოს პერსონაჟის ხასიათი, უკეთ განავითაროს იდეა. იყო ასეთი ტექსტიც, თითქოს ახერხებდა განვითარების შექმნას, თითქოს ხასიათსაც შექმნიდა, მაგრამ იდეა იყო დაუთავრებელი, სადღაც შუა გზაზე შეწყვეტილი, ძალა აღარ ეყო, ბოლომდე ვერ დაწერა. დამწყდა გული. პასუხისმგებლობა დიდია. ნებისმიერი შემოქმედებითი ტექსტის აღქმა ძალიან სუბიექტურია და ამას ნამდვილად ვერ გაექცევი. სწორედ ეს მაშინებდა, რომ სუბიექტური აღქმის მიღმა ობიექტურობა არ დამეკარგა. მაგ. მე არ მიყვარს ფენტეზი, მაგრამ ეს ხომ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ კარგად დანერგილი ფენტეზი სწორად ვერ შევაფასო. ის, რომ არ მიყვარს, ჩემი სუბიექტური აღქმაა, მაგრამ, როგორც ჟიურის წევრმა, ამ სიყვარულის თუ არსიყვარულის მიღმა ობიექტურად უნდა დავინახო და შევაფასო ის, რასაც ჩემი ნებით, უბრალოდ, არ ნავიკითხავდი.

- იყო "საბაზე" ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც არ ეთანხმებით?

- იმ ნელს, მარტო ჩემი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, პიესას გამარჯვებულად არ გამოვაცხადებდი.

- "საბა" ის მოცემულობაა, რომლის ვარაუდზე თანამედროვე ლიტერატურის პერსპექტივებზე საუბარო უკვე წარმოუდგენელიც კია. როგორია "საბას" ოცლიანი გამოცდილება? ზოგადად, რა ფუნქცია (როლი) აქვს ხოლმე კონკურსებს თქვენთვის?

- მომიწევს გავიმეორო ის, რაზეც პირველი კითხვის პასუხად ვთქვი. ნებისმიერი შემოქმედებითი ტექსტის (იქნება ეს მხატვრობა, მუსიკა თუ ლიტერატურა) აღქმა სუბიექტურია. ჟიური არ და ვერ იქნება პიროვნური. ჟიურის წევრებს, შესაძლოა, ჰქონდეთ და აქეთ კიდევ განსხვავებული დამოკიდებულება და პრიორიტეტები შეფასების და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების დროს. მოსალოდნელია, რომ არ დაეთანხმო ჟიურის გადაწყვეტილებას. ნობელის ბოლო წლების გადაწყვეტილებებიც ხომ ძალიან საკამათოა ხოლმე.

გერმანიაში ბევრი ლიტერატურული კონკურსია, მათ შორის ერთ-ერთი ძალიან პრესტიჟული Deutscher Buchpreis. არც თუ ისე ცოტა დრო დასჭირდა ამ კონკურსს რომ ყურადღება მიექცა ფრანკ ვიტცელის რომანისთვის "Die Erfindung der Roten Armee Fraktion durch einen manisch-

depressiven Teenager im Sommer 1969" (წიელი არმიის ფრაქციის გამოგონება მანიაკალურ-დეპრესიული თინეჯერის (მოხზარდის) მიერ 1969 წლის ზაფხულში)." ჩემი შეფასებით, ვერც ერთი მანამდე პრემიამინიჭებული ავტორი ვერ უთანაბრდება მის ამ და შემდგომ (Direkt danach und kurz davor) რომანსაც. ეს არის ომისშემდგომი გერმანიის ფსიქოანალიზური ტექსტი, ენობრივი ექსპერიმენტებით და ძალიან თავისებური კომპოზიციით. და მაინც, ამდენი დრო დასჭირდა გერმანულ კონკურსებს ამ ტექსტის აღიარებისთვის. ასე რომ, კონკურსმა შეიძლება შეინსებოს ვერ ასახოს ობიექტური სურათი, როგორც ეს მაგ. ჩემთვის ამ ავტორის შემთხვევაში ხდებოდა ამდენი წელი. კონკურსის შედეგებს ხომ ჟიურის წევრები წყვეტენ, რომელიც ყოველ წელს განსხვავებულია და არაერთგვაროვანი. ეს ტექსტი დიდხანს ელოდა ამ ჟიურის. ჩვენთანაც ასეა და ამაში არაფერია გასაკვირი, როგორც არ უნდა დაგვეგვიტოს ზოგჯერ გული ჟიურის გადაწყვეტილებამ.

ის, რომ კონკურსები ლიტერატურულ პროცესებს აცოცხლებს და მნიშვნელოვანია, არ მგონია, ამ კითხვას ვინმე განსხვავებული პასუხი გასცეს. კონკურსები ცოტა გვაქვს და ეს ძალიან ცუდია. "გალა" რატომ გააუქმეს, გაუგებარია. ერთხანს, თითქოს, არამხატვრული, ანუ დარგობრივი ლიტერატურის (მგონი, ასე ჰქვია ქართულად) თარგმანების კონკურსი ცალკე უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, არ გამოვიდა და დასაწყისშია.

- დალი ფანჯიკიძის დაკვირვებით: "დედანსა და მთარგმნელს შორის უნდა დამყარდეს დედანსა და მწერალს შორის წერის პროცესში წარმოქმნილი მსგავსი ფსიქოლოგიური კავშირი და შეიქმნას სათანადო კომუნიკაციური სიტუაცია. (...) ინდივიდუალური სტილი მწერლის საკუთრებაა, მთარგმნელს კი მხოლოდ იმის უფლება აქვს, გამოამყდაროს ამ სტილის ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტით რეპროდუქციის ინდივიდუალური უნარი." როგორია თქვენი პერსონალური დაკვირვებები ამ საკითხებთან დაკავშირებით?

- სრულებით ვეთანხმები. ჩვენ სხვის ტექსტებს ვასრულებთ, როგორც პიანისტი - სხვის მუსიკალურ ნაწარმოებს. თარგმნა ინტერპრეტაციის ხელოვნებაა და მთარგმნელის ნიჭიერებაც სწორი ინტერპრეტაციის უნარით იზომება. უჩინარები და უხილავები უნდა ვიყოთ. თავმდაბალი ხალხი ვართ მთარგმნელები, ფაქტობრივად, სხვისი მსახურები. არ უნდა ჩანდე ტექსტში, უნდა გაქრე. თავანკარა ქართული თარგმანები თითქმის აუტანელია, როცა მისი ერთადერთი ღირსება ეს თავანკარობაა. უნდა შექმნა ის ატმოსფერო, ჩემ შემთხვევაში, გერმანული ატმოსფერო, ქართული ენობრივი საშუალებებით. ადვილი ნამდვილად არ არის. ამ ორ ენას განსხვავე-



ბული ფსიქოლოგიური ბუნება აქვს. განსხვავებული ტემპერატურა და ტემპერამენტი. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ირანულიდან ან სხვა რომელიმე ენიდან მთარგმნელს სხვა სპეციფიკური სირთულეები აქვს, ვიდრე გერმანულადან მთარგმნელს. ქართული უფრო სახეების ენაა, გერმანული - ცნებების. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ გერმანული არ ქმნის პოეტურ სახეებს, უბრალოდ, მას სხვა ტიპის ჩუქურთმები აქვს. თითქმის მიუღწევლად რთული მეგონა რილკეს ქართულად თარგმნა, მაგრამ ზვიად რატიანის "დღიური ელემენტები" ზუსტი რილკეა ქართულად. ე. ი. შესაძლებელი ყოფილა.

- "საბას" წლის საუკეთესო თარგმანის ნომინაციის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ქართველ მკითხველს არაერთი კარგი თარგმანის გაცნობის საშუალება აქვს. გამარჯვებული მთარგმნელები კი ვეებერთელა კულტუროლოგიური ველის შექმნის პრეცედენტს ქმნიან. როგორ აფასებთ მთარგმნელობითი კულტურის თანამედროვე მდგომარეობას? შეგვიძლია კონკრეტული, თქვენს ფავორიტ თარგმანებზეც ვისაუბროთ.

- მთარგმნელობით საქმიანობას ქართულ ლიტერატურაში ვაცილებთ დიდი ფუნქცია აქვს, ვიდრე მაგ. გერმანულში ან რომელიმე დიდი კულტურების ენებში და რატომ: სამოცდაათი წლის იურილოგიური წნეხისგან ძლივს ვთავისუფლდებით. შემოქმედებითი აზროვნება საბჭოთა კალაპოტში იყო მოქცეული და წარმოსახვითი თავისუფლების ნარჩენებით იკვებებოდა. ჩვენ ვცხოვრობდით გამოგონილ სამყაროში, რეალური სამყაროსგან სადღაც შორს და დავინყებულეები. შენაბამისად, ჩვენი აღქმებიც და პრობლემების გაცნობიერების თუ გაუცნობიერებლობის უნარებიც განსხვავებული იყო და ეს მაშინვე უნარქნით, როცა მოუმზადებლად აღმოჩნდით იმპერიის ნანგრევებში, საიდანაც წეით თავისუფლად სამყაროში უნდა გამოუსულიყავით. თავისუფალი სამყარო ალტერნატიული სამყაროა და მისი აღწერის ენაც - ალტერნატიული. თავისუფლებას არ ახასიათებს ეროგვაროვნება, მას უსასრულოდ ბევრი სახე აქვს და, შესაბამისად, ენაც მრავალნაირია. იმ კალაპოტში კი, სადაც ჩვენ მივედინებოდით, არსებობდა მხოლოდ ზემოდან დაშვებული ნესები თავისი მაცრად განსაზღვრული თავისუფლების მონიშნული ჩარჩოებით და კრიტიკიულად, რომლებიც ტანზე უხეხრული, ვინორ კორსეტივით მოგვარგეს. იმისთვის, რომ სუნთქვა შესაძლებელი ყოფილიყო, იმდენი და ისე უნდა ჩაგესუნთქა, რის საშუალებასაც ეს სივრცე უფლებადმცემდა. ვერ განვითარდა მთელი რიგი ფანრები, ვერ განვითარდა, შესაბამისად, ენაც. საბჭოთა აზროვნება გამოსავალი ალგორითმი მოძებნა. ის ვერ აღწერდა სინამდვილეს, მას თვალთ უნდა აერდებინა რეალურად არსებული პრობლემებისთვის და ამ თვალის არიდებაში შემწნევის უნა-

რიც თითქმის დაკარგა. ამიტომ, ეს ცარიელი ადგილები მთარგმნელობით ლიტერატურას უნდა შეეკოს. მთარგმნელობით საქმიანობას ენა უნდა გაეფართოებინა, გაეთანამედროვეებინა, გაეთავისუფლებინა იძულებითი პოეტურობისგან, პათეტურობისგან, მხოლოდ ამაღლებულ და მონამებრივ გმირებზე აზროვნებისგან, ასე ვთქვათ, "გაეაღამიანურებინა".

არაგერმანულ ავტორებს, როგორც ნესი, გერმანულ თარგმანებში ვკითხულობ და ეს ათეული წლებია, ასეა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ მიჩვენია არუნდატი რიო ქართულად წავიკითხო, ვიდრე გერმანულად. "წერილობის ნაფიქრობი" (იმედია, სათაური არ მემულება), გერმანულად წავიკითხე (მაშინ ქართული თარგმანი არ არსებობდა), მაგრამ ერთი სული მაქვს ქართულად როდის წავიკითხავ -თამარ ჯაფარიძის სრულად არაჩვეულებრივ თარგმანს. მისი სხვა თარგმანები მაძლევს ამის თამამად თქმის უფლებას.

ხათუნა ცხადაძე თავის თარგმანებში ნამდვილ იტალიას აცოცხლებს - ძალიან ხმაურიანს, თავიანთი ვნებებისთვის დიდი ტერიტორია რომ სჭირდებათ - პატარა ტერიტორიაზე ვერ ეტყვიან. იმდენად განსხვავდება გერმანული აზროვნების წესისგან, რომ მონუსხული ვკითხულობდით, თუმცა ზოგჯერ ზედმეტად ბევრს ხმაურობენ და დრამატული სიმძაფრის დროსაც გრძნობს სამხრეთის კაშკაშა მზეს და, როგორც გოთე იტყვოდ, ქვეყანას "Wo die Zitronen Blühen" (სადაც ლიმონები ყვავიან). ის, რაზეც ახლა ვწერ, ის, რაც ამ ტექსტიტიდან ვიგრძენი და რასაც ადვანერ, ეს მთარგმნელების დამსახურებაა, ანუ, ძალიან კარგად თარგმნილი ტექსტების დამსახურება. საამაოდ გვაქვს საქმე, რადგან ქართულად არაჩვეულებრივი ფოლკნერი გვაქვს - ენობრივად ურთულესი ავტორი, რთული პროტაგონისტებით და მათი ხასიათების გადმოცემის უზუსტესი ფსიქოლოგიური სიღრმეებით. ყიურის წევრობის დროს დიდი სიამოვნება იყო ელისაბედ ყვავილამვილის "ბოლო ჟამის ომი". ეს იყო ჩემი პირველი ლიოსა ქართულად - მანად გერმანულად ვკითხულობდი და უკვე ვიცო, რომ გერმანულად ამ ავტორის წაკითხვა აღარ მომიხდებდა. დასაანანი იყო, რომ პრემია ვერ აიღო. პრემია ერთია და რას ხაზამ.

იმ წელს პრემია ელზა ახელდინის მიენიჭა, სრულიად დამსახურებულად. ისეთი გამჭვირვალე ფერადი ენით თარგმნის, რაც იმეითია. ვიცო, რომ რამდენიმე კარგი მთარგმნელი გამოჩნრა. ბევრი რამ არ ნამიკითხავს და ვგრძნობ, აღმოჩენები წინ მაქვს. მატიას ენარის "კომპასი" აუცილებლად წასაკითხია. ეს ტექსტიც გერმანულად წავიკითხე ბევრად ადრე, მანამ ქართულად ითარგმნებოდა. გერმანულადაც ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ზაზანი მიულერმა თარგმნა და ქართულადაც ჩემმა მეგობარმა, პაატა ჯაფარიძემ. ისმაილ კადარეს "გახლეჩილი აპრილი" - პაატას თარგმანი შთამბეჭდავია. კაჟკას შემდეგ ასეთი



დახმული სივრცე, მგონი აღარავის აღუწერია და ქართულ "კომპასთან" შეხვედრასაც ინტერესით ველოდები. ეს არის წიგნი ენციკლოპედია - აღმოსავლური ხალიჩასავით ორნამენტებით განწყობილი, ევროპელის მიერ აღმოსავლეთისთვის სიყვარულის ახსნა. ვიცი, რომ ძალიან ზოგადად ვლაპარაკობ და ისიც ვიცი, რომ ზოგიერთი რამ ვამომრჩა, მაგრამ, ალბათ, კიდევ მომეცემა შესაძლებლობა, უფრო დაწვრილებით და ვრცლად ვილაპარაკო.

- ზებალდის "აუსტერლიცის" კითხვისას ერთი ასეთი საგულისხმო ეპიზოდი ამოვიწერე: "საათი ყოველთვის ისლულელედ მეჩვენებოდა, რაღაც სიყალბედ, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემთვისვე აუხსნელი რაღაც იმპულსი იქით მიბიძგებდა, დროის ბატონობას შევნიშავდებოდი, ვგრეთ წოდებულ მოვლენათა მდინარებას გაემიჯნოდი, როგორც დღეს ვფიქრობ, იმ იმედით, რომ დრო არც გადის და არც გასულა, რომ შევძლებ, დროს ისევ დავენო, რომ იქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მანამდე იყო, ან უფრო ზუსტად, დროის ყველა მომენტი ერთდროულად და გვერდივერდ არსებობს და შესაბამისად, არაფერი იმისგან, რასაც ისტორია ჰყვება, მართალი არ არის, რადგან მომხდარი ჯერ არ მომხდარა და სულაც ახლა, ამწუთას ხდებმა, როცა მასზე ვფიქრობთ, თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ თვალწინ ის გაუთავებელი უბედურებისა და უსასრულო ტანჯვის უიმედო პერსპექტივას წარმოაჩენს."

ჩემი დაკვირვებით, "აუსტერლიცი" ტრავმების რომანია, ტრავმულია არამარტო უკუაუსტერლიცის, არამედ მთხრობლის ცნობიერებაც. ეს კრიზისული ფაზა კი, პირველ ყოვლისა, დროის კონცეფციაზე აისახება.

მოდით, "აუსტერლიცზე" მუშაობის პროცესსაც შევეხოთ. რა სირთულეებს გადააწყდით ზებალდის რთული სინტაქსის "მოხვედებისა"?

- თქვენს ციტირებულ "აუსტერლიცს" რომ ვკითხულობდი, მივხვდი, რომ ზებალდის თარგმნა მომნატრებია. "აუსტერლიცის" წელს იმდენ ტრავმულ ტექსტზე ვიმუშავე, ჩემს მეგობრებს ვეუბნებოდი ხუმრობით, ტრავმების სპეციალისტად ჩამოვყალიბდი-მეთქი.

ზებალდი უცნაური მოვლენაა გერმანულ ლიტერატურაში. მას არც ერთ ჯგუფს, არც ერთ ჟანრს არ მიაკუთვნებენ. ის ცალკეა. უცნაური კი იმიტომ, რომ ჯერ ინვალისში აღმოაჩინეს და ამის შემდეგ - გერმანიაში. ფრიდრიხ შლეგელი წერდა, რომ ავტორის საუკეთესო მკითხველი მთარგმნელია. სხვა რა გზაა. რაც კარგად არ გესმის, ვერც თარგმნი. ზებალდის ენა, თითქოს, ჰიპნოზურია, თითქოს, აუტისტურიც. ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევს, მანამ იმ ნერტილამდე არ მიგიყვანს, სადაც თვითონ გადაწყვეტს შესვენებას. ისე გქანცავს, ზოგჯერ წინააღმდეგობის განვივის ძალაც აღარ გაქვს. რთული სინტაქსი, რომელიც ხშირად წინადადებების დიდ პერიოდს მოიცავს, პარატაქსის და ჰიპოტაქსის კომბინაცია, მოძალადური ნაწილაკების და ზმნიზებების დიდი

რეპერტუარი, პარტიციპული კონსტრუქციები, რომლებიც წინადადების თავისებურ დინამიკას ქმნის და ქართულში ასე მოქნილად ვერ გამოიყენება, წინადადებების ელემენტებს შორის დიდი დაშორება, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება სინტაქსურ სიახლოვეს ითხოვს და ქართულად სინტაქსურ ახალი რიგი უნდა შექმნას; უამრავი აპოზიცი, ჩართული წინადადებები, რომლებზეც, თავის მხრივ, სხვა წინადადებებია დამოკიდებული. ზებალდი ხშირად თხრობას წყვეტს, რომ აღწერები ჩართოს და მერე, ძალიან გვიან, ოთხი თუ ხუთი გვერდის შემდეგ, ისევ უკან ბრუნდება, აგრძელებს თხრობას. სუბიექტი და ზმნის მთავარი ნაწილი, შეიძლება სადაღაც მეშვიდე სტრიქონზე გამოჩნდეს, თავად წინადადება კი ცამეტსტრიქონიანია. პედანტური სიზუსტით აღწერილი ჩრჩილების სახეობები, რომელთა შესატყვისების მოძებნა ცალკე ისტორიაა. ასეთივე სიზუსტეს იჩენს ყველა დეტალის მიმართ, იქნება ეს არქიტექტურული ფორმების თუ თავისი ფიგურების ფსიქოლოგიური პორტრეტების შექმნა. და ბოლოს, მისი ყველასგან გამორჩეული ტონალობა, მელანქოლია, ირონია და იუმორი. მოკლედ, ზებალდის თარგმნა, სტილის საკითხია.

- წლის საუკეთესო ქართული თარგმანის ნომინაციაზე რომ შევეხებით. 12 ფინალისტს შორის ვინვედათ მეტად რთული არჩევანის გაკეთება. რთულს იმიტომ ვამბობ, რომ სიაში ელზა ახვლედიანთან ერთად ხათუნა ცხადაძის, ზაზა ჭილაძის, თაყო ჭილაძის, დოდო ყვავილაშვილის, თამარ ლომიძის, თამარ ჯავახიძის, მანანა ლარიბაშვილის სახელები ფიგურირებდა. ერისთლოვანი იყო ყიური ელზა ახვლედიანის თარგმანის - "ალყირელ მეკობრეთა ტყვე: მიგელ დე სერვანტესის არაჩვეულებრივი თავგადასავლის" - შერჩევასა?

- დიახ, ერისთლოვანი ვიყავით, თუმცა ყველა ის თარგმანი, რომელსაც სახელებით, არაჩვეულებრივია, მაგრამ, რას ვიზიზებ, პრემია ერთს უნდა მიენიჭოს. სიამოვნებით ვილაპარაკებდი ამ მთარგმნელებზე ცალ-ცალკე, ალბათ, მომეცემა ოდესმე ამის შესაძლებლობა. ელზა ახვლედიანის მარკესის "მარტოობის ასი წელის" პირველი ფრაზა და "ალყირელ მეკობრეთა ტყვე: მიგელ დე სერვანტესის არაჩვეულებრივი თავგადასავლის" ბოლო ფრაზა ნარმოუდგენლად ლამაზია, ლამაზი მათემატიკური ფორმულასავითაა.

- როგორია თქვენი შთაბეჭდილებები ბესო სოლომანაშვილის რომანის "ამბავი ძველი დახვრტილებსა და ამბავი ახალი დასახვრტელებსა" შესახებ? რომანის ცენტრალური ანტაგონისტი, ჯვარნაკავაი რთული ფსიქოტიკია. მისი ისტერიული - ნევროტული მდგომარეობა არა მარტო ტრავმული გამოცდილების შედეგია, არამედ თავად ეპოქის ხატი. ეს გროტესკულად პერვერტი არსება, გარკვეულწილად, ოთარ ჭი-

ლაძის ბოლო რომანის პერსონაჟს მაგონებს. მთავარი, რაც რაჟდენ კაშელსა და ჯვარნაკავას აერთიანებს - საგანგაშოდ დამაშლუნგებელი პოლიტიკური კონტექსტია. ორივე საქართველოსთვის გარდმტენ ქაოტურ მოვლენებშია ჩართული. აქვე დავაზუსტოთ: რა კომპონენტების გათვალისწინებით გამოარჩიეთ ეს კონკრეტული წიგნი?

- უკვე სათაურივე იქცევა ყურადღებას და შემოაქვს დაძაბულობა - ამბავი ახალი დასახვრტილებია. ის, რაც აკლია ჩვენს კულტურას, უახლოესი წარსულის რეფლექსიაა. ცნობილია, რომ მსხვერპლი თავის ისტორიას არ ჰყვება. ზუსტად ასე ვიცქვივით. ვიმაღებით. სადაც არ უნდა დავიშალოთ, მინც ვნახვართ და თან უზერულად და უსუსურად. ჩვენ მსხვერპლის ფსიქოლოგია გვაქვს.

რამდენიმე წლის წინ გამოცემილი "დიოგენეს" საინტერესო პროექტი ჰქონდა. გერმანელ და ქართულ მწერლებს მიცემული ფრაზის მიხედვით ტექსტი უნდა დაენერათ. გერმანელების ტექსტები მე ვთარგმნი, ქართველების - რახელ გრაცფელდმა, რომლის სახითაც ქართულმა ლიტერატურამ ძალიან კვალიმოციური და ნიჭიერი მთარგმნელი შეიძინა. რახელს რაღაც დეტალების დაზუსტება სჭირდებოდა ხოლმე თარგმნისას და მეკითხებოდა, ასე რომ, ქართული ტექსტების სანახევროდ ნაკითხვამაც მომიწია. წარმოვიდგინოთ ვინმე, ვისაც ამ ორი ქვეყნის არსებობა არ გაუგია და ხელთ მხოლოდ ეს ტექსტები აქვს. მარტო ამ ტექსტების საფუძველზეც კი შეძლებდა ამ ორი ქვეყნის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაგებას. უკლებელივე ყველა ქართულ ტექსტში იყო მსხვერპლი, რომელსაც კლავდნენ. გერმანელები წერდნენ არაფერზე, სიცარიელეზე, მაგრამ, სულ მცირე ბეკეტი უნდა იყო, რომ სიცარიელის ტრაგიკულად აღწერილი. გერმანული ტექსტები, ლიტერატურული თვალსაზრისით, არ ვარგოდა, მაგრამ მთავარი აქ ის საერთო თემები იყო - როგორც ერთ შემთხვევაშიც, ისე მეორეშიც - რომელიც ზემოდ ვახსენებ, ჩვენ უნდა დავაღწიოთ თავი მსხვერპლის როლს, რომლითაც ზოგჯერ ვეკლუტვობთ კიდევ, საკუთარი უსუსურობის და უშლადერობის შესანიშნავად. ამ როლიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ინტელექტუალური გაბედულება და საკუთარ თავზე ლაპარაკია. ბესო სოლომანაშვილის ეს რომანი სწორედ ამის მცდელობაა. და რაც ყურადღებას იპყრობს - ამბის არა მსხვერპლის, არამედ ჯალათის პოზიციიდან აღწერა და ძალიან მკვეთრი, შემადრწუნებელი პერსონაჟები. პერმადროდიტი, ჯვარნაკავის შვილი იოსებ გოგო, ხან გოგოსავით რომ კისკისებს და ხან კაცოვით ხარხარებს - ისეთივე თავზარდამცანი, როგორც მთელი მისი ისტორიული კონტექსტია. ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. სათაურშივე გვეუბნება ავტორი, რომ თუ ამ ინფანტილურ დამაბლობანას თამაშს გავაგრძელებთ, ახალი დასახვრტიების სიაც მზდაა.

გუგა მგელაძე

ლიტერატურული პრემია “საბა 2022”-ის მოკლე სიის მიმოხილვა



ლიტერატურული
პრემია




ცოტა ხნის წინ, ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემიის მოკლე სია გამოქვეყნდა. “საბა” ის ადგილია, სადაც ნებისმიერი ინტერესების მკითხველი საკუთარ ნუგზარს აგნებს. მეტიც, “საბას” გარეშე უკვე წარმოუდგენელიც კია თანამედროვე ლიტერატურის გააზრებაზე და განვითარებაზე საუბარი. ამდენად, მოკლე სიის მიმოხილვა წარმოადგენს მიმდინარე ლიტერატურული პროცესების კონტურის მოხაზვის, თემების, პრობლემების, ინდივიდუალური ხმების, სტილის, უანრული მრავალფეროვნებისა და ტენდენციების ანალიზის მოკრძალებულ მცდელობას.

მოდი, წლევანდელი მოკლე სიის მიმოხილვა წლის საუკეთესო პოეტური კრებულის ნომინაციით დაიწყო.

ლია სტურუას ახალი კრებულის “ვაგრძელებ თამაშს?!” ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ძველი და ახალი ლექსების თავმოყრის მეტად საინტერესო პრინციპია. ეს არაა სვლა წარსულიდან მომავლისკენ (“ზღვა დაკეტილია” “დავინყების დღე”, “მგლის საათი”), არამედ ერთმანეთზე შრეებად დაფენილია სხვადასხვა პერიოდის ტექსტები, რომელთა ქოტურნი განლაგება, ვფიქრობ, არ არის შემთხვევითი და თავისთავად გარკვეული წესრიგის ლოკიკას გულისხმობს. მართალია, სააზროვნო დიაბაზონი აქ კიდევ უფრო გაზრდილია: გვხვდება რო-

გორც ძვირფასი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული ტკივილის რეფლექსის არაერთი მცდელობა, ასევე პოეზიისთვის ადგილის მოხელთების (ფიქსირების) ისტერიული სურვილი თანამედროვე სამყაროში, თუმცა მე მაინც მგონია, რომ მთავარი, რასაც ეს ორას ორმოცდევინი კრებული იკვლევს - საკუთარი თავია ანუ პიროვნება თავისი ურთულესი ფსიქიკითა და მასში მიმდინარე პროცესებით.

ვფიქრობ, ეს ლია სტურუას ყველაზე ავტობიოგრაფიული ნიგნია (ინტიმურიც), მესხიერების ლაბირინთებში მინოტავრივით გამომწყვდეული შეგრძნებების პოეზიაა საკუთარ მარტოობაზე, შიმშებზე, სიყვარულზე, სევდაზე, ქალაქზე, სადაც “მინა მარტო სასაფლაოზეა”.



მისი ვერლიბრის ენობრივი ქსოვილის დაჭიმულობა კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს რიტმისა და საოცარი ექსპრესიულობის კომბინაციას. შინაგანი მონოლოგების ეს კონკრეტული ფრაგმენტები, საერთო ჯამში, თავად ავტორის (ეპოქისაც) ცნობიერების ერთგვარი მოდელია: სტრუქტურირებული ქაოსი, რომელსაც თავისი მკაცრი კონსტრუქცია აქვს.

ფინალისტებს შორის კიდევ ერთი საინტერესო კრებულია - **“აეირეკლოთ”**.

ლელა სამინაშვილის პოეზია თავისი სრულყოფილი სტრუქტურისა და სკრუპულოზურად “დამუშავებული” სინტაქსის (ისევე, როგორც სიტყვებში განსხეულებული ემოციური მუხტის, ერთგვარი გრილი ლაგის) კომბინაციით სწორედ ყველაზე ინტიმური შეგრძნებების, შთაბეჭდილებების, პოეტის ცნობიერებაში “არეკლი” მძაფრი მომენტების “ალბომს” წარმოადგენს.

მისი პოეტიკა ასახავს მძაფრი ემოციებისა (შინაარსობრივი მხარე) და ლექსის მკაცრი გეომეტრიის (სტრუქტურული ასპექტი) ოსტატურ სინთეზს.

მძაფრი ემოციები ვახსენებ და ერთი დეტალი მინდა დავაზუსტო: ლელა სამინაშვილის პოეზიის ემოციური ფონი არასდროსაა აგრესიულად ეკვლევითური. ის არც გროტესკული სიშშიშლით ხასიათდება. მძაფრ ემოციებში პოეტის გულწრფელობის ხარისხსა და სინტიფეს გულისხმობ.

“აეირეკლოთ”, ჩემი აზრით, ლელა სამინაშვილის საუკეთესო კრებულია. მისი მოჩვენებითი “სიცივე” დისტანციის მცდელობა უფროა, ვიდრე პოეტის რეალური “თვისება”. ამდენად, ლექსებში ნაღმიებით ვაბნეული “კოდები” და ინტერტექსტუალური “დინებები” სწორედ მკითხველის ჩართულობას და მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს.

მეტაფორულად თუ ვიტყვი, მისი პოეზია ფაიფურის მოხატული ლარნაკებია, რომელსაც ფლიგორანული ოსტატობის კვალი აშენევია.

ბექა ახალაიას კრებულის, **“მგელი მაჯაზე”**, კვლევის ობიექტი ადამიანია. კოდების “განაღმვის” (ანუ ტექსტის სრულფასოვანი აღქმის) შედეგად, მკითხველი ინტონაციური და სტრუქტურული თვალსაზრისით გამორჩეული ლექსების ენობრივ რეალობაში შედრეწვას შეძლებს.

პაატა შამუგაიას “არგადარჩენა” ბოლო წლებში დანერგლ 24 ლექსს აერთიანებს და იგი ციკლებად დაყოფილი. პაატა შამუგაიას თქმით, “მთავარი მიზნეუ, რის გამოც კრებულს ის ჰქვია, რაც ჰქვია, არის თავად პოეტის (ზოგადი პოეტის, ასე ვთქვათ, პოეტის იდეის) თვისობრივი მხარე: პოეტი არის ოდისევსური “არაიწ”, რომელიც დროის ციკლოზს (წაიკითხე: კონინუქტურას ან ბაზრის ტრენდს) უნდა დაუხსნა და ცხვრის ფარას (წაიკითხე: შიშებსა და კომპლექსებს) ამოფარებული უნდა გავიდეს სამშვიდობოს. მაგრამ ოდისევსიგან განსხვავებით, პოეტი ვერასოდეს გავა სამშვიდობოს, ვერ გადარჩება და ამ ვერგადარჩენაში ვხედავ პოეზიის განწირულ და ლამაზ მისიას. (...) ჩემი სათქმელი უნდა ყოფილიყო ის, რომ პოეტს შეუძლია გადარჩეს კიდევ, მაგრამ ის არ, სწორედაც რომ არ გა-

დარჩება, პრინციპულად და მიზანმიმართულად არ გადარჩება.”

ნიკა ჯორჯანელის “ნეტფლიქსი” პოეტის ლექსებს და თარგმანებს აერთიანებს. კრებულში ავტორის შემოქმედების ბოლო პერიოდის სამ მნიშვნელოვან ლექსსაც წაიკითხავთ. ესენია: “ოვერდობი”, “შორი გადახედვების მძლოლები”, “დარაჯვები”. როგორც დიანა ანდომიადი ახასიათებს: “ნიკა ჯორჯანელი ქართული პოეზიის მოყვარულთათვის ნაციონობი ავტორია, გამოცდილი, დახვეწილი, პულტურული, ვერსიფიკაციულად გამართული, კულტურული, რომლის ტექსტების მიღმა ქართული პოეზიის ევროპულ გამოცდილებას, პოეზიის ევროპულ ხედვას ამოიკითხავთ. “ავტორის აზრით, მათ ვინც მკვლარადა მიჩნეული, რალაც იციან, დღესდღეობით ჩვეულებრი უცნობი” - გვეუბნება ავტორი. რატომ ჰქვია ნიგნს “ნეტფლიქსი”? ამაზე პასუხს კრებულში, იმავე სახელწოდების ლექსში ვიპოვით, რომელიც გვეუბნება, რომ ხმას, იქნება ეს ლექსის მძმართვის ობიექტი თუ უფრო ზოგადი მნიშვნელობით-პოეზიის ხმა, შეუძლია სიტყვებს და მოვეუწნებს მნიშვნელობებს და სიმძაფრე უტევცალოს. შესაბამისად, პოეზიისთვის ყველა სიტყვა თუ სახელწოდება შეიძლება სიმძაფრის ეპიცენტრად იქცეს”.

პოეტური კრებულის ნომინაციის ბოლო ფინალისტი ეთერ თათარიაძე. კრებულში **“ალალ იყვიდ, უშურო”** პოეტის ბოლო პერიოდის ლექსებია დაბეჭდილი. ნიგნი გამომცემლობა “უნივერსალმა” გამოსცა და მასში ავტორი ერთგული რჩება საკუთარი ენისა და პოეტიკის - დიალექტზე შექმნილ ტექსტებში მკითხველს დაძაბულ პირად სამყაროში ამოგზაურებს.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთგული მკითხველის განსაკუთრებული მოლოდინი ჩნდება ხოლმე **რომანის** ნომინაციის მიზარით. წლებადელი სია სულ ოთხი ტექსტისგან შედგება.

ირმა ტაველიძემ ბოლო პერიოდში წაკითხულ რომანებიდან **არჩილ ქიქოძის “ხვლიკი საფლავის ქვაზე”** გამოარჩია: “მელოვიარე მთავარი გმირი თხრობისას თითქოს შემთხვევით შერჩეულ ბილიკებს მიჰყვება - რომელს უნდა მიენდოს, რომ ბავშვობის სახლს, დედის სახლს არ მიადგეს? მეგობრის სიკვდილის, მკვდარი მეგობრის საკვირველად გაგრძელებული ბოლო გზის ამბები მხოლოდ მოკლე ხაზია, გამოსავლოვი, წუთიდან წუთამდე თავიდან გასახსენებელი კი ბევრად მეტია - დანაკარგი იმხელა გაზნებული, სახელი ვეღარ დაერქმევა.”

“ხვლიკი საფლავის ქვაზე” მეხსიერების რომანია, უფრო ზუსტად, ის მეხსიერების ლაბირინთის სივცრის “მოხეტიაებას” ცდილობს.

თავად ირმა ტაველიძის მოთხრობების შეფასებისას კი ხშირად აღნიშნავენ, რომ ხშირად ენას გაცილებით მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება, ვიდრე ამბის დრამატურგია. ცხადია, აქ ენის პერსონაჟდ ქცევაზე კეთდება აქცენტი ანუ როცა ენა აღარ არის მხოლოდ რეალობაზე დაკვირვების ინსტრუმენტი და ის თავად გამოხატავს საკუთარ თავს. მე კი მგონია, რომ ამ მწერლის უჩვეულო მოთხრობების ბინელი სწორედ ენისა და სიუჟეტის ოსტატურ სინთეზ-

შია. "უჩვეულო" შემთხვევით არ მისხენებია: "აღმოსავლეთის გამოგონების" კითხვისას მჩრებოდა შთაბეჭდილება, რომ პერსონაჟთა შეგრძნებების "დამოფრულ" კარდოგრაფას ვეცნობოდა.

მეტად შთაბეჭდავი აღმოჩნდა **ირბა ტაველიძის** სადებიუტო რომანი **"ზნელ წყლებში"**, რომლის შინაგანი ატმოსფერო მდორე და მცოცავი ქვიშისებრია. თხრობის ტემპის შემეშობით დრო ისე ქვავედება, როგორც ხვლიკი ქარვამში.

ილია **ჭანტურიას** რომანი **"გემი დავლანდე"** მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის რევოლუციის პერიოდს ასახავს. ტექსტში რამდენიმე ცენტრალური პერსონაჟის ამბავს ვეცნობთ. მათი ბედისწერის ხაზები ფინალისკენ იკვეთება. ავტორი ენის "დაძველების" მეთოდით ცდილობს იმ ეპოქის განწყობის, ატმოსფეროს, რეალიტების და ინტონაციური გრადაციების იმიტაციას.

"გემი დავლანდე" ისტორიოგრაფიული მეტაფიციკის ნიმუშებს ატარებს. ამდენად, მასში ასახული გარდამტეხი პერიოდის დოკუმენტური "ავთენტიურობის" საკითხი არ დგას.

რომანის სათაური გალაკტიონის ფრაზის ასოციაციურ ვარიაციას წარმოადგენს. გალაკტიონის ცნობილი ლექსი ასე სრულდება: "შავი ზღვის ზვირთებს მიაპოვდა გემი "დავლანდე" და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი". ჩემი დაკვირვებით, ეს ლექსი რომანის ეპიგრაფადაც შეგვიძლია ვიგულისხმოთ.

ილია **ჭანტურიას** რომანის კითხვისას იგრძნობა დაძაბულობა, ფორიაქი, რაც ზუსტად გარდამტეხი ეპოქის მახასიათებელია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილია **ჭანტურიას**, როგორც ერთ-ერთი საინტერესო რომანისტი, ოსტატობა, პირველ რიგში, სწორედ ენის ფლობაში (ენის "დაძველების" მეთოდში) ჩანს.

გიორგი ხარაიშვილის, **"ზნელ წყლებში - პირველყოფილი წყვდიადი"** ქართულ ფენტეზში არსებული ვაკუუმის შევსების მეთად მნიშვნელოვანი მცდელობაა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომანი ჰორორის ელემენტებსაც შეიცავს. ეს მულტიჟანრულობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ფენტეზის მოყვარული მკითხველისთვის ტექსტს უფრო მრავალშრიანს ხდის.

ნიგნის ანოტაციის მიხედვით, პატარა სოფელი ბიჭი, მამის სახელოვან საბრძოლო მოგონებებსა და ზღაპრებზე რომ გაიზარდა, საკუთარი გზის პოვნას ცდილობს, სახელსა და დიდებაზე ოცნებობს. მოკლე დროში კავლი, პროფესიონალ მეტროპოლად ქცეული, თავისი სამყაროს ბედის განმსაზღვრელი მოვლენების შუაგულში აღმოჩნდება - ორად გახსნილი სამყარო, თეთრი და შავი ტაძარი, სივრცის მთები, შავი მხედრები, მაქციები, მაგუსები და არაქნუსები.... მკითხველის წინაშეა შთაბეჭდავი ნაწარმოები, რომელიც ფენტეზის უაწრის მოყვარულ არცერთ ადამიანს გულგრილს არ დატოვებს.

ნლის საუკეთესო **პროზაული კრებულის** ნომინაციის მოკლე სია სამწერალს მოიცავს.

დათია ბადალაშვილის კრებულის **"ლეკვების სამოთხე"** მთავარი ხიბლი "ჩვეულებრივში" უჩვეუ-

ლოს, რაღაც ღირებულის შემწნევის მომენტებია. ეს ყოველივე კი სევედსა და იუმორის უცნაური კომბინაციის ფონზე ხდება.

"მკვლელობა სადგურის უბანში" რატი რატიანის მეორე პროზაული კრებულია, რომელშიც "სხვადასხვა ყანრის მოთხრობებია შესული. მაგრამ, უანრობრივი ეკლექტურობის მიუხედავად, ამ ტექსტების მთავარ პერსონაჟებს რეალური სამყაროს შიშში და უიღბლობა აერთიანებთ" (ანოტაციიდან). კრებული გეთავაზობს შემდეგ მოთხრობებს: "მკვლელობა სადგურის უბანში", "თუთი", "მოშეს ხალხიკაცი, რომელსაც მამაჩემს ეძახდნენ", "აგარია", "ლენდ-არტი", "ლიტვური დლიური", "თრილერი" და "დალაქისა და შეყვარებულის ამბავი, ნასესხები "ათას ერთი ღამიდან".

ბესო სლომანაშვილი **"სხვისი კინო"** ოთხ მოთხრობას აერთიანებს. ყოველი მათგანი ძალადობის და უკონტროლო აგრესიის, როგორც ერთგვარი მენტალური ვირუსის (ავადმყოფობის) მუტაციის პროცესს იკვლევს.

თითოეული მოთხრობა დეფორმირებული რეალობის გარკვეული მოდელია, სადაც ტრამულ ცნობიერებას "მისჯილი" აქვს გადარჩენისთვის ბრძოლა.

აქ პოტენციური პერვერტებიც თავიანთივე სტატუსების, ქცევების, ხშირ შემთხვევაში, საბჭოთა წარსულის მსხვერპლები არიან.

ბესო სლომანაშვილის კრებული საბჭოთა წარსულის ერთ-ერთი ყველაზე მტიკინული რეფლექსიაა.

ქართული კრიტიკის "თარო" (დრამატურგიასთან ერთად) ყოველთვის მწირი, თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც მრავალფეროვანია.

მოდით, წლევანდელ მოკლე სიაში მოხვედრილ ავტორთა ნივრებს გადავხედოთ.


დავით მაზიაშვილის, **"შექსპირის პოსტმოდერნიზმი"** გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რომანივით საკითხავი მონოგრაფიაა.

პირდაპირე რომ ვიყო: "შექსპირის ასეთი გემოვნებიანი რეცეფცია ქართულად ნიყო ყიასაშვილის და თამაზ ჭილაძის წერილების შემდეგ, მე პირადად, არ ნამიკითხავს.

მით უფრო, აქ აქცენტო კეთდება შექსპირის პოსტმოდერნისტულ "ნაკითხვაზე" და იმაზე, როგორ (რა აქცენტების ნაშრონით) იდგმება მისი პიესები დღეს.

დავით მაზიაშვილს აქვს ის, რაც ხშირ შემთხვევაში, არა აქვთ ქართველ თეატრმცოდნეებს: მისი ნიგნები (ვიგულისხმობთ მასალის ორგანიზების საკითხი და ნიგნის სტრუქტურა, სტილი, უფრო ზუსტად, ენის ხასიათი) პოსტმოდერნისტული რომანივით იკითხება ანუ ავტორი კარგი მოხრობელიცაა. ჯერ მარტო ენჯელა კარტერის რომანის გმირთა ჩახლართული ამბების მოყოლა რად ორიღ.

სტრუქტურაზეც რომ ვთქვათ ორიოდ სიტყვა: მონოგრაფია ხუთ ნაწილად იყოფა (ისევე, როგორც შექსპირის ტრაგედიები). ესენია: პროზა, დრამატურგია, თეატრი, დანართი, ხოლო ფინალური ნაწილი მესხიერების ბარათის ანუ დიგიტალური სა-



ხითაა წარმოდგენილი. მასში სხვადასხვა პერიოდში გადაღებული დოკუმენტური ფილმებია განთავსებული.

ნიგნის დასაწყისში დართულ შესანიშნავ წერილში "შექსპირის სიმულაკრ" დავით მაზიაშვილი აღნიშნავს: "ფიქციური შექსპირი თავის თავში მოიაზრებს ლიტერატურულ ან ისტორიულ შექსპირს და იმავდროულად ქმნის ახალსაც, რომელიც გვხვდება თანამედროვე ლიტერატურაში, დრამატურგიაში, თეატრსა თუ კინოში. დღევანდელ კულტურაში ფიქციური შექსპირი არანაკლებ აქტუალურია (...), ვიდრე მისი ისტორიული და ლიტერატურული ორიგინალი, როგორცაა ძირითადად აკადემიური სამყაროს ორბიტაზე ვხვდებით."

ნუგუშა გაგნიძის მოწოდებაა **"ცხოვრება ორ სამყაროში - გრიგოლ რობაქიძე"** მწერლის ბიოგრაფიის და შემოქმედების კომპლექსურ კვლევას წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ ნიგუშა აქცენტი სწორედ კულტურულ კონტექსტებზე კეთდება.

ანოტაციის მიხედვით, **მაკა ლდოკონენის** **"რავიკიხთო ერთად"** "ქართული და უცხოელი საბავშვო ავტორებისა თუ მათი წიგნების შესახებ დაწერილ წერილებს აერთიანებს. მაკა ლდოკონენი არაორდინარული გაკვეთილების ჩატარების სქემებსაც გვთავაზობს; ანიმაციურსა თუ მხატვრულ ფილმებს თემატურად აკავშირებს ლიტერატურულ ნაწარმოებებთან; არდადეგებზე წასაკითხი წიგნების თავისურებებზე, ილუსტრაციის მნიშვნელობასა და ბიბლიოთეკის გაზომვის ორიგინალურ მეთოდზეც გვფასობს."

სიის უკანასკნელი ნიგნი **ზაზა აზზიანიძის** **მონოგრაფია ალექსანდრე ყაზბეგზე**. მასში კლასიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების უჩვეულო, შესაძლოა, ფართო მკითხველისთვისაც უცნობ ეპიზოდებს, ამბებს ვეცნობით.

დრამატურგიაზე საუბრისას არსებობს ერთი (მე ვიტყვი, მცდარი შეხედულება), რომლის მიხედვითაც იგი ლიტერატურის გერადე ე.ი. არსარულფასოვან ფანტად ითვლება. რეალურად, პიესა, პირველ რიგში, სრულფასოვანი ლიტერატურაა და თავისთავად მოიცავს (კარგ დრამატურგის გულსისხმობ, ცხადია) თეატრალური ინტერპრეტაციისთვის ანუ სპექტაკლად ქცევისთვის საჭირო ყველა პიპონენტს.

თამარ ბართაიას ერთხელ აქვს უკვე აღებული "საბა", წელს კი მისი ახალი პიესა **"Zoiia. Guest House. ზოია. საოჯახო სასტუმრო"** მოხვდა ფინალში.

აქაც, ისევე როგორც სხვა, უფრო ცნობილ პიესებში, ბართაია ქალის ბედს, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის სხვადასხვა ფაზებს იკვლევს.

შუა ხნის ასაკის ენათმეცნიერი, გრემ გილაფიდი ერთ-ერთ საოჯახო სასტუმროში მუშაობის მაგიდას, ზოიას გაიცნობს, რომელიც გურიიდან თბილისში დროებით ესტუმრა ძმისშვილს. მათი ურთიერთობა გარდაბნელები ეტაპი აღმოჩნდება ორივეს ცხოვრებაში.

წლებანდელ მოკლე სიის მეორე დრამატურგი

მანანა დოაშვილი, უახლესი ქართული დრამატურგიის ცნობილი წარმომადგენელი.

"მეცამეტე თვე" რთული სტრუქტურის მქონე ტექსტია, რომელსაც დრამატურგმა "რომანი პიესად" უწოდა.

სტრუქტურული თავისებურება (მე ვიტყვი, სივრცულიც), პირველ ყოვლისა, სწორედ სცენების ორპლანაინობაში იკვეთება. ერთი კიბერ-დემონის კაბინეტია, ხოლო მეორე კი შეყვარებული წყვილის სივრცე.

მესამე ფინალისტის, **ბასა ჯანიკაშვილის** ნიგნი **"ნინოს ბედნიერება"** ასევე უცნაური სტრუქტურის მქონე დრამატურგიული ტექსტია. მიუღწევად მოქმედება ვირტუალურ სივრცეში, ნინოს მიერ ჩართული "ლაივ სტრიმის" ფონზე ვითარდება.

ვრცელი რემარკები კი ავტორის ერთგვარ რეფლექსებს წარმოადგენს.

წლის საუკეთესო **ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზის** ნომინაციას ხუთი ფინალისტი ჰყავს: **ლანა ლოლბერიძე, რუსუდან გორგილაძე, მალხაზ ხარბეღია, გაგა ნახუტიანი** და **გიორგი ქვიშვილი**.

ლანა ლოლბერიძის "ვისთვის ვალობს შაში", რომელსაც ასეთი ქვესათაური აქვს: "პანდემონი მოგვრის და პოეზიით შეფერილი უთავბლო ფიქრები", ერთგვარ გაბმულ მედიტაციას წარმოადგენს. აქ ყველაფერია: სიბერე, სიკვდილი, დედა, ზაირა არსენიშვილი, ფილისა გადაღების ეპიზოდები, ბავშვობა და რაც ყველაზე მთავარია, პოეზია. როგორც თავად ამბობს: "იმ ჩაბნელებულ, შშით ატანილ, მშიერ, გაძვალტყავებულ თბილისში ჩვენ აღმოვაჩინეთ პოეზია, როგორც წავსაყვდელი, როგორც თავმესაფარი. პოეზია - მშვენიერების მარადიული ძიება. მისი რიტმი - შენი პირადი და სამყაროს მაჯისცემის ამოძახილი. ის გიპყრობს, გაჯავადლებს და მიგაქროლებს უცხო სივრცეებში, სადაც ყოველ წამს სასწაული გელოდება."

რუსუდან გორგილაძე **"დიქტატურის გემოზე"** საუბრისას აღნიშნავს: "თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, ნიგნის მთავარი და ერთადერთი თემებია უნდა ყოფილიყო კვებისა და საკვების როლი მნიშვნელობა მეოცე საუკუნის დიქტატურებისა და დიქტატორებისათვის. თუმცა, მასალის შეკრების პროცესში გამოირკვა, რომ რაც უფრო მეტს ვიკვებო: მოიკვამი ნიგნის მთავარი მოქმედი პირების პირადი და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ის, ვინც დიქტატურას, როგორც დიქტატორი, გემოს გაუთიხჯავს, მას ველარასოდეს დათმობს."

გემო ვახსენეთ და შემდეგი ფინალისტის ესეები კრებულში **"ნიგნის ნაღიმები"** ლიტერატურულ გასტრონომიაზეა. ვის ნიგნებს აღარ შეხვდებით აქ: სერვანტესის, შერტა მიულერის, ვასილ ბარნოვის, ნუგზარ შატაიძის, ვარლამ შალამოვის, მო იენის, რაბელს, პლუტარქეს, ჰაინრიხ ბოლის...

მალხაზ ხარბეღიას ტექსტების ენა გამჭვირვალეა, აზრის სიკვადე და მკაფიოობა კი სწორედ მკითხველს აძლევს "ექსკლუზიურ" ნიგნის უხილავ

პერსონაჟად იგრძნოს თავი.

სიის მეოთხე ნეკრის, **გაგა ნახუცრიშვილის** "კინო **ყაზბეგი**" ნოველებს მოიცავს და მწერლის ახალ-გაზრდობის დროინდელ თბილისზე, თბილისურ ისტორიულ გვიამბობს, რომელიც საესეა ნოსტალგიით, სევდითა და იუმორით.

გიორგი ჭეიშვილის, "ტფილისის ლამის რაინდები" გამორჩეულია იმდენად, რამდენადაც ძველი თბილისის კრიმინალურ ქრონიკებს აერთიანებს და მართლაც, დეტექტივით იკითხება.

დებიუტის ნომინაცია საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც სელექციის და გამარჯვებულის შერჩევის პროცესს ართულებს. სიაში ცხრა ავტორის ნივნი გვხვდება.

ლელა კურტანიძის "მელატონინის" განხილვისას ნანა აბულაძე აღნიშნავს: "მელატონინში" შემაჯავლი ყველა ლექსი სწორედ კონკრეტულსა და უნიკალურს გადმოცემაა, იმის გასიტყვება, რაც ყველას გამოგვიცდია, მაგრამ ვერ მოგვიხელთებია - არ დავკვირვებოდით ან შეგვეჩინა მოხელთების, ამოთქმის."

მართლაც, "მელატონინი" გვაოგნებს თავისი გულწრფელობით, სიფაქიზითა და შეგრძნებათა გრდაკციით.

დავით ჯიშკარიანის "ბუცები და ტყავის ჩექმა" საქართველოში ფეხბურთის შემოსვლის ეტაპებს ასახავს. მათ შორის, აქ საუბარია იმაზეც, თუ როგორ ვითარდებოდა თბილისის "დინამო" ტოტალიტარურ სახელმწიფოში.

კვლევა საარქივო მასალას და პირად ინტერვიუებს ეყრდნობა.

შემდეგი დებიუტანტის მოთხრობების კრებულზე **"ყოველი ამბის დასასრული"** საუბრისას შოთა იათაშვილი ასეთ დაკვირვებას გვთავაზობს: **"მინდია არაბულის** სამოქმედო არეალი რელიგიურ-მიოლოგიური და პასტორალურ-პროცლიკული სივრცეებია, ურბანული გარემო მას არ აინტერესებს. სწორხაზოვანი ნარატული თხრობა მასთან იშვიათია. უყვარს ფრაგმენტულობა, სცენების უცებ მოქცა, რაღაცის აუხსნელად, "სტრიქონებს შორის" დატოვება, სწვევია ღია ფინალებიც. აქვს იუმორის კარგი გრძნობა, რომელიც შეიძლება გადავიდეს ირონიამ, მაგრამ არასდროს გადადის სარკაზმსა თუ ცინიზმში, ანუ არასდროს ხდება აგრესიული."

მარიამ გურგენიშვილის "მარგალიტი" ბოლო პერიოდის ერთ-ერთ აღმოჩენად იქცა.

ელენე ფოლფანის აზრით, "რომანი მოზარდებზეა, შესაბამისად, ბავშვობის დაკარგვის თემას გვერდს ვერ აუვლის. ეპოქალური თავისებურებების გამოყენებით გურგენიშვილი ოსტატურად ახერხებს მკითხველსაც ხელახლა გამოატაროს ცნობიერების ცვლილებას მტიკერეული გამოცდილება."

თავის სადებიუტო რომანზე **"ბალანსი"** საუბრისას **კოკა ქაშუაძე** ინსპირაციაზეც ამახილებს ყურადღებას: "სურვილი მაშინვე გამოჩნდა, როცა ჩემს ცხოვრებაში ეს ამბავი მოხდა. რაც საპატიმროში ვიყავი, იქ იმდენად უჩვეულო ამბები ხდებოდა, იქვე გამოჩნდა სურვილი, რომ ეს გამოცდილება ვინმესთვის მომეყოლა. შეიძლება ეს ჩემთვის იყო

უჩვეულო, თუმცა არა მგონია. საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ დაახლოებით ათი წელი ფიქტობდი და გონებაში ვამუშავებდი ამბავს, რომელიც შემდეგ, 8 თვეში წიგნად ვაქციე".

რომანი ციგში მოხვედრილი ლევან კაკაბაძის, ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭის, ისტორიას გვიამბობს.

თეიმო რეზიაშვილის "კურიერის ამბები" უკრიერად მომუშავე მსახიობის ისტორიაა. ამ ტექსტის ხიბლი კი, ფიქტობ, თვითირონიულობასა და სიცილის სიმძაფრეში მდგომარეობს.

თორნიკე სიბაშვილი, "დეტექტივი" პოეტური კრებულაა. ნივრის სათაური თვალთვალის, დაკვირვების ასოციაციას აჩენს, ოღონდ ამ ამპლუაში, ავტორზე მეტად, მკითხველი გვევლინება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ლექსების მიღმა არსებული რეალობა სწორედ მკითხველის აღმოსაჩენია.

მთელი ნივნი ღუმლის რღვევისა და ლირიკული სუბიექტის გონებაში არსებულ შემადრუნებულ აჩრდილებთან კონფლიქტის (სხვა სიტყვებით, დროსთან კონფლიქტის) ანაბეჭდია. კრებულში შემავალი ლექსები თითქოს ერთმანეთს ვაჭყურნი პრინციპით აგრძელებენ.

მაგდა კალანაძის რომანი "შეორე ოთახი" ყურადღებას იქცევს თავისი სიმშველითა და სიბასარით. რომანის მთავარი პერსონაჟის, ელენე მახარაძის ზანტი, დუნე, ერთფეროვან მყუდროებას, ერთი შეხედვით, სრულად განაღობს, თუმცა როგორც თანდათან ირკვევა, გარდამტეხი მოვლენა, ფაქტი არღვევს და აყირავებს.

მკითხველში შოკის მომენტს, უხერხულბამდე გულწრფელი მონოლოგის გარდა, რომანის ატმოსფეროც: სივრცის შედადებული დახუთულობა ბადებს.

დებიუტის სიის ბოლო ფინალისტი **გიორგი კახიშვილია**, რომელიც **სოფოკლეს** "ტრაქიისელი ქალები" ბრწყინვალედ თარგმნა. ტრაგედიაში ჰერაკლეს უმძიმესი აღსასრულის ამბავია დამუშავებული.

გიორგი კახიშვილი აღნიშნავს, რომ "ჰერაკლეს დასწავლება ყველაფერთან ერთად მის ბუნებაში ფესვგადგმული ძლიერი სქესობრივი ლტოლვის შედეგია. ჰერაკლეს ლტოლვა ქალბუნებაში დივანიარა სამეზოს იხსენიებს სწულდება. (...) დასწავლებული ჰერაკლე კლავს სრულად უდანაშაულო ლიქსას. საზოგადოდ, ჰერაკლე მოკლულულია რისხვის გაკონტროლების უნარს და გამოიჩინა სისასტიკით. ეს ჰერაკლეს ხასიათის ზოგადი ნიშნებია, აგრეთვე ინტენსიფიცირებული სწულების მიერ."


თანამედროვე მკითხველი არასოდეს არ ყოფილა ისეთი განებივრებული, როგორც დღესაა.

სელექციის პრინციპი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია თანამედროვე ლიტერატურის შერჩევისას. "საბა" კი ამ ყოველივეს დიდი პასუხისმგებლობითა და გემოვნებით ახერხებს.

მოდით, ერთად დაველოდოთ გამარჯვებულ ფინალისტთა გამოვლენისა და დაჯილდოების ემოციურ პროცესს. ლიტერატურა ხომ აღმოჩენების სამყაროა.

ირინა ჯავახაძე: პრემია “საბა” და აპლიკაცია ერთობლივად აძლიერებენ ერთ ბრენდს

ესაუბრა კესო უძილაურს



ელექტრონული წიგნების სახლი “საბა” 2012 წელს დაარსდა და მომხმარებელს ელ. წიგნების ფართო არჩევანს, ხმოვან წიგნებს, პოდკასტებსა და ლექციებს სთავაზობს. დღესდღეობით ქართულ ინტერნეტ სივრცეში SABA READER-ი ყველაზე დახვეწილ და მკითხველზე მორგებულ აპლიკაციას წარმოადგენს.

“საბას” განვითარების 10-წლიან გზასა და მოსალოდნელ სიახლეებზე ვესაუბრეთ ელექტრონული წიგნების სახლის დირექტორს, ირინა ჯავახაძეს.

- როგორ განხდა ელექტრონული წიგნების სახლის შექმნის იდეა?

- 2012 წელს, როცა პრემია “საბა” არსებობის 10 წელს ითვლიდა, მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის, რატი ამაღლობელის ინიციატივით და თიბისის მხარდაჭერით შეიქმნა ელექტრონული წიგნების პლატფორმა და აპლიკაცია SABA Reader, რომლის მეშვეობითაც ქართველ მკითხველებსა და ემიგრანტებს მუდმივი კავშირი ექნებოდათ როგორც ქართულ, ისე - თარგმნილ ლიტერატურასთან. გარდა ამისა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ნებისმიერ ფიზიკურ პირს შეეძლო საბაზე განეთავსებინა მისი ჯერ კიდევ გამოუცემელი ტექ-

სტები და გაეცნო მკითხველისათვის.

- დღესდღეობით “საბა” ყველაზე ცნობილი პლატფორმაა. როგორ ვითარდებოდა იგი ამ 10 წლის განმავლობაში?

- დღევანდელი შეფასებით, SABA Reader-ს არ გაუვლია მარტივი გზა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ბაზარზე უკვე არსებობდა მსგავსი პლატფორმა, რომელმაც შემოიკრიბა ელექტრონული წიგნების მკითხველები. თუმცა სწორად დასმულმა აქცენტებმა განაპირობა ის მოცემულობა, რაც გვაქვს დღეს - აპლიკაციის განსაზღვრებულ მნიშვნელოვანი იყო და არის სამი ძირითადი მართულეობა, ესენია: წიგნებისა და ჟანრების მზარ-



დი ასორტიმენტი, აპლიკაციის ტექნიკური გამართულობა და მისი მუდმივი განვითარება, მარკეტინგული მხარდაჭერა - ჩვენი პროდუქტი გავაცნოთ და შევაცვაროთ მომხმარებლებს. ათი წლის განმავლობაში ელექტრონული წიგნების რაოდენობამ გადააჭარბა 7000-ს, მათ შორის არის ხმოვანი წიგნები, პოდაკასტები, საბავშვო ლიტერატურა და სხვა. გამორიცხულია, ლიტერატურის მოყვარულმა თავისთვის საინტერესო წიგნი ვერ აღმოაჩინოს საბაზე. დიდი ძალისხმევით ვითარდება SABA Reader, რომელიც მუდმივად ახლდება და ემატება ახალი ფუნქციები იმისათვის, რომ ელექტრონულ მონუსხილობებში კითხვა სასიამოვნო პროცესი გახდეს ყველა გემოვნების მკითხველისთვის. დღემდე, როგორც Google Play-ში, ისე Apple Store-ში აპლიკაციის მაღალი შეფასებები აქვს. ის ფაქტი, რომ დღეს "საბა" ყველაზე პოპულარული პლატფორმაა, მიანიშნებს სწორად დაეგმილ მარკეტინგულ სტრატეგიაზე, რომელიც მასთან ერთად ვითარდებოდა ეს 10 წელი.

- "საბას" მთავარი უპირატესობა?
 - ლაკონიურად, ერთ წინადადებაში - მოქნილი, ყველასათვის ხელმისაწვდომი და კომფორტული აპლიკაცია.
 - თვითხოვლაციის პირობებში გაიზარდა მოთხოვნა ციფრული რესურსებისადმი. ამასთანავე, როდესაც პანდემია მძიმვარებად, გარკვეული დროით მომხმარებლისთვის საბას 6000-ზე მეტი წიგნი უფასოდ ხელმისაწვდომი გახდა. რამდენად გაიზარდა ელ. წიგნების მკითხველთა რიცხვი საქართველოში? როგორი იყო ახალდარეგისტრირებულ მომხმარებელთა სტატისტიკა?
 - პანდემიის პირობებში სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, რომლის აღსრულებაშიც "თიბისი" დაგვეხმარა. 2 თვის განმავლობაში ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლო უფასოდ ეკითხა და მოესმინა ელექტრონული წიგნები. უამრავი მადლობის წერილიც და დადებითი შეფასება მივიღეთ მკითხველებისგან. როგორც ჩანს, იმ კარჩაკეტილ, აკრძალვებით სავსე გარემოში "საბა" ერთგვარი შვევა და განტვირთვა აღმოჩნდა ყველასათვის, რაც ძალიან გვახარებს. აპლიკაციას იმ 2 თვეში შემოუერთდა 61 000 ახალი მკითხველი. მათ უკვე არსებულ მომ-

ხმარებლებთან ერთად უფასო კითხვის პერიოდში ჯამურად 140 000 წიგნი წაიკითხეს.

- რა კატეგორიის ლიტერატურას ანიჭებს უპირატესობას ქართველი მკითხველი?

- ქართველ მკითხველს უყვარს პროზა, განსაკუთრებით თარგმნილი, და ურჩევნია მოუსმინოს, ვიდრე იკითხოს. ბოლო წლების ტენდენცია ასევე ცხადყოფს, რომ არანაკლებია დაინტერესება თანამედროვე ქართული პროზისადმი. ფანრობრივად კი აპლიკაციაში ყველაზე ხშირად სათავგადასავლო რომანებს, სამეცნიერო ფანტასტიკასა და ფენტეზის კითხულობენ.

- როგორ შეაფასებდით, რა შედეგი მოიტანა პრემია "საბაში" ელექტრონული წიგნების ინტეგრირებამ და კიდევ თუ იგეგმება რამე ამ მიმართულებით?

- პრემია "საბა" და აპლიკაცია ერთობლივად აძლიერებენ ერთ ბრენდს, რომლის მიზანია, ქართული ლიტერატურისა და ავტორების ხელშეწყობა, კითხვის პოპულარიზაცია და მკითხველისთვის სასიამოვნო პირობების შექმნა.

- ტრადიციული კითხვა - შეძლებს თუ არა ელ. წიგნი ბექდურის ჩანაცვლებას?

- მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული წიგნების მკითხველთა რაოდენობა იზრდება და ახალი თაობებისთვის ტელეფონსა და სმარტფონის კითხვა უცხო არ არის, მაგონია, ჯერ კიდევ შორს ვართ ბექდური წიგნების ჩანაცვლებისგან.

- დაბოლოს, სამომავლოდ რა სიახლეებია მოსალოდნელი?

- მოგხსენებთ, რომ SABA Reader გამოსწორის მოდელით მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ მკითხველი კონკრეტული პაკეტის შეძენის შემდეგ წვდომას სრულ ბიბლიოთეკასა და აპლიკაციის ყველა ფუნქციას. ლიცენზიონთან ერთად მუდმივად ვმუშაობთ აპლიკაციის განვითარებაზე და მალე ჩვენ მომხმარებლებს უფრო მოქნილ პაკეტებს სისტემას შევთავაზებთ. რიდერს დაემატება ის ფუნქციები, რომელზეც დიდი მოთხოვნაა, ასევე, გაიზარდება ხმოვანი წიგნების რაოდენობა და 2023 წლის დასაწყისში ჩვენს მკითხველებს განახლებულ ვებ-გვერდზე შევხვდებით, სადაც ბევრი საინტერესო საკითხავის გარდა, მომხმარებლებს გამოწერის სერვისის შეძენაც შეეძლება.

ნანა კობაიძე

ნმინდა ღირიკის მთარგმნელი



ამ წერილის ბედი ცოტა უცნაურად აენყო. მანანა ღარიბაშვილთან ინტერვიუ 2019 წლის მიწურულს დავეგეგმეთ. თარიღზეც შევთანხმდით - ნაახალწლევს უნდა ვწვეოდი და ვცესაუბრა, თუმცა მისი ცხოვრების თანამგზავრის - დიდი პოეტისა და მთარგმნელის, დავით წერეთლის გარდაცვალებამ კარგა ხნით გადაადო ჩვენი შეხვედრა. მოგვიანებით, როცა გაზაფხულის ერთ მზიან დილას შინ ვესტუმრე, უეცარი ელდის ტალღა თითქოს ჩავლილი იყო, თუმცა ბევრ რამეში იგრძნობოდა მონატრება.

პირველი, რაც მასთან მისულს თვალში გხვდება, წინგებით სავსე თაროებია - სხვადასხვა ნაცნობ თუ უცნობ ენაზე უამრავი კარგი გამოცემით და იქვე შემონყობილი პრემია "საბას" ოთხი სკულპტურა. ერთ-ერთი ოდნავ განსხვავდება დანარჩენებისგან. ეს ყველაზე ძველია. სხვათა შორის, დათოზე ადრე მივიღეო - ელიმება. ჯილდო კატულუსმა მოუტანა, რომაელთა გამორჩეულმა პოეტმა, რომელსაც სრულად მიანერს თავის ნარმატივებს, თუმცა ვისაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია ანტიკურ ტექსტებთან, კარგად იცის, ეს ყველაფერი რამხელა შრომას უკავშირდება. ძველი ბერძნული და ლათინური პოეზიის შემთხვევაში, სადაც რითმის კლასიკური ფორმები უგულვებელყოფილია, სურათი კიდევ უფრო რთულდება. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: მაშ, რად ივდებენ მთარგმნელები თავს ამ "განსაცდელში", რა აიძულებთ

ან უბიძგებთ, თავიანთ ენაზე გააცოცხლონ ლექსი, რომელსაც ძალიან ცოტა მკითხველი ჰყავს?

სხვა სიყვარული

"რაც შეეხება კლასიკურ შედეგებს, სწორედ იმიტომ მოითხოვენ თარგმნას, რომ მკვდარი ენის სიცოცხლის ერთადერთ თავშესაფარს, ერთადერთ საცავს წარმოადგენენ და მხოლოდ თავად არიან პასუხისმგებელი ამ ენათა უმომავლო მომავალზე. ისინი მხოლოდ მაშინ ცოცხლობენ, როცა ითარგმნებიან; უფრო მეტიც, მშობლიური ენის წიაღში ეს ნაწარმოებები ისე ცხოვრობენ, თითქოს განუწყვეტლივ თარგმნიან და ახანგრძლივებენ თავიანთ ყველაზე მთავარ თავისებურებას - დასაბამიერ უცხოობას" (მორის ბლანშო "თარგმანის შესახებ", თარგმნა მალხაზ ხარბედიამ).

პირადად ჩემთვის მორის ბლანშოს ეს სიტყვე

ბი ყველაზე კარგად ასახავს მისი საქმიანობის არსს და მეტ-ნაკლებად ხსნის, რა შეიძლება ამოცნაურებდეს თანამედროვე ადამიანს, რომელსაც ცხოვრების მიზნად საუკუნეების წინანდელ პოეტთა ნააზრევის გაცოცხლება და მათი "მკედარი ენების" ბრჭყალებიდან გაიხსნა დაუსახავს - პირდაპირი და გაბაღმართი მნიშვნელობით. თუმცა არსებული უფრო მარტივი პასუხია: სიყვარული. "როდესაც ბაჩანა ბრეგვაძე ფსევდო-ლონგივის თარგმნიდა, არ ფიქრობდა, ამ ტექსტს ვინ წაიკითხავდა. ეს სულ სხვა ენება, სხვა სიყვარული, რომელიც იმ მომენტში გამოძრავებს." სწორედ ამ ენებამ განსაზღვრა მისი ცხოვრება.

ტექნოლოგიების ეპოქა, ერთი მხრივ, ადამიანთა ყოფა გააიოლა, მეორე მხრივ, სულიერების აღქმა გაართულა. "სწრაფი მოხმარების" ობიექტად ქცეული საზოგადოება, რომელიც ზედმეტი ძალისხმევით გარეშე ცდილობს საამოვნების მიღებას, მოხმარებლის თვალთ უყურებს ყველაფერს, მათ შორის, ლიტერატურას. ვასაკვირი არ არის, რომ სულ უფრო მცირდება მკითხველთა რიცხვი, ვისთვისაც ძველი ბერძენი ან რომაელი ავტორების ტექსტებთან ურთიერთობა სულიერ-თან ერთან, ესთეტიკური საამოვნებაცაა. თუ ვინმეს შეიძლება "ლიტერატურული გურმანები" ვუწოდოთ, უპირველესად, ალბათ მათ. კიდევ უფრო ცოტაინ არიან ისინი, ვისაც ამ ავტორთა პოეზიის თარგმნა შეუძლია. ის ერთ-ერთია მცირედთაგან, ვინც წლების წინ შეუდგა ძველ რომაელთა ლირიკული ოპუსების "გაქართულებას" და ამას ჰქონდა თავისი წინაპირობა.

მე ვწერდი ლექსებს

"მე ვწერდი ლექსებს. იმ პერიოდში ლიტერატურით ვტაცებულნი ბევრი მოზარდის მსგავსად, პიონერთა სასახლეში დავდიოდით. ჩემთან ერთად იყავნ მამუკა სალუქვაძე, ლაშა თაბუკაშვილი, რამაზ საყვარელიძე, ნინო ხოფერია... ძალიან კარგი წრე გვქონდა. ლექსებს ვკითხოვობდით, ვმსჯელობდით, თავი მოგვწონდა... მეორე თარგმნა დავიწყე. ვთარგმნიდი მაიაკოვსკის, ცვეტაევის. მაინტერესებდა, როგორ გამოიხივოდით. არაღც ეტაპზე ლექსის თხზვა შევეწყვიტე, თუმცა ჩემში არსებული ენერჯია არსად გამქრალა და როდესაც უნივერსიტეტში, კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, გადავეწყვიტე, მე-თარგმნა კლასიკური პოეზია".

გვეფნემ მის გარდა პოეზიას კიდევ ორნი თარგმნიდა: ლევან ბერძენიშვილი და გიორგი ხომერიკი. ბოლო კურსზე რისმაგ გორდენიანმა ოვიდიუსის Amores შესთავაზა. დიდხანს, გულდასმით მუშაობდა. საბოლოოდ "ტროიბანი" ვრცელნი შესავლითა და კომენტარებით 1987 წელს დაიბეჭდა. მოგვიანებით ამ თემაზე დისერტაციაც დაიცვა. მეორე სხვა პოეტებით დაინტერესდა.

პროფესორ თარგმნიდა, მაგრამ რაღაც მომენტში ინტერესი გაუქრა. პოეზია ერჩია - ლირიკა, რა თქმა უნდა. "რომაული ლირიკის მწვერვალზე-


ში," რომელიც 2016 წელს გამოიცა, ძველ რომაელთა თითქმის ყველა ცნობილი პოეტი გავრთიანდა. რასაკვირველია, თითოეულის ოსტატობა განსხვავდება და იმდროინდელ ლირიკასაც ნაკლები აქვს საერთო ამ ჟანრის თანამედროვე ხედვასთან, თუმცა არის ერთი გამორჩეული ავტორი, რომელსაც კითხულობ და გრძნობ, რომ დღესაც, ამდენი საუკუნის შემდეგ, აზრხებს პოეზიის მოყვარულთა აფორიაქებას. ეს ავტორი კატულუსია.

Habent sua fata libelli

ვინც კატულუსის ხელნაწერის ამბავს იცნობს, დავგეთანხმება, გამოთქმა - Habent sua fata libelli ("წიგნებს თავისი ბედი აქვთ") ყველაზე მეტად მისი ლექსების თავგადასავალს შეეფერება. ვინც არა, მოკლედ მოუთხრობთ ამ ისტორიას: საქმე ისაა, რომ X საუკუნეში, როდესაც ლათინური მხოლოდ ეკლესიისა და მეცნიერების ენად იყო ქცეული, ვერონის ერთ-ერთ მონასტერში ადგილობრივმა ეპისკოპოსმა ძველი რომაული ეპოქის ლექსების ხელნაწერი იპოვა, რომლითაც ძალზე მოიხიბლა, ავტორის წარმართობის მიუხედავად. ეს იყო გაითი ვალერიუს კატულუსის ლექსების ერთადერთი კრებული, რომელიც მის მშობლიურ ქალაქს შემთხვევით შემორჩა. მოგვიანებით ხელნაწერი ისევ გაქრა, თუმცა XIV საუკუნეში კვლავ იპოვეს და რამდენჯერმე გადაწერეს. შემდეგ კი ყველა ვეროპულ ენაზე ითარგმნა. იმ ფონზე, რომ ანტიკური პერიოდის ტექსტებმა, ძირითადად, ფრამენტებად მოაღწია, ბევრი რამ დაიკარგა, კატულუსის სრულად შემორჩენილი 113 ლექსი პოეზიის ისტორიისთვის ნამდვილი გამართლებაა. მათში ორ სრულიად საპირისპირო ავტორს ვხვდებით: ლირიკულს, ალერსიანს - როცა საქმე მის საყვარელ ღვსიანს ეხება და დაუნდობელს, მწვავეს, გვსლიანს - როდესაც ეპიგრამები იულიუს კეისარს ან რომელიმე მტერ-მოყვარეს უპირისპირდება. ორივეგან ძალზე ცოცხალი და თანამედროვეა, იმდენად, რომ გგონია, ახლო წარსულიდან გესაუბრება. მისი ნაწარების წარმატება, ალბათ, ამანაც განაპირობა.

Pro captu lectoris habent sua fata libelli - ასე ჟღერს მთლიანობაში ზემოხსენებული ფრაზა, რომელსაც, ძირითადად, მეორე სწავლით ვიცნობთ და რომლის ავტორი გვიანანტიკური ხანის გრამატიკოსი და პოეტი, ტერენციანუსია. ის ამბობს, რომ წიგნებს თავისი ბედი აქვთ იმის შესაბამისად, თუ როგორ მიიღებს მკითხველი მათ. უფრო ლაკონიურად თუ ვიტყვით, წიგნების ბედს მკითხველი განსაზღვრავს. საბედნიეროდ, პოეზიის მოყვარულებმა ზუსტად აღიქვეს კატულუსის გზავნილები. მათ შორის, საქართველოშიც.

"კატულუსი ყველასგან გამორჩეულია: ენერჯით სავსე, ცეცხლოვანი; პირველი შეგორნება, რაც მისი კითხვისას გინრდება - არის ვანცდა, რომ შენი თანამედროვეა. რა იწვევს ამ გორნობას? რა ბადებს ამ ემოციას? პოეტის განსაკუთრებული თვისება - უშუალო აღქმებითა და განცდით და-



მუხტოს ლექსი, აერიდოს ტრაფარეტებს, შექმნას ინტიმური ვარემო, ცოცხალი ინტონაციით გაათბოს სტრიქონი. მის ლექსს, ავრთვევ, განსაკუთრებულ ცხოველმყოფლობას ანიჭებს ირონია, მაგრამ არა მხოლოდ ბასრი, გამჭირდავი, სარკასტულობაში გადასული ირონია (ასეთს მრავლად შეხვდებით მის სატირულ ოპუსებში), არამედ, ასე ეთქვას, სუფთა ლირიზმითან გადაწველი. შესაძლოა ეს უფრო თვითირონიაც იყოს, მაგრამ ასე გამოკვეთილად არც მხოლოდ თვითირონია ეთქმის. მისი ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ლექსი, სადაც სატრფოვს მკვდარ ბელურას დასტირის (1,3), ამგვარი "ლირიკული ირონიის" კლასიკური ნიმუშია. ვისკენ არის ეს ირონია მიმართული? ლესბიანსა კენ? საკუთარი თავისკენ? ღმერთებისკენ, რომელთაც ასტენებს? ჰოც და არაც. ლექსის მომხიბვლელობას შესაძლოა, სულაც ეს ტონალობა, ეს ირონიული ღიმილი განაპირობებს. რასაკვირველია, თავგანზნებერვი ვიმუშავებ და მერგენება, რომ შევძელი "ირონიული ღიმილის" გადმოტანა, მაგრამ ის, რომ კატულუსის პოეზია უადრესად თანამედროვედ იკითხება და 21-ე საუკუნის მკითხველს აფორიაქებს, დიდწილად პირველ ავტორის დამსახურებაა. სხვა რომელი პოეტები მასთან შედარებით ნაკლებ თანამედროვედ გამოიყურებიან; ვთქვათ, ვერგილიუსი, რომლის სტრიქონს მეტი დახვეწილობა აქვს. მის ბუკოლიკურ პოეზიაში (რომელიც ცხოვდა ხნის წინ თარგმნე) საოცარი ლირიკული პასაჟები გვხვდება, მაგრამ ძალზე ნატიფი ლიტერატურული გემოვნება უნდა გქონდეს, ღრმად გესმოდეს ანტიკური პოეზია, რომ სრულად იგრძნო ვერგილიუსის, რომის პირველი პოეტის მწყემსური (როგორც ევროპაში უწოდებენ - პასტორალური) სიმღერების ხიბლი და ძალა. კატულუსი უფრო იოლად აღიქმება, თუმცა გარკვეული "მომზადება" მასაც სჭირდება."

ვერგილიუსის ძალა

"რომაული ლირიკის მწვერვალებში" ოქროს ხანის ყველა მნიშვნელოვანი რომაელი ლირიკოსის ლექსები შევიდა (ტიბულუსის, პროპერციუსის, პირაციუსის, ვერგილიუსის, ოვიდიუსის); რასაკვირველია, კატულუსი უფრო ეცლდა და წარმოდგენილი, ვიდრე სხვა კორიფეები - პრინციუსი, ოვიდიუსი და ვერგილიუსი; თუმცა სწორედ ამ კრებულისთვის გაბედა და ხელი მოჰკიდა ვერგილიუსის სამ ეკლოგას. ვერგილიუსის "ბუკოლიკური პოეზია" ცალკე წიგნად გამოიცა. ევროპული ენებისგან განსხვავებით, რომლებზეც ამ ტექსტის არაერთი კარგი თარგმანი არსებობს, ეს მისი ქართულ ენაზე გადმოტანის პირველი მცდელობაა, რაც დიდ პასუხისმგებლობასთა ერთად, უამრავ სირთულეს უკავშირდება. მათ შორის, სალექსო სისტემებაც.

"ცნობილია, რომ ანტიკური პოეზია მეტრული ლექსითწობაა, ანუ მარცვალთა სიგრძე-სიმოკლეზეა აგებული; ქართული ლექსითწყობა კი სი-




ლაბურ-ტონურია, ან, ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით (ვიორგი წერეთელი) - სილაბური. ყოველ შემთხვევაში, ეს სისტემები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. ბერძნული (და, შესაბამისად, რომაული) საზომებთან ახლოს მდგომი ვერსია ქართულში არ მოგვეპოვება; "ბუკოლიკებში" ვერგილიუსი დაქტილურ ჰეგზამეტრს იყენებს. პირობითად, ქართულში ჰეგზამეტრი ხშირად გადამოაქეთ ე.წ. 14 მარცვლიანი ბესიკურით, რომელიც ძალიან გაცვდა: თითქმის ყველაფერი ამ საზომით ითარგმნება, მათ შორის, შექსპირის ტრაგედიებიც და ინტონაციურად სრულად შეუსაბამოა - სხვა ჟანრული ინერცია ახლავს. ამიტომაც გადავწყვიტეთ, სულ სხვა საზომს მივდგომოდი - 17 მარცვლიანი, რომელიც უფრო მიხაზილი უნდა მერძნულ ჰეგზამეტრთან (აუცილებელი ქორეოპოლოვდება, კადანების რიცხვიც უმეტესად იგივეა და რაც მთავარია, ნიშანდობლივ სხვა ჟანრებს არ გვახსენებს)."

არჩევანმა გაამართლა - ჩვიდმეტმარცვლიანი საზომი ქართულ ტექსტში ბუნებრივად ჩაჯდა, თუმცა მაინც მიიწვევს, რომ დედანს სულ ოდნებ მიუახლოვდა. ეს არც არის გასაკვირი: ნებისმიერ ენაზე რთულია სწორუპოვარი ვერგილიუსის თარგმნა. როგორც მთარგმნელი წიგნის შესავალში აღნიშნავს, "ვერგილიუსის ღირსებათა დიდი ნაწილი, რაც ენობრივ ძალასა და სილამაზეშია გუმოხატული, თარგმანს უსხლტება და მისსავე ლათინურში რჩება. ვერგილიუსი, პირველ ყოვლისა, ენობრივ სილამაზეზეა ორიენტირებული, რისი გადმოცემაც სხვა ენაზე ვიდრე და რთულია (გაუხიხნოთ ვალაკტონი), ვერრე ისეთი პოეტებიცა, რომელთა მთავარი ხიბლი ("ეშხი") კატულუსის მსგავსად, განცდათა სიმძაფრე, "ლირიკული ირონია" და ნახვარტობაა და არა საკუთრივ ენობრივი სილამაზით შექმნილი პოეზია."

მეოთხე ეკლოგა

პუბლიუს ვერგილიუს მარონის "ბუკოლიკები", რომლებიც პოეტის ყველაზე ადრეული ქმნილებებია, პასტორალურ, მწყემსურ ყოფას გვიხატავს. ასევე, პოეტურ შეჯობებს, სასიყვარულო ელიოგოგობას. წიგნი ათი ეკლოგისგან შედგება (ეკლოგა "რჩულს" ნიშნავს), სადაც ავტორი მუფარულად საკუთარ თავზეც გვიყვება, ყველაზე მნიშვნელოვან ამბებს გვიზიარებს თავისი ცხოვრებიდან. მათ ერთი განსაკუთრებულად, თუმცა რამდენიმე ამოვარდნილია საერთო კონტექსტიდან. მათ შორისაა ცნობილი მეოთხე ეკლოგა, რომელსაც დიდი მძლევარება მოჰყვა.

"ამ ტექსტმა სახელი გაითქვა არა მხოლოდ პოეტური თვალსაზრისით (ამ კუთხით ზოგიერთ სხვა ეკლოგა შეიძლება სჯობს კიდევც), არამედ, სულ სხვა მიზეზით: რის გამოც მუა საუკუნეებში ვერგილიუსს "მაგას" და "ჯადოქარს" უწოდებდნენ; დანტეც "წითარევი კომედიაში" თავისი მეტყვერობა სწორედ მას დააკისრა; ქრისტიანები დიდ პატივს სცემენ. ეს არის ეკლოგა, რომელშიც



მკვლევართა ნაწილის აზრით, ნაწინასწარმეტყველებულია ქრისტეს მოვლინება. არსებობს სხვა მოსაზრებებიც, მაგრამ მყარი კონტრარგუმენტები ვერაფერს დაუპირისპირა.

მართლაც, საკმარისია ნაიკითხოთ, როგორი დარწმუნებით ლაპარაკობს დიდი რომაელი პოეტი ყრმის დაბადებაზე, რომელიც სრულიად შეცვლის კაცობრიობას (სიკეთე დაისადგურებს და ბოროტება დაითრგუნება); როგორი აღტაცებით საუბრობს მასზე და შესთხოვს ღმერთს, ცოტა ხანს აცოცხლოს, რათა იხილოს ეს ყრმა, სხვადასხვა ვარაუდს შორის - რა იმალება ამ უცნაური ტექსტის მიღმა, უპირატესი რჩება ქრისტეს მოლოდინის თემა.

საიდან და რატომ იცის ყველაფერი, ვერაფერს ვიტყვით. ფაქტია, რომ ვერგილიუსი მხოლოდ "ენეიდათი" კი არ გახდა სახელგანთქმული, რის გამოც "მეორე ჰომეროსს" უწოდებდნენ, არამედ მეოთხე ეკლოგიაც, რომლის გამოცხადი საუკუნეებს გადასწვდა. ამითაცაა ეს კრებული მნიშვნელოვანი.

"ქვის მკოდავთა" სექტა

90-იანების დასაწყისში მთარგმნელობით სფეროში შექმნილი კრიზისი ძველბერძნული და ლათინური ნებებიდან მთარგმნელებს დიდად არ შეხებია. კლასიკური ფილოლოგიის მთარგმნელობითი სკოლა თითქოს ცალკე იდგა, სადაც წყვეტა არ ყოფილა და ხარისხიც მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა. თუმცა, ის, რასაც მაღალმხატვრული, ცოცხალი თარგმანი ჰქვია, დღესაც ცოტაა.

"ბევრი სირთულის მიუხედავად, საოცრად მიყვარს ჩემი დარგი. რამდენიმე არაჩვეულებრივი მთარგმნელიც გვყავს. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კლასიკურ ენებზე ცოცხალი თარგმანები ნაკლებადაა. ძველბერძნულიდან და რომაულიდან თარგმნილი ავტორები ხშირად მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა და, ძირითადად, სპეციალისტები თუ კითხულობენ. უფრო ვასაგებად რომ ვთქვა: როდესაც გუუბნებიან, რომ ჰორაციუსი, ვერგილიუსი ან საფო მავარი პოეტები არიან, თარგმანი ეს ოდნავ მაინც უნდა იგრძნობო-

დეს. რიგ შემთხვევაში იგრძნობა კიდევ (მაგალითად, ნანა ტონიასა და ზოგიერთ სხვასთან), მაგრამ ხშირად მკრთალი აჩრდილებია, ავტორთა უღონო ორეულები. შესაძლოა, ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ანტიკური ლიტერატურის ნიმუშებმა ჩვენამდე ფრგამენტურად მოაღწია, მაგრამ ვფიქრობ, მთარგმნელის ოსტატობა მაინც ბევრ რამეს განასაზღვრავს."

შეკითხვამ: რა არის თარგმანი - ხელობა თუ ხელოვნება, კარგა ხანია, აქტუალობა დაკარგა. კარგი თარგმანი ხელოვნებაა, თუმცა, წმინდა ტექნიკურ დონეზე თავის თავში "ხელობის" ცოდნასაც მოიცავს. სხვაგვარად - ამ საქმეში დახელოვნებას.

"თარგმანი ჩემთვის, პირველ რიგში, ნიშნავს, გადმოსცე ყველაზე მნიშვნელოვანი, რისი თქმაც ავტორს სურს, არ დაკარგო დედნისეული ინტონაცია; როცა უკვე აზრი მოტანილია და ფრაზა გამართული, იწყებ ფიქრს მხატვრობაზე. ამას თავისებური ალღო სჭირდება, როგორც რომაელები იტყოდნენ, "ინგენიუმი". ერთ ტექსტში მეტადორებით მთავარი, მეორეში - მხატვრობა სისადავით მიიღწევა. უნდა მიხვდე, რომელია კონკრეტულ შემთხვევაში წარმმართველი და მიჰყევი იმ ხაზს.

ერთი ცნობილი ფრანგი ლიტერატორის აზრით, თარგმანი ბუქვის ხიდზე გავლავა. ისე უნდა გაიარო, არც თავი დაიზიანო, არც - სხვა. ანუ ქართულადაც ბუნებრივად ჟღერდეს, სათარგმნი ავტორის ხარჯზე ენის სინტაქსი არ შეიღახოს და არც თავად ავტორი დაიზაროს, რაც ადვილი არაა. უნდა შეძლო და სრულად გადმოიტანო დედნის სტილი, ინტონაცია. ამას გარდა, ისიც მნიშვნელოვანია, პროზას თარგმნი თუ პოეზიას, მით უმეტეს, ლირიკას. როგორც დავით წერეთლიანი წერს, პროზისგან განსხვავებით, ლექსი მომენტალურ ფექტზეა გათვლილი. თუ ამ ფექტის გადმოცემა მოხერხდა, ცალკეული სიტყვები და სტრიქონებიც კი, არც ისე მნიშვნელოვანია; ლირიკულ ლექსში უნდა ითარგმნოს ნიუანსები, შეგრძნებები, ინტონაცია, სიტყვის, ასე ვთქვათ, "ეთერული ხელი". ეს უკვე სულ სხვა თამასაა, სხვა დონე, რომელიც, წერეთლიანისვე თქმით, მკითხველს ნერვზე ურტყამს."

დღესდღეობით კლასიკური ენებიდან მთარგმნელებს სხვებთან შედარებით, მეტი პრობლემა აქვთ. ერთი, რომ მკითხველს ძველი ტექსტები ნაკლებად აინტერესებს, თანამედროვე ავტორები - ბორხესი, ეკო, ლოლას იზიდავს. გარდა ამისა, ფაქტობრივად, ანაზღაურების გარეშე მუშაობენ, უანგაროდ უთმობენ ძველ ბერძნებსა და რომაელებს საკუთარ დროს და ენერგიას. ამიტომაც შეიძლება მივიჩნიოთ ეს ადამიანები კარგი გაგებით, ერთგვარ სექტად, "ქვის მკვდრთა" სექტად, როგორც აკაკი ურუშაძე უწოდებდა მათ. ამ სივრცეში პოეზიის მთარგმნელებს ცალკე "ლოჟა" აქვთ.

პოეზიის მთარგმნელები

პოეზიის თარგმნა ყველა დროსა და ეპოქაში განსაკუთრებულ უნარს მოითხოვდა. ეს არ არის საქმე, რომელიც ნებისმიერ მსურველს გამოუვა. პოეზიის თარგმნას ენის უზადო ცოდნასა და მგრძობიანობასთან ერთად, პოეტური ნიჭიც სჭირდება. აქედან მომდინარეობს გავრცელებული მოსაზრება პოეტის მიერ პოეზიის თარგმნის უპირატესობაზე, თუმცა ამ თვალსაზრისის მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. აი, რას წერს თავის ერთ-ერთ ესეეტიკურ - პასი: "თეორიას თუ დაეუფერებო, ლექსი მხოლოდ პოეტმა უნდა თარგმნას, არადა, სინამდვილეში არცთუ ბევრია ისეთი პოეტი, რომელიც ამავე დროს კარგი მთარგმნელიცაა. ამის მიზეზი ვახლოდ ის, რომ სხვის მიერ დაწერილ ლექსი პოეტისათვის არის ამოსავალი წერტილი საკუთარი ლექსის დასაწერად, მაშინ, როდესაც კარგი მთარგმნელი სრულიად საპირისპიროდ მოქმედებს - მისი საბოლოო მიზანი იმ ლექსის მსგავსი ლექსის შექმნაა, რომელიც დედამისა მოცემული. იგი ორიგინალს მხოლოდ იმიტომ სცილდება რომ უფრო ახლოს მივიდეს მასთან" ("თარგმანი სიტყვიერება და სიზუსტე", თარგმან ლილი მჭედლიშვილი). ჭეშმარიტად ღირებული თვალსაზრისია რაციონალიზმის მსუყე მარცვლებით, თუმცა ამ საკითხში ყველას თავისი სიმართლე აქვს.

"ერთი ცნობილი მთარგმნელი ამბობდა, როდესაც პოეზიის თარგმნა თავისუფლად შეუძლია ქართულის კარგად მცოდნე, საშუალო ნიჭის ადამიანს, სასაკვირველია, მუშობის, პროუსტისა და ფოლკსანერის ტექსტები არ იფიქსირებოდა - ეს სხვა დონეა და გამორჩეული ტალანტი სჭირდება. საკამათოა, მაგრამ, ვარკვეულწილად, ვეთანხმები ამ მოსაზრებას. რაც შეეხება პოეზიას, სრულიად განსხვავებული ვითარებაა. თარგმანში ლექსის გაცოცხლება, მისთვის ორიგინალის სულის შთაბერვა, თავიდან დაბადება - ძალიან რთული პროცესია, პროზის თარგმნაზე უფრო რთული. ლაპარაკია "მღალი სინჯის" პოეზიაზე, რომელიც ემოციურად ზემოქმედებს მკითხველზე და რაღაც თვალსაზრისით, ცვლის კიდევ მას."

თანამედროვე ეპოქაში ლექსი სხვა კრიტიკულ უმეტით ფასდება, განსხვავებული მიდგომაა სხვა მოთხოვნა. როგორი იყო პოეზია კაცობრიობის კულტურულ გარიჟრაჟზე, რა განაწყობდა იმდროინდელ პოეტებს ლექსის საწერად; რა იყო მათთვის მთავარი, რა აელევებდათ და უხაროდათ?

"რომაულ ლიტერატურას და, მათ შორის, პოეზიას, ძველბერძნულს დიდი გავლენა აქვს, თუმცა მოგვიანებით შეძლო ამ გავლენისთვის თავი დაღწევა. სხვადასხვა პერიოდისა და გაბატონებული ტენდენციის გათვალისწინებით, პროზის ტექსტებიც იცვლებოდა. ასე მაგალითად: პროპერციუსთან, ტიბულუსთან, ოვიდიუსთან - სატრფიალო ელევები დომინირებდა; მორაკიუსთან უპირატესი იყო Aurea mediocritas (ოქროს შუალედი) მიჯნის დადგენა: აქ მთავარია იპოვო ის, რაც

დაგეხმარება მარადიული ფასეულობების, ბედნიერი ცხოვრების, სიხარულისა და სიმშვიდის ძიებაში; ვერგვილიოსთან უკვე სულ სხვა ტენდენციები იკვეთება. ამ ყველაფრის არსი კი არის, რომ რომაელებმა შექმნეს თავიანთი დამოუკიდებელი ლიტერატურა, თვითმყოფადი და თავისთავადი, რაც პოეზიის განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია."

მიშების დაძლევა

ზოგჯერ მთარგმნელები თავიანთ მიშებზე საუბრობენ. თუ არ საუბრობენ - განიცდიან. ზოგისთვის ეს მიში სათარგმნი ტექსტის ნაკითხვასთან ერთად ჩნდება და საკუთარ ძალებში დაქვევებას უკავშირდება, ზოგისთვის თარგმანის დასრულებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერების შემდეგ იხეება. ცალკე ამბავია მუშაობის პროცესში გაჩენილი მიშები, რომლებიც "მიშიმე" მონაკვეთების პარალელურად იზრდება. კლასიკური ტექსტების შემთხვევაში ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ სულ სხვა ეპოქის ნახაზებთან უწევთ შეხება - ლეგენდარულ ავტორებთან, რომელთა თანამედროვე ენაზე გადმოტანა არაერთ სირთულეს უკავშირდება. მთარგმნელისთვის დიდი გამოწვევაა ამ მიშების დაძლევა.

"იმა, რომ საუკუნეების წინანდელ ნაწერებს ეხები, არ უნდა დაგაფრთხოს. მნიშვნელოვანია, დაივიწყო ეს ყველაფერი და ჩვეულებრივად მიხვიდე ტექსტთან. წინააღმდეგე მუშაობას, მიზანს ასევედნი და მთელი შრომა წყალში ჩაგვარდება. მთავარია, კარგად გაიაზრო, ავტორი რას გეუბნება. ხანდახან ერთ ფრაზაზე სამი დღე მიფიქვია, ყველა თარგმანი წამიკითხავს და მერე ჩემი მითქვამს. ესეც მნიშვნელოვანია - გავლენის შიშის გამო საკუთარი მიმართება არ დაკარგო ნაწარმოებთან. რაღაც მომენტში თავიც უნდა დაივიწყო, თუმცა არა, რომ სულ გაქვრ. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, "ოქროს შუალედი" დაიცვა."

ოქროს შუალედი საჭირო ძველი ტექსტების გათანამედროვეების დროსაც. ერთნი ამაში დღევანდელი მკითხველისთვის გასაგებ ენაზე გადმოთარგმნას გულისხმობენ, მეორენი - სტილისტური ხერხებით მიზნის მიღწევას. მისთვის ეს თვითმიზანი არ არის, არც თანამედროვე ლექსიკით ზედმეტ გატაცებას ემხრობა. რასაკვირველია, ისე უნდა ითარგმნოს, რომ გასაგები იყოს. მთავარი მაინც დედნის განწყობის, ინტონაციის შენარჩუნებაა.

"დავით წერედიანმა თარგმნა "ილიადას" პირველი სიმღერა. შეეცადა, ჰეგზამეტრი ქართულად გადმოეტანა. არაჩვეულებრივი თარგმანია, მიუხედავად იმისა, რომ არ გაათანამედროვეო. კითხულობ და ხვდება, რომ ჰომეროსია. საუკუნეთა მიღმიერი თანბრება ივრძნობა. ეს არის ნიშნები, როგორ უნდა მიხვიდე კლასიკურ ტექსტთან: შეუნარჩუნო სიძველე ისე, რომ ბუნებრივი იყოს და არ ჩანდეს დამაბნეველად. ვფიქრობ, ამას სხვა მასშტაბის ნიჭი საჭიროდება".

რენესანსული ხელოვანი

წლების მანძილზე ამ მასშტაბთან შეხებამ მის პროფესიულ თვითშეფასებაზეც იმოქმედა. სხვაგანარად შეუძლებელიცაა: როცა დავით წერედიანის მუშაობის სიღრმეს უშვებ, ხედავ, როგორ ჩაპკირკიტებს თითოეულ სიტყვას, როგორ კითხულობს იდეალური ტონალობის მისაღწევად ტექსტს ხმაამალა, საკუთარი თავისა და სხვათა მიმართაც განსხვავებული მოთხოვნები გიჩინდება.

"ფაუსტს" რომ თარგმნიდა, ოთახიდან გერმანული სიტყვების კასკადი იფრქვეოდა. იგივე ხდებოდა ლორკაზე მუშაობის დროსაც. ოთხი ვარიანტი გააკეთა, ვიდრე "მწვანე მომნატრდები მწვანე"-მდე მივიღოდა. ფორმა "მომნატრდები" არის ლექსის "ეთერულ სხეულთან" მაქსიმალურად მიახლოება. კიდევ აპირებდა გავრძელებას, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესი აღარ შეიძლებოდა. დათოს ჰქონდა პოეზიის გასაოცარი შეგვრძობა და უნარი, ფრაზა წარმოუდგენელ მიჯნამდე დაეხეწა. სულ სხვა სიმაღლეს მიაღწია, რომელიც რამდენიმე წანრი თანაბარი ძალით გამოვლინდა. ვფიქრობ, ამიტომაც არის დავით წერედიანი უნივერსალური, რენესანსული ტიპის ხელოვანი, რომლის მსგავსი იშვიათობაა."

სწორედ ამ რენესანსულობისა და ზეპროფესიონალიზმის გამო, არც საკუთარ თავს, არც მისთვის ძვირფას ადამიანებს არ ინდობდა. განსაკუთრებით, როცა საქმე თარგმანს ეხებოდა. მუშაობისას ტექსტს რამდენჯერმე "ასვენებდა" და ხელახლა ამუშავებდა. სხვისგანაც იმავეს მოითხოვდა. სხვაგვარად ვერ ნარმოვადგინა. ამის გამო მას რჩევას იშვიათად ეკითხებოდა: ხვდებოდა, რომ დაუსრულებელი შენიშვნების ფონზე წიგნის გამოცემა გაუჭირდებოდა.

დროებითი დასასრული

ახლა შედარებით რთული პერიოდი აქვს. ადვილი არ არის ამხელა დანაკარგის შემდეგ ცხოვრების ძველებურად გაგრძელება, თუმცა სჯერა, ეს დროებითი დასასრული და ყველაფრის მიუხედავად, ცდილობს, საკუთარ თავში გამოძებნოს მუშაობის ვნება.

"რაც ყველაზე მეტად მინდოდა - ლირიკა, ვთარგმნი. არც რომაელებთან, არც ძველ ბერძნებთან ამ თვალსაზრისით დიდად ვანებიერებულნი არ ვარ. პროზა, ეპოსი, რიტორიკული და შემეცნებითი ტექსტები შედარებით უხვადაა, წმინდა ლირიკა - ნაკლებად. ჯერჯერობით, ვფიქრობ, საით წავიდე. ვემზადები. უნდა მოვძებნო ის, რასაც სიყვარულით გავაკეთებ, რადგან მხოლოდ თარგმანისთვის თარგმნა არ შემიძლია. ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ ბევრს არა აქვს უბედნიერება, აკეთოს ის, რაც უნდა. მე მქონდა ამის ფუფუნება. ყოველთვის იმას ვთარგმნიდი, რაც მაინტერესებდა და ემოციური თვალსაზრისითაც მსურდა. მკონდა, რომ ამ ეტაპზე ეს ოვიდისის "ტრისტები" ანუ "ნაღვლიანი ელეგიები" იქნება."


ლია სტურუა

თითისწვერებზე

ჩემი დარდი, ვითომ, უნივთო,
 სხეულიანი ხდება, შუა ოთახში დგას
 და მის გარშემო თითისწვერებზე დაედვივარ.
 წრე სრულყოფილი ფორმაა,
 შუაგულის ნერვიულ თემას აწესრიგებს,
 ნერვები, მეც, ღმერთისგან მაქვს
 ჩალაგებული, მაგრამ ჯერ ერთი გამოხტება,
 მერე მეორე, მეთე და ა.შ. -
 ალისფერი კამელა, არა შავ-თეთრი, აკადემიური:
 ყველა თავის ტკივილს მღერის,
 ზოგს სმენაც ლალატობს,
 დისონანსი ხან უსინდისოა,
 ხან მშვენიერი...
 ერთხელ, ქალმა ღამის ფანჯრიდან
 კნუტები გადმოაგდო და მუცელში ჩამიყარა,
 მას მერე ნაწლავებს მიგლეჯენ,
 მტკივა! სახის ნახატი მენგრევა,
 ტანის ფორმა, პაუზებში
 სიმრგვალის ნამცეცებს ვაგროვებ,
 სწორ ხაზებზე ვანებებ
 და ასეთი განყენებული "მე" ლექსს ვწერ.
 გამოდის, ზოგჯერ, უფრო კარგადაც,
 ვიდრე მაშინ, ხაზები რომ ოქროსი იყო,
 კანი - მინაქრის, ასეთივე კრიალა:
 ჯერ ესთეტიკა, მერე სიმართლე!
 როცა სიტყვებმა ადგილები გაცვალეს,
 დარდის ძეგლი დაედგი ოთახის შუაში,
 მის გარშემო თითისწვერებზე დაედვივარ
 როდის გავეჩერდები? ვინ იცის?

ხავერდი

ხავერდი მოყრჭებული სიტყვაა ლექსში,
 მაგრამ სიღრმეების და შუაგულების ხავერდი!
 ჩავარდები შიგ, ხელს გადასვამ ხაოებზე
 და ბზინავს, თავისი ამინდი აქვს
 შემოდგომის ჟანგიან დღეში,
 მაგრამ ფსკერია,
 ბნელი, თბილი, თანამგრძობი:
 კარიერა არ გამოგივა.
 აქ მოითქვამ სულს, მერე გააგრძელებ,
 სიყვარული გათავდა, ეს შუქი საიდანა?
 ხავერდი ბზინავს. ტკივილს ვერ აყურებს,
 აწლუნებს, ხაოები ყალყზე უდგება,
 ჩანასახის ფორმას მივალბინებს,
 რბილად მოგეხვევა, წყალივით,
 შიშის მჟავე ქლიავს პირში
 დაგიტკობს, დაამნიფებს
 ხავერდია და ცხელია...
 გიძინელებდა სახლში დაბრუნება,
 რომ წერა გააგრძელო, დიდუბის და კუკიის მიწას
 ბალახები დაანინკნო, ფრთხილად, ძვლები არ ეტკინოს,
 თუ კიდევ უყვარხარ: დღეიდან, უახლესი ისტორიიდან,
 უხსოვარი დროიდან, გუშინ არ იყო?



ამაზე გინდა ნერო,
 სულ ბოლო დღისთვის დაიტოვო
 სიღრმეების და შუაგულების შველა -
 ხავერდია და ბზინავს,
 ხავერდია, მაგრამ ფსკერია...


სხვა ქუჩა

რა მანუხებს? თავზე ჭერი მაქვს,
 ოთახებში ოთხ-ოთხი კედელი,
 თავის კარ-ფანჯრებიანად,
 ყველაფერი ახალი შედებილ-შეთეთრებული,
 ინტერიერი მოფიქრებული,
 სანამ ამის ხალისი მქონდა,
 ეს არის, ქარიანი ადგილია,
 არ მიყვარს ქარი, ტანით არ მიყვარს,
 თორემ ლექსში ისეთი ატონალური მუსიკა
 იცის, ორმარცვლიანი სიმარტივის მიუხედავად,
 მოგინდება, სულ იყოს, თუ არადა, გაეკიდები,
 მეხუთე სართულის აივნიდანაც შეიძლება გასვლა,
 მობრუნდები და პროვოკაციულ ლექსს დაწერ.
 რატომ მგონია, რომ მოვბრუნდები?
 ქარი ჩემი არაა, ლექსისაა, მაგრამ
 მე და ჩემი ლექსი რამ ვაგვგვო?
 კიდევ, ვიცი, სახლი თავბრუსხვევის დონიდან
 რამდენ მეტრზე მაქვს, იქაური ჩიტების
 ფრენის ტრაექტორია, ჰაერისთვის მჭირდება:
 ორ მეტაფორას შორის,
 ეს პაერი, ღია ფანჯრები,
 შიგადაშიგ, პროვოკაციული ლექსი...
 ნეტა, რამდენი ტონა იასამანის შემდეგ
 იქცევა მინა სახლად?

Schrei (ყვირილი)

ა. შოპენჰაუერის ერთ-ერთი წიგნის ყდაზე
 მუნკის "ყვირილი" ხატია


რა ვუყო ამ შიშს?
 ნერვების დასაწყნარებლად კარადას ვალაგებ.
 მსუბუქი უანრის წიგნს ვეძებ,
 არა ლიტერატურას, ან ფილოსოფიას,
 დამალა ალტაცებამ ალეგორიებით
 და გამჭოლი გონებით.
 კარადიდან წიგნი ვარდება,
 მაგარყდიანი, ყდაზე ყვირილი,
 გახული ყვირილი დაგრეხილ ქვეყანაში
 განათება ისეთი, შავ-თეთრ გრაფიკაში
 პროექტორები რომ ჩატეხო,
 ბგერებიც შესაბამისი...
 ლექსის და ლაპარაკის ბგერებს
 ფორმები შეუძლიათ: სიმრგვალებები,
 კვადრატები, ნახევარმზეუბი კუთხეებში...
 "ცხოვრება თუ რამეს გაძლევს,
 მხოლოდ იმიტომ, რომ წაგართვას"
 და რა მერე?
 შიში, ყვირილი? სევდიანი ფილოსოფოსი,
 პოეზიით გატენილი წიგნების კარადიდან?
 ერთ კუთხეში ეს რიტორიკა მიყენია,



მეორეში შიში, თავისი გრადაციებით,
 დანარჩენ ორში, მაინც, ნახევარმზებები
 ვზივარ, ვკითხულობ...

შიში 2022

როგორ იწყება ხანძარი?
 აღისფერი ცხვირსახოცით ჯიბეში?
 ჯერ ესთეტიკა, მერე ქვეტექსტის უბედურება,
 სქოლიოები, იმ რაოდენობით,
 ლამის, ახალი ჯოისი ააშენო,
 ოლონდ, კაშკაში უნდა შეგეძლოს,
 აფეთქებები, ყველა მომდევნო
 წინაზე ელვარე!
 ეს შიში საიდანლა? მინისძვრასავით მოდის,
 არც კი ჩანს, სანამ ნგრევას არ დაგინყებს,
 სანამ გვარი და სახელი აღარ დაგჭირდება -
 უაზრო ფუფუნება,
 ადამიანი გაზომილია, აწონილი,
 ნაცვალსახელი აქვს მორგებული
 გრამატიკა ხომ გახსოვს?
 გვარი და სახელი თუ არ მოუშალე,
 მორფოლოგიიდან წამოყოფს თავს
 და გონების კოფეციენტს დაგიდებს დიაგნოზივით
 ნაცვალსახელებს დიაგნოზი არ აქვთ,
 მარტო მხოლობითი და მრავლობითი,
 რომელიც მხოლობითების გაკრეჭით მიიღება -
 ამხელა გუნდი, ოლონდ არა ის,
 შავ-თეთრი მერცხლებისგან შეკერილი,
 შიმს რომ ასრულებს, ან რექვიემს,
 რასაც ხელმძღვანელი ჭირდება
 ტრაგიკული, პათოსური, გულზე ხელმიდებული...
 გმირი მითებში! დანომრილ მოსახლეობას
 თავკაცი არ ყავს: N1 ნაცნობი,
 N2 უცნობი, N3 ყოფილი მეგობარი,
 დანარჩენი ყოფილები: პოეტები, მხატვრები,
 რეალური გიჟები - ჩამონერილები, გადმონაშთები,
 მაინც, რაღაცას ელიან, უფრო, ვიღაცას,
 დაუნომრავს, ზოგადს, განყენებულ ტვინს,
 ტკივილის მერე პოეზიისკენ გადახრილს,
 მაგრამ არ მოდის,
 აბსურდის თეატრიც არ ამართლებს!
 მაშინ რა? მარტივი ესთეტიკა,
 რომ ხანძარი ჯიბეში ჩადებული
 წითელი ცხვირსახოცით იწყება?
 როცა შიშისგან
 გლობუსებს სიმრგვალე მოეშალათ,
 დაებრიცათ ქვეყნები და მოსახლეობა!
 შიშის ჭია ტანში სულ ვიზის:
 ხან წყნარად, ხან გულის ხერხვას იწყებს,
 ან ტვინის, მთავარია, სტიქიად
 არ ჩამოყალიბდეს, სახელი არ დაირქვას:
 მაგ. ასეთი შიში 2022!




თოჯინების თეატრი

ბანალურად კი ისმის, მაგრამ
 ძაფებზე ვკიდევარ:
 ჯერ მოგონებებს ვარღვევდი

და იქიდან ვნელავდი ამ ძაფებს,
 ნაქსოვი გათავდა, სისხლძარღვებზე გადავდედი,
 იმდენი ვქაჩე, ტკივილის იმდენი სიგნალი
 ვაგროვე ტანში,
 ნითელი გიორგინების ბალზე ვარ-მეთქი ფეხმძიმედ, ვამბობ,
 რაც მართო მეტაფორა არ არის,
 სიკვდილის თემა იკვეთება, რეფრენივით,
 თუ ლექსიდან მოდიხარ:
 ყვავების რეფრენი იყო, გასრესილი ყაყაჩოების,
 ანარქიული კაპელის, სადაც ყველა
 თავისას მღერის მთავარ ტყუილზე -
 აყვავებულ პერსპექტივაზე.
 ამ ყველაფერს ჩარჩო სჭირდება?
 სახლის, ფანჯრის, ნახატის?
 ადაპტირებული სივრცე,
 თურმეთითი დახრილობა სინამდვილისკენ?
 როცა ტანი იმპულსებზე მუშაობს,
 ნორმალური სანვავის უქონლობის გამო,
 მაგრამ არ მინდა სანოლში, მინაში, დაგრუნტულ ტილოზე,
 ამიტომ თოჯინების თეატრს ვყიდულობ,
 ძაფებზე დავედივარ და ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ,
 თუნდაც, იმ თვალსაჩინოებისთვის,
 რომ ლაპარაკი ვერტიკალური სტიქიაა...

პორტრეტები

პორტრეტები - საზეიმოდ განწყობილები,
 სევდიანები, ნერვიულები და ჩარჩოგატეხილები,
 უფრო მშვიდები ფანჯარაში იხედებიან,
 მზე იმდენია, ამათ კი არა,
 ხეებმა არ იციან, საით მიაბრუნონ თავი,
 სიტკბოვსკენ?
 რა ბადაგი იხარშებოდა მანერული პოეტებისგან!
 სანამ პორტრეტებად ჩამოყალიბდებოდნენ,
 სანამ გაიგებდნენ, როგორ შეიძლება,
 ბანკომატებს ორმოებიდან
 ლურჯი აკაკი წერეთლები ამოაყრევინიო,
 ლიფტში დროგის ცხენები შეაბა
 და გრაფიკი დაიცვა,
 კიბეზე როცა ადიხარ, თავში ცა გაქვს,
 ცა რომ რეისებით გაიხაზა, იცით?
 რაც ლაჟვარდი დარჩა, პოეტებისაა!
 რომ გაასაჯაროო, ზეთში გაცვლიან,
 შაქარში, ფქვილის კილოგრამებში,
 მერე, სულეტი გულუბრყვილობის მეორე მხარეს?
 პორტრეტები უფრო არიან:
 ზეთის ფერებს ჭამენ, აკვარელის
 დაბურული ნათურებით იხედებიან,
 ფოტოები ისევ ცასთან აპელირებენ,
 ამ ცამაც რა ქნას?
 თეთრი, კბილებიანი დღე გამოუშვას,
 თუ ნოტიო - ბუზების ფრენა სახსრებში?
 თავში მუდმივი ბავშვის პროექცია,
 და ნიადაგი ფეხქვეშ, უკვე მიწისაა,
 მშობლების დანგრეული არქიტექტურაც...
 მაგრამ თუ წვიმს და ცა დაბალია,
 სულეტი უჩანს გულუბრყვილობის უკანა მხარეს...



რობერტ ფროსტი

ინგლისურიდან თარგმნა მედეა მაალიშვილმა



მიუხედავად იმის, რომ პოეტების დიდ ნაწილს პოეზია უთარგმნელად მიაჩნია, სინამდვილეში ლექსი, რომელიც გამოცდილ მთარგმნელს ხელიდან გაუსვლტება, საკმაოდ იშვიათია; ოღონდაც არ უდიდესი ამერიკელი პოეტი, რობერტ ფროსტის, შემოქმედებაში. ის, რაც ფროსტის პოეზიას თარგმანისათვის (ყოველ შემთხვევაში, ქართული მთარგმნელობითი ტრადიციისათვის) ლამის მოუხელთებელს ხდის, მისი წარმოუდგენელი, გამჭვირვალეობამდე მისული სისადავეა: საკმარისია, ერთი მაღალფარდოვანი პოეტური ხატი, ერთი არქაული თუ სტილიზებული დეტალი ან უბრალოდ მოუხერხებელი რითმა თუ არაბუნებრივი სინტაქსური წყობა, რომ ორიგინალთან ემოციური ეკვივალენტობა დაიკარგოს. მედეა ზაალიშვილის ის თარგმანები, რომლებსაც დღევანდელ ნომერში შემოვთავაზებ, სწორედ დედნის ტოლფარდი სისადავეთა და სიფაქიზით გამოირჩევა.

არც თავად ამ პუბლიკაციის შექმნის ისტორიაა პოეტურობას მოკლებული. მედეა ზაალიშვილს რომელმაც უამრავ სხვა ნაწარმოებთან ერთად მკითხველს ქართულ ენაზე შექსპირის "ვენერა და ადონისი", იეიტსის "კელტური მიმწუხრი" და ფოლკნერის "სული რომ ამომდიოდა" აჩუქა, ერთ-ერთია იმ არაჩვეულებრივ ადამიანთაგან, რომლებიც მთელი ცხოვრება დაუღალავად, დაუწყვედრებლად დიდი სიამოვნებითაც ემსახურებიან საქმეს, რომლის ნამდვილი სიღრმეც, ძირითადად, მხოლოდ ათწლეულების გადმოსახედიდან მოჩანს ხოლმე, მას შემდეგ, რაც ლიტერატურა თაობების მსოფლმხედველობას შეუცვლის გეზს. ბოლო რამდენიმე წელია, რაც ქალბატონ მედეას აღარ შეუძლია ინტერესების წაკითხვა, რომლითაც მისი ოთახი და მთელი მისი ცხოვრება არის სავსე, ამიტომაც ლექსის სტრუქტურებს უკითხავენ და ისიც ასე "სმენით" თარგმნის და კარნახობს თავის ახალგაზრდა ასისტენტს, როგორც ლექსომ (დორეულმა) თქვა, ბორხესის მსგავსად.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, თქვენ ამ პუბლიკაციაში არა მხოლოდ ამ მშვენიერ ლექსებს ეცნობით, არამედ (თარგმანის შესახებ ცნობილ "ფრთიან" ფრაზასაც რომ გადავწვდეთ) ამბავს იმის თუ როგორ დარჩა ლამაზი ქალი ლიტერატურის ერთგული.

ანა კოპალიანი

და ოქროსფერიც ვერ ძლებს და ქრება

ოქროსფერ კვირტებს აჩენს ბუნება, მაგრამ ძნელია ამ ელფების შენარჩუნება, ადრეულ ფოთლებს გადაებს ყვავილი თუმც მისი ფაში მალე გაივლის.

ფოთლები ცვივა, მიწას ედება და მწუხარება იგრძნო ედებმა, დაისი მიდის და დღე თენდება და ოქროსფერიც ჩაიფერფლება.

ცეცხლი და ყინული

ზოგნი ამბობენ, დედამიწას გადაწვავს ცეცხლი, ზოგნი ამბობენ, შთანთქმავს ყინული და თუ სურვილის მე რამე მესმის, მივემხრობოდი ვისაც სწამს ცეცხლის. მაგრამ თუ ორჯერ უწევს გაქრობა, მე ავირჩევდი მოყვარულთ ცეცხლის. ვიცო, რაც არის ეს ზიზღის გრძნობა, რომ ვთქვათ, ყინულიც საკმარისია, ის შეასრულებს თავის მისიას.

შემოდი

როცა ტყის პირას მივალწი
 შაში გალობდა - ყური დავუგდე!
 გარეთ ბინდბუნდი ჩამომდგარიყო
 და მწუხრს კი ტყეში დაედო ბუდე.

ისე ბნელია ჩიტისთვის ეს ტყე,
 რომ ზის უძრავად, ფრთებჩამოყრილი
 თუმც ურჩენია, რომ ტოტზე იჯდეს
 და ტყეს მოჰფინოს გალობა ტკბილი.

ჩამავალი მზის მიმქრალი სხივი
 ამოფარა დასავლის სივრცეს,
 კიდევ ერთ ხმატკბილ ჰანგად გადიქცა
 და შაშის გული ამღერდა ისევ.

შორს კი შეიჭრა გალობა მწუხრში
 სევდიან ჰანგებს რომ მაგონებდა.
 თითქმის მოჰგავდა ძახილს - შემოდი!
 შემოურთდი მწუხრს და გოდებას.

მე კი მერჩივნა ვარსკვლავთა მზერა ,
 ტყეში შესვლა კი არაფრით მსურდა,
 მაგრამ იქ მაინც არ შევიდოდი,
 ვინმეს რომ ჩემთვის ეთხოვა თუნდაც.

გვიანი გასეირნება

როცა გავივლი გათიბულ მინდორს,
 თავმოცელილი ნარჩენი რბილი
 ჩალასავით რომ დაფენილა, ცვრით დანამული,
 ნახევრად ფარავს ბაღნარის ბილიკს.

და თავად ბალს რომ მივალწევ, მაშინ
 გამოვაფხიზლებ მძინარე ჩიტებს,
 აფრინდებიან სარეველას მჭკნარი გროვიდან,
 ეს ყველაფერი მეტ სევდას იტყვს.

კედელთან ხე დგას ტანშეძარცვული,
 და შერჩენილი ტოტზე ფოთოლი
 თითქოს ალელდა ჩემს მწუხარ ფიქრით
 მოსწყდა და ნელა დაეშვა თრთოლვით.

და ეჭვი არ მაქვს, უფრო შორს ნავალ,
 მოწყვეტ გაცრეცილ, ფერნასულ ტიტას
 და ბოლო ყვავილს
 შენთან მოვიტან.

უდაბური ადგილები

თოვლიც მოდის და მწუხრიც მოდის, ოჰ, რარიგ ჩქარა,
 გზად თვალი მოვკარ იმ ველს, თოვლმა რომ გადაფარა
 გადათერებულ მიწაზე კი აქა-იქ მოჩანს
 სარეველა და ნამკალი რომ ამოიყარა.

ირგვლივ მიდამო დაეფარა გარემოს ტყიანს,
 და ცხოველები ბუნაგებში უმნეოდ ყრიან,
 თითქოს მეც სული დაცლილი მქონდა
 და უცაბედად მარტოობამ მეც ჩამითრია.

რაც უფრო ღრმაა სიმარტოვე,
 თვით უწინდელზე მეტ კვალსა ტოვებს,
 უფრო ბნელია ეს სითეთრე ღამეულ თოვლზე,
 ვერაფერს ამბობს გამოსათქმელს, რადგან ვერ ჰპოვებს.

მე ვერ დამაფრთხობს ველი ბნელი და უსიერი,
 ვარსკვლავთა შორის არც კი მოჩანს ძე ხორციელი,
 ეს ყველაფერი კი ჩემშია, ჩემს სახლთან ახლოს,
 არ მეშინია ჩემი სულის სიცარიელის.

თიბვა

მხოლოდ ერთი ხმა თუ არღვევდა ტყის მღუმარებას,
 ჩასჩურჩულებდა მიწას ჩემი ნალესი ცელი,
 რას ჩურჩულებდა? არც კი ვიცი ამის პასუხი.
 ალბათ ჩურჩული ეხებოდა მზის მცხუნვარებას,
 ან ხმას, რომელსაც არ გამოსცემს მიდამო ვრცელი-
 საუბრის ნაცვლად აირჩია მხოლოდ ჩურჩული.
 და არც ოცნება, რომ თუნდ ნამით მოეთქვა სული,
 ან მორთმეული ელფის ხელით თუნდ ოქრო უხვი,
 უძღურად მოჩანს, თუნდაც იყოს სიმართლე სრული,
 ანდა ჭაობში ჩაძირული თვით სიყვარული,
 და ნაზი ყლორტი ყვავილების, ფერგადასულის,
 (გადაცრეცილი ორქვიდა), დავაფრთხე გველი,
 საქმე ის არის, გარჯას მოსდევს ოცნება სრული,
 დაფარა ჩალით ჩემმა ცელმა ნათიბი ველი.

ვარსკვლავები

რა ურიცხვია მათი მრევლი,
 მათ ქვემოთ თრთიან თოვლიანი შემოგარენი,
 ფიფქთა სვეტები გვიანან მაღალ, ტანაყრილ ხეებს,
 რომ ირხვიან, როცა ქრიან ზამთრის ქარები.

როგორც სიმძაფრე ჩვენს ბედისწერის
 გაუბედავი ბორძიკით დადის,
 სულის მოთქმა და თოვლის ნარჩენი
 რომ იფერფლება ჟამს განთიადის.

არც სიყვარულს და არც სიძულვილს არ ამჟღავნებენ,
 თოვლივით თეთრი ცის ვარსკვლავები,
 ნათელს აფრქვევენ, თუმც ვერ ხედავენ
 როგორც მინერვას მარმარილოს ცივი თვალები.

მთვარის თავისუფლება

თვალი მოვკარი ახალ მთვარეს ტოტებში ხეთა,
 ფერმის ირგვლივ რომ აზიდულან ღამეულ ნისლში
 თითქოს ასულის დალაღებში სამკაულს ვხედავ,
 და შევიგრძენი სრულყოფილი მშვენება მისი.
 თუმცა მარტოა, მაგრამ ერწყმის, ვით მოსართავი,
 სადაც ლივლივით ედინება ანკარა წყალი.

და ყველგან მომდევს ელვარება და ბრწყინვა მისი,
 შელამებისას, როცა შარას მივყვები ნელა
 და ამით თითქოს ხის დახლართულ ტოტთაგან ვიხსნი
 და მიმაქვს იმ წყლის ზედაპირთან, ოდნავ რომ ლელავს.
 მას შიგ ჩაუშვებ, მისი სახე ნაკადს ერევა,
 იღვრება ფერი, საოცრების მთელი მშვენება.



ალიარება

მიღებული მზე როცა სხივებს დააფენს ღრუბლებს, მიეძინება უფსკრულისკენ და თანაც იწვის და ბუნებაში იდუმალი სიჩუმე სუფევს, მაშინ რა ხდება. ალბათ, მხოლოდ ჩიტმა თუ იცის, როგორ ერევა ცის ნათელი სიბნელეს ღამის და თავის გულში შეფარულად თუ რას ჩურჩულებს, ერთი ჩიტი კი ღამეს უმზერს დაბინდულ თვალით, მორეულ ილტვის მიაღწიოს შორეულ ბუდეს, გადაუფრინოს ქალას თავზე, მიუსაფარნი ისწრაფვიან, რომ ნაცნობ ხესთან მიფრინდნენ მალე-თან გალობენ და ჭიკჭიკებენ: "ფრთხილად იყავით, დაე, ჩემ ირგვლივ უფრო ბნელი ჩამოდგეს ღამე, ღამე უკუნი, მომავალი დადგება ოდეს, და ის, რაც არის მოსახდენი, დაე, ის მოხდეს.

მეხვედრა და განშორება

გორაკს ჩამოვყვე და კედელს რომ მივდიე, მაშინ მიმოვიხედე და ნაცნობი დამხვდა ჭიშკარი, შემოვტრიალდი და როდესაც თვალი მოგაკარი, შენ გორაკს აჰყვე და მე მაშინ შემომხვიე გზაში, და სწორედ მაშინ შევეურიეთ ერთი დიდი და ერთი პატარა ნატერფალი ზაფხულის მტვერში, თითქოს დაგხატეთ სხეულები ჯერ ერთით მეტი, ორზე ნაკლები და ქოლგის წვეტი რომად ერჭობოდა მინაში და ჟამს საუბრისას მინას დასცქერდი და ქრებოდა ღიმილი მტვერში, (და ეს კი ჩემში არ აღძრავდა ფიქრს

ცრუნებისას!)

მე შენგან გავილი ბილიკს დავადექ, შენ კი დაადექ ჩემს გავილი ბილიკს.

ოქტომბერი

ო, მშვიდ ოქტომბრის დილავე, მდუმარევი, მომნიფდა ჟამი ფოთოლთა ცვენის, თუ ხვალ მოუხმობ შენს ველურ ქარებს, ნაიღებს ფოთლებს, ტოტზე შერჩენილს. ჭოლყავთა გუნდი ტყეს დასტრიალებს, ხვალ გაქრებიან ციდან უკვალოდ ო, ოქტომბრის დღევე, როცა იალეზ, გაიწელება დღე უღიმღამოდ. დღე მოგვარევენ ხანგრძლივად; ცდუნების უნარს ნუ დაგვიკარგავ, როგორც გჩვევია, ისე გვაცდუნე, მოწყვიტე ერთი ფოთლი თუნდაც ისზე, ერთიც ჟამს შუადღისას, ხან ამ და ხან კი შორეულ ხიდან, დე, მზე შებურო მსუბუქი ნისლით, ანთევისტოსფრად მოხატე მინა. ნუ, ნუ იჩქარებ! თუნდ იმ ვახისტვის, ყინვამ რომ ირგვლივ შემოაცალა ფოთლების წყება და მაინც შერჩა მტევნების რიგი კედელს, ქარვისფერ აკიდობდა.

ძველი თოვლის ნარჩენი

შემორჩენოდა თოვლის ფთილა ერთ-ერთ კუთხეში, გაზეთის ნაგლეჯს მივამსგავსე და მერე წვიმამ ერთიანად რომ დაასველა და გაჟღენთილი, დაბლა, მიწაზე რომ დააფინა.

და ზედ ლაქებად დასდებოდა მტვერი და ჭუჭყი თითქოს და უკვე ნაშლილიყო ყოველი ასო, თითქოს იმ ახალ ამბებს შვავდა, ჩემგან ნაკითხულს რომელიც უკვე აღარც კი მახსოვს.

დაბრუნება საკუთარ თავთან

ერთი ნატვრა მაქვს, - იმ ხეებს მრუმეს, ჟამთასგნელი ნაცადას, ბუდეს ქარების, მსურს, ავსებოდეთ ბებერი უბე, სიბნელის ნაცვლად, იდუმალებით.

და თუ ოდესმე თავს ველარ დავძლე და გავიჭრები ტყესა და ღრეში, უშიშრად გავალ იმ შარავზაზე, ბორბლებს რომ დასდით ქვიშა და ხრეში.

ზურგს არ შევაქცევ, ვინც ჩემთან ერთად ამ გზებს გაივლის და სხევებსაც ვუნცი, რომ ის დავრჩები, რაც ვიყავ უწინ და ვინც მიყვარდა, ის მიყვარს დღესაც.

ჩემში ცვლილებას ვერავინ ნახავს და რაც კი მწამდა, ისევე მწამს ახლაც.

თოვლის ნამქერი

დაფრინდა ყვავი კონოს ხეზე, შეირხა ტოტი, თოვლის ნამქერი დამაფურქვა მხრებზე.

თითქოს სიამოთ შეტოკდა გული და მწუხრი დღის ერთ ნაწილს მაინც ჩამოეცალა არღილი ურვის.

ცისფერი პეპლების დღე

გაზაფხულია და დღე დგება ცისფერ პეპლების, ციურ ფიფქებად ფარფატებენ წყებად და წყებად და მათი ფრთების აუშლვრევი და წმინდა ფერი, არ დასტყობიათ გაზაფხულის ყვავილებს ჯერაც.

მფრინავ ყვავილებს გვაგონებენ, არ კი გალობენ, მერე იცხრობენ ფრენის სურვილს და ფრთებდახრილი ქარს ირიდებენ, დასერილ გზის გაცლას ლამობენ, მაგრამ, ამოდე, აკვებებიან ჭაობს აპრილის.

საამო საათები

მე ჩვეულებრივ ვსვინობდი ზამთრის საღამოს, არავინ იყო, მესაუბრა მასთან საამოდ, და მხოლოდ მწკრივად ჩამყვებოდა კოტეჯთა წყება ირეკლებოდა თოვლზე სარკმლის შუქთა ნათება.

და მე ვფიქრობდი, ხალხი იყო იმ კედლებს მიღმა: თანაც ისმოდა შორეული ვიოლინოს ხმა; მაქმანიათი ფარდის იქით მოვკარი თვალი, რომ იქ ეპოვათ ახალგაზრდებს თავშესაყარი.

რადგან ასეთი ხალხმრავლობა იყო ჩემ ირგვლივ ვიარე, სანამ არ დავტოვე კოტეჯთა რიგი. უკან დავბრუნდი, რადგან ნასვლა ვინანე ბოლოს, ფანჯარა გაქრა და შემომჩრა სიბნელე მხოლოდ.

ხრამუნა თოვლზე ფეხის ხმა ჩუმი, მთვლემარე ქუჩის არღვევდა დუმილი, თითქოს ვტოვებ და არაფრად არ ვთვლი, საღამოს საათს ამ ცივი ზამთრის.

პანანინა ჩიტი

პატარა ჩიტი სახლის მახლობლად შეუჩერებლივ მთელ დღეს გალობდა.

კარი გავაღე უეცრად მაშინ, მის დასაფრთხობად შემოვკარ ტაში.

რომ დავაშავე, ჩემთვის იყო ეს ცხადზე ცხადი, და პატარა ჩიტს გალობისთვის ვერ გავკიცხავდი.

და რომ შევცოდე, ეს გულით მჯერა, დასანანია, თუ ჩაახშე ტკიბილი სიმღერა.

დაბადების ადგილი

საკვამოდ მაღლა, ციცაბო მთაზე მაშამ, მომავლის იმედით სავსემ, სახლი ააგო წყაროსთან ახლოს, კედლებს ჯაჭვი გარს შემოავლო, მერე დაფარა ბალახით მიწა, ამით ცხოვრებას სხვა ფერი მისცა. გოგო-ბიჭები მრავალნი ერთობ, სიცოცხლის ხალისს მატებდნენ ფერდობს. თვითნებულ ჩვენგანს, ცოტა ხნით მაინც, თავის ღიმილით შეჰმატებს ხალისს. მას აღარც ახსოვს სახელი ჩვენი, (და გოგონებმაც იცვალეს ფერი.) ჩვენ ჩამოვმორდიით მის კალთებს მარად და მთის ფერდობი ტყემ გადაფარა.

ვარდის ოჯახი

ვარდი ვარდია და მარადღუამს დარჩება ვარდად. ვაშლს, მსხალს და ქლიავს რა ვუნდოდ სხვა ვარდის ვარდა. ჩემმა ძვირფასმა ეს იცის კარგად, თუ მომავალში რას ჩავთვლით ვარდად. შენ, რა თქმა უნდა, ხარ ჩემი ვარდი, ჩემთვის რჩებოდი ყოველთვის ვარდად.

To Earthward მინისკენ

სიყვარულია ტუჩთა შეხება და ასატანად ზედმეტად ტკიბილი, და თუ ვიგრძობდი მე ზედმეტი გზნებას, თითქოს ეს იყო ცაში ლივლივი.

ამან მომწყვიტა ყოველგვარ სიტკბოს, მუშკის შეფარულ სუნს რომ ედებოდა, დაფარა ყურძნის ნაჟურმა თითქოს, ბინდისას ბორცვს რომ დაედინება.

ტკივილს ვგრძნობდი და თავბრუს მახვევდა როს ვაგროვებდი მე წერნას რტოვებს, ყვავილთა კონა, ცვარს რომ აფრქვევს და თან ხელის გულზე ნაკვალევს ტოვებს.

მსურდა, შემეგრძნო მე მძაფრი სიტკბო ყრმობისას სიტკბოს ჟამი კი ვერ კლავს, ვარდის ფურცელი გადმექცა თითქოს უმწვავეს ეკლად.

და თუ სიხარულს შემოაკლდა გემო მარილის, თუ არ შეუჩნდა ტკივილი მწარე, და თუ შეიგრძნობს დანაშაულს სული დაღლილი, და თუ ერევა მსუხარე თვალებს

ცრემლი, რომელიც სულ მუდამ თან სდევს, ზედმეტ სიყვარულს, გულში ანთებულს, სულის სიმწარე, ტკივილს რომ ბადებს, და როცა მიხაკს, ცეცხლმოკიდებულს,

ვხედავ ნუხილით და სიმძიმით, ვშიშობ, ჩემს ხელებს რომ ვერ გაუძლებს, არ მსურს, დავთრგუნო ჩემი სიმძიმით, და ღრმად ქვიშაში არ ჩავფლა უცებ.

მე ძალის ქონის არ ვკარგავ იმედს, თუმც ტკივილი მაქვს გულს ჩახვეული, მინდა შევიგრძნო მინის სიმძიმე მთელი სხეულით.

ხეების ხმა

ვეხტებოდი მე ხეებს შორის, ნეტავ, რად გვიპყრობს შრიალი მათი, როცა ჩავგვისის ხმა მარადისი, სხვა ხმებზე მეტად იქ, სადაც ჩვენი გვაქვს საცხოვრისი? ჩვენ გვიპყრობს განცდა ყოველდღიური, ჩვენი ნაბიჯის ხმა ვიდრე ისმის, ჩვენ გვეუფლება უნარი სმენის და გვიპყრობს ოხენა გაუსაძლისი. თითქოს აქვთ ნატვრა უსაზღვრო სივრცის, თუმცა რჩებიან იმავე ადგილას; და ვინც საუბრობს, იმან ხომ იცის, ზრდის დროს მატულობს უნარი სიბრძნის და ეს კი ნიშნავს დარჩენას იქვე. ტერფით ვეხები იატაკს როცა და თავს ვაქანებ მე აქეთ-იქით, რადგან მიტაცებს ხეების რწევა, რომელიც ჩემი სარკმლიდან მოჩანს.

მე, ალბათ, იქით ვავეშურები,
 და უგუნური აზრი შემიპყრობს,
 როს მოჰყვებიან ხეები შრიალს,
 სურთ, რომ გაფანტონ თითქოს ღრუბლები,
 და ირწევინ, როს ქარი უხმობს,
 უკვე აღარ მსურს მე საუბარი
 და ნავალ უხმოდ.

პატარა ჩიტის გახსენება მზის ჩასვლისას, ზამთარში

დასავლის მხარე განიძარცვა ოქროსფერისგან,
 ჰაერის სუნთქვა კი სიცოცხეს ვერ განერიდა,
 როცა თოვლიან გზას დავადექ, სახლთან რომ მიდის
 თითქოს შევნიშნე, რომ უეცრად დაფრინდა ჩიტი.

ზაფხულში, როცა მე ვიდოდი იმავე გზებით,
 შევერდებოდი და ჩემს მზეერას ვაპყრობდი ზევით,
 ის ანგელოზის ლამაზ ხმას ფლობდა
 და განუწყვეტლივ ტკბილად გალობდა.

ახლა იმ ჩიტის არ ჩანდა კვალი
 და ტოტს კი შერჩა ფოთოლი მჭკნარი,
 სხვა არაფერი აღარსად ჩანდა,
 ფოთლებდაცვენილ იმ ერთ ხის გარდა.

თანდათან ბორცვი რომ ავიარე,
 გაფიქრე, რომ ყინვა მჭვირვალე
 თოვლს მყინვარებას უფრო მატებდა
 ოქროსფერ შუქით ავარაყებდა.

ფუნჯი, რომელიც მრუდ ხაზებს ჰქმნიდა,
 ღრუბლის ქულისგან და თეთრ ნისლისგან.
 ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ცა ცისფრად კრთოდა
 შორს კი ვარსკვლავის სუსტი შუქი გამოსჭვიოდა.

ჩემი ნოემბრის სტუმარი

ჩემი ნუხილი, ვგრძნობ, როდესაც ჩემ ახლოს არის,
 და ის ფიქრობს, რომ შემოდგომის დღე წვიმიანი
 სიმშვენიერით ძველ დღეების არის სადარი;
 მას გაძარცვული, ხე უყვარს მჭკნარი;
 გადაიარა წვიმით სველი გზა საძოვარის.

თუ რამ უხარის, ნებას არ მრთავს, რომ დავრჩე წამით,
 მე ვიმახსოვრებ, რა ეამა, რამ გაახარა:
 და ჩიტები რომ მიფრინავენ, ის ტკებება ამით,
 მას სიამოვნებს, რომ უბრალოდ მისი ქალარა
 ვერცხლისფრად ბზინავს, ეკიდება როდესაც წამი.

წყება ვერან და მარტოსულ ხეთა,
 მძიმე ზეცა და დედამინა, გულგამომშრალი,
 და ყველაფერში ჭეშმარიტად მშვენებას ხედავს,
 ფიქრობს, არა მაქვს ამ ყველაფრის ნახვის უნარი
 მალიზიანებს ყველაფერი და მტანჯავს მეტად.

არ შემეცვნია მხოლოდ გუშინ ეს ყველაფერი,
 არც სიყვარული გაშიშვლებულ ნოემბრის დღეთა,
 ვიდრე ზეციდან არ დაემეწენ ფიქვები ფრენით,
 ამაო იყო მაინც მისთვის, რაც უნდა მეთქვა,
 თუმც მის საქებრად უკეთესი სად ვნახო დღენი.

ცად დაკარგული

წვიმების წყარო, რუხი ღრუბლები, ბობოქარ ღამით
 უხვი ცვარ-წამით ავსებდა სივრცეს,
 რასაც ველოდი მწყურვალე თვალით,
 ცად იმავე ნიშანს ვეძებდი ისევ.

მიმოფანტულან ვარსკვლავები ზეცის სივრცეში,
 თანავარსკვლავედს მოსწყვეტოდა ყველა მათგანი,
 მათ სუსტმა კრთომამ ძველი გრძობა ვერ აღძრა ჩემში,
 უმადურ შიშის ეს არ იყო ხმა შინაგანი.

ოხვრა აღმომხდა, თავი რომ ვცან მე დაკარგული,
 “სად, სად ვარ, ზეცავ? ნურას მეტყვი, მასუსს არ ველი!
 ღია ღრუბელი, გადაიხსენ, გამიღე გული
 რომ დაკარგულმა ზეცად ვპოვო მე საფარველი.

გაზაფხულის გუბებში

ტყის სიღრმეებში გუბე ზეცას ირეკლავს ისე,
 რომ ნაკლიც არ აქვს არეკლილ სივრცეს.
 ყვავილებივით, მის ირგვლივ რომ სიცივით თრთიან,
 ხსევა ყვავილებიც მათ მახლობლად ჭკნებიან უცებ,
 თუმც ნაკადული და მდინარე ახლოს არ დიან,
 ფესვები მაინც ამოყრიან მუქ მწვანე ფურცლებს.
 ხეების ტოტებს ეფინებათ კვირტი უნებურ,
 რათა ზაფხულში ტყით დაბურონ მთელი ბუნება.
 დრო დასჭირდებათ, რომ აღგავონ საკუთარ ძალით,
 და შეისრუტონ საბოლოოდ წვეთი ყოველი,
 წყლით დაფარული ყვავილები, ყვავილთა წყალი,
 გუშინ რომ დადნა, თოვლი თეთრი, ფიფქის მთოველი.

Carpe Diem

მოხუცებულმა დაინახა მშვიდი ბავშვები
 ერთურთის გვერდზე სიყვარულით ვიდოდნენ მწუხრში,
 იქნებ, სახლისკენ მიდიოდნენ, არც ეს იცოდა,
 ანდა ვერ თვოდნენ, რომ გასცლოდნენ სოფლის მიდამოს,
 ან ისწრაფოდნენ, ტაძრის ზართა ხმა რომ ისმოდა.
 ის წამით შედგა (ისინი ხომ იყვნენ უცხონი),
 თუმცა შორს მყოფნი, ყურს ვერ მოჰკრავდნენ,
 თუ რა უსურვა.

“ბედნიერებას გისურვებდით, ბედნიერებას,
 და, დაე, ეს დღე თქვენთვის იყოს ღმერთის მომტანი.”
 ძველთაგან თქმული ხანდაზმულთა არის ეს სიბრძნე,
 ლექსები მუდამ საგსეა ამ მარადისობით,
 თან მოსდევს ჰანგი ვარდების კრფას,
 რომ ამცნოს საფრთხის სიახლოვე, თუკი ვერ იგრძნეს,
 შეყვარებულებს რომ მოელოთ გაუფრთხილებლად,
 რომ ვერ თოკავენ სიხარულის წამლეკავ ვნებას,
 ბედნიერების გრძობებით რომ აღივსებიან
 და ვერც კი გრძობენ, თუ რა მოელოთ.
 მაგრამ შეძლებენ სიცოცხლეში დაჭერას წამის?
 თუმცა რთულია, რომ ყოველი იგრძნოს ანმყოში,
 მომავალშიაც ძნელი არის შეგრძნება ამის.
 და უფრო ნაკლებ - ორივე დროს
 ვიდრე წარსულში. და ანმყოში კი
 გვეძალება გრძობები ჭარბი,
 ზედმეტად უხვი, მეტისმეტად დამაბნეველი -
 ასეთი ანმყოსი წარმოდგენა უფროა ძნელი.



განათლება - პირველი ნაბიჯები

თვითგანვითარება. ამ სიტყვას ძალზე ხშირად შეხვდებით მე-19 საუკუნეში დაბადებული მწერლების ავტობიოგრაფიებში, თუმცა მე-20 საუკუნედიან უკვე თითქმის ყველა საშუალო სკოლაში იწყებს სწავლას.

ეს თვითგანვითარება პირველივე ბიოგრაფიებიდან გვხვდება. ასეთებს ხან მამა ეხმარება, ხანაც დედა, ზოგიც ხანის ბეჭუხე სწავლობს წერა-კითხვას (მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ქალღალდიც ჰქონდეთ სახლში). დედა ზოგჯერ თავის ხელნაწერთი ასწავლის ანბანს ან ქალღალდის ნახევებზე ჩამოწერილი ასოებით. სხვებს ანაბანა ბუხართან შეუსწავლია გოგებამუშელის "დედა ენით".

პატარა იოსებ გრიშაშვილი ხარფუხში ერთ პატივსაცემ ოჯახში მიუბარებიათ და ქართულ წერა-კითხვას შემდეგ უკვე ამ ოჯახის უფროსი ქალი "კაჭანთ სონა" (სოფიო გრიგოლაშვილი) ასწავლიდა. კონსტანტინე გამსახურდიას პირველი მასწავლებელი სოფლის დიაკვანი, ევგენ ქორიას ყოფილა.

თავისი განათლებით, როგორც წესი, ამყობენ, წერენ, რომ პანსიონი, სადაც იხინი სწავლობდნენ, ქალაქის ყველა კერძო სასწავლებელზე უკეთესი იყო (მაგ. ქალთა, ფრანგი ქალის, ფავრის პანსიონი XIX საუკუნის 60-იან წლებში), აღნიშნავენ, რომ ენათმეცოდნე ოჯახში მიუღიათ განათლება, "ვეფხისტყაოსანი" ხომ თითქმის ოჯახის ყოველი უფროსმა ქალმა ზეპირად იცის. ეს წიგნი ხანდახან ხელნაწერის სახით ინახება მათ ოჯახებში, ხელნაწერის სახით აქვთ ასევე "და-ერთნი". მშობლები ფალაგებებით იძახებდნენ ხოლმე ბავშვებს საზეპიროებით ცოდნის დასამტკიცებლად.

კონსტანტინე ნიკოლაძე (ნიკო ნიკოლაძის ძმა) ძმა 1872 წელს, 12 წლისა ევროპაში წაუყვანია და თავის ავტობიოგრაფიაში წერს: "მეცხრამეტე საუკუნეში, შეიძლება მე ვიყო ერთი პირველი ქართველთაგანი, რომელმაც პირველმა მიიღო საშუალო ცოდნა ევროპაში"-ო.

დანაწევითი კლასებში ხშირია მოსწავლეთა ექსპლუატაციაც. მასწავლებლები მათ ხანდახან ვენახებში აგზავნიან სამუშაოდ ან ტყე-ღრეში უშვებენ სადილისთვის სატაცურის მოსაგროვებლად. ამუშავებენ თავიანთ კოლო-საბჭოში, ეზოში, მატყლს "ანწენიებენ", ქათმის ბუბზულს არჩევიანებენ.

უცხოელ მასწავლებლებს გვარებით ვიცნობთ. მაგ. ილიასთან ჰაკკე, ეკატერინე გაბაშვილის ზემოთ ხსენებული ფრანგი მასწავლებელი მაღამ ფავრი, ვინმე იუშკოვი და სხვები.

იაკობ ფანცხავა იხსენებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამემნეს, ვალერიან გაფრინდაშვილის მამას, ივანე გაფრინდაშვილს, რომელიც "ყოვლად გამოუსადეგა-

რი პიროვნება" ყოფილა თურმე და იქვე ერთ-ორ მწარე ამბავსაც გვიამბობს. ერთხელ ვერაფრით ვერ მოახერხა თურმე თანდებულის ახსნა ერთმანეთში დომხალივით ურეგად რუსულ-ქართულ სიტყვებს და ახსნილი გაუგებარი დარჩა უყვარდა გამოთქვა, "ძმაო, კაცო!", ხშირად იმეორებდა. დაპარაკისას ცხვირში ფრუტუნებდა სულ საყვედურებს ამბობდა, ყვიროდა, ხანდახან დასდევდა კიდევ მოსწავლეებს. ერთ-ერთი ასეთი "რბოლისას" მერხთან დაენია თურმე ბავშვს და ნიხლი ზურგში ჩააზილა:

"მოწაფე თვალის დახამხამებში ანაზდად წაიქცა. იატაკზედ გაიშლართა. ივანე შეტკრთა და მოწაფეს მოფერება დაუწყო. მოწაფე კი მას ყურს არ უხედებდა, სწუფბა და "ვაი-ვაიო!" გაიძახოდა ვითომ დარტყმული ადგილი სტკიოვდა. ამ დროს ამ სცენას მასწავლებელმაც შემოუსწრო. ივანე კლასიდან კუდ-ამოძუებული გაიპარა. მოსწავლე უწრაფად წამოდგა და თავის პარტაზედ ადგილი დაიჭირა. ამ გაკვეთილის შემდეგ, როცა ამხანაგს შევეკითხეთ, მართლა სტკიოვდა თუ არა დარტყმული ადგილი, გვიპასუხა: გაგონილას! რის ტკივილი, რა ტკივილი!... თითქოს ბუხი და არ დამფრენოდეს, რომელსაც არ კი უტკენიაო!... გაშლართვა კი განგებ მოვიგონეთ. ეს ამბავი იმავე დღეს ყველა მოწაფეებმა და მასწავლებლებმაც გაიგეს. ამ დღიდან ივანე გაფრინდაშვილი ყველას თვალში სასაცილო გახდა".

სწავლის პროცესში სულ პრობლემებს აწყდებიან. სოციალურ თემებთან ერთად მოსწავლეთა უფლებებზეც ბევრს საუბრობენ, ძალადობაზე მშობლიური ენის აკრძალვაზე, უცოდინარ მასწავლებლებზე და ა.შ. თუმცა ზოგჯერ ავტორებს ხოლმე მასწავლებლებს ასახელებენ, რომელთა შესხვდრამაც მათი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა და მათთან ურთიერთობის შემდეგ სწავლაში აღარ ნაშობობიანთ (ამას მაგ. შიო არაგვისპირელი აწუბობს ვასილ ბარნოვზე და მონაწილე ნაშვილზე, ამ და სხვა თავში კიდევ არაერთხელ შეგვხვდება ეს და სხვა ნათელი სახელები).

ძირითადად, მაშინდელ სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლები მხეცებს ჰგვანდნენ შიო არაგვისპირელი წერს:

"ღვთის მოყვარე ვიყავ, მაგრამ საღმთო საგნების სწავლება მახინჯად იყო დაყენებული. წირვა-ლოცვა ისე უწევს და ძალდატანებითი, რითან და თან საღმთო სჯულის, მღვდლისა და საგდრის ხსენება ზიზღსა მგვრიდა <...> თითქოს ღვდიად უნდა წაესულიყავი, მაგრამ როგორ დგინდაც სულიერად შიშველ მყვებს, მამის გადმონაცემიც კი წამიშალეს და ეხლა ღვდიადი?".

ნამდვილი მონსტრი ყოფილა მისი ბერძნული მასწავლებელი, რომელიც თავის ნებაზე წერდნიშნებს და იმდენს მიიღნია, რომ ყველას შუაძე-

ლა თავისი საგანი. კითხვაც კი დაავიწყდათ მონაფეხს.

როგორც ყოველთვის, თბრობაში საფუძვლიანი თვლი სახოკია. იგი განათლების თემსაც დიდა ადგილს უთმობს. სწავლა მამამისმა 5 წლისას დაიწყო, შემდეგ ერთი პოლონელი ქალი ასწავლიდა, ინდოეთის ტელეგრაფზე მოსამსახურის ცოლი. ასწავლიდა რუსულად. შემდეგ რუსული წერა-კითხვის სწავლებას განაგრძობდა ერთი რუსი პოლიკოვნიკის, ვინმე ალექსანდროვიჩის და. შემდეგ იგი შეჰყავთ სოხუმის მთიელთა სკოლაში, სადაც ქართულის სხელება კი არ იყო. მამამისი დაფიქრებულა, საყველპურო, შინაურული ქართული მაინც არ დაგავინყო ბავშვსო და თავის დიაკვანს, გვარად ჭალაგანიძეს მიანდო ეს საქმე. რის ვაი-ვაგლახით უშოვინათ პეტრე უმიკაშვილის დაბეჭდილი ქართული ანბანი, ფურცლის მეოთხედზე დაბეჭდილი, დაუწყიათ სწავლა, მაგრამ ერთხელაც მობეზრებია თედოს და ნაფლეთებად უქცევია ეს ანბანი. რუსული უკვე ვიცო, ეს რაღად დამჭირდებაო. შემდეგ იტყუებოდა, კატამ დამიხიაო.

მამას ბევრი არ უნადვლია, მოზარდიც გახარებული იყო, რომ გადაურჩა ქართულ ანბანს, თუმცა 1876 წლის რუს-ოსმალოს იმმა მიხედვით იყო დაპირებული მშობლიურ ენას. სოხუმიდან ბევრი აიყარა და სამეგრელოს დაუბრუნდა. მისი ოჯახი დედუღეთში, ხობში, სოფ. ხეთაში მივიდა და იქაურ სასოფლო სკოლაში, ვინმე ზოსიმე ჩაჩუასთვის მიუბრუნებიათ მისი თავი, "იქნება ქართული წერა-კითხვა ასწავლოთ როგორმეო". პატარა თედოს ერთგვარი პატივისცემით და შურით უყურებდნენ თურმე, რადგან რუსული იცოდა, რომელსაც თანატოლებსაც ასწავლიდა, დავალებული ჰქონდა, თუმცა იმით "ჩქინიბურის", ჩვენებურის, ქართულის სწავლება ავიწყდებოდათ და ისეც მშობლიური ენის გარეშე რჩებოდა ბავშვი. შემდეგი მასწავლებელი იყო სამეგრელოში გავლენიანი მდგელი შიო იოსავა და მისი შვილები. პატარა თედოს რუსულს ისე აქტიურად იყენებენ სხვები. ბაბუასმისა მაგ. კარგად აუღო ალდო მის ცოდნას, რუსულ ლოცვებს და გალობას და პატარა დიაკვანად გაიხადა თურმე, გლეხებთან დაპყავდა ტაბლების საკურთხებლად, საღვთ-ვახშმებზე სტუმრებთან "მამაო ჩვენის" რუსულად ათქმევენებად, მოკლედ, "თავი ექებოდა". შიოც, ძირითადად, საოჯახო საქმეში იხმარებდა ბავშვს და ასეთების გამო ქართული სულ უფრო უკან იწეოდა.

შემდეგ მარტვილის სასწავლებლის ჯერი დადგა, მისაღებზე ქართულში შერცხვა, რუსული წიგნები კარგად ახსოვდა, მამამისმა კი შვილის ფასის ასანჯვად ბავშვს ჩააცვა სოხუმიდან ნამოღებული მთიელთა სკოლის წითელსაყელიანი შავი მუნდირი, რომელიც უკვე დაჰპატარავებოდა და ისე მიიყვანა სასწავლებელში. მეტსახელი მაშინვე შეარქვეს: "მებატე რუსი" და ეს სახელი მანამ ეძახეს, სანამ საერთოდ ხელი არ ააღებინეს ამ

მუნდირზე და მათსავით შინ მოქსოვილი შალის ხალათი არ ჩაიცვა. სხვათა შორის, გლეხის, ივანე ოდიშარის სახლში, სადაც იგი ქირით ცხოვრობდა, ასეთე ცხოვრობდნენ მძები ბესარიონ (შემდეგ იგივე დასახელებით მამარიონი იქნება) და გიორგი ხელაიები. და აი, დადგა ქართულის დროც. ბესარიონ ხელაიას 2 კვირაში უსწავლებია ჭირვეული მონაფისთვის ქართული. და წერითაც თურმე "სრულიად უმტიკინეულოდ, გაუნყრომლად" წერდა:

"ჩემი პირველი წერილი, ქართულად დაწერილი, მამაჩემს ნოემბერში გავუგზავნე, ჩემი კარგათ ყოფნას და სწავლაში წარმატებას ვატიკინებდი და თან ვთხოვდი სამის აბაზის გამოგზავნას. ისე გახარებოდა მამაჩემს ჩემი წერილის მიღება, რომ სავანგებოდ გამოგზავნილის კაცი ხელით სამი აბაზიც მომანოდა და ათიოდ სულგუნიც სავგზლად".

მოვიდა სემინარიაში სწავლის დროც. თედო სახოკია ნარატოლოგიაში ცნობილ ხერხს, პროლეფსის იყენებს და გვამცნობს, რომ რექტორად 1886 წელს იოსებ ლალიაშვილის მიერ სატყვერით მოკლული პავლე ჩუდციკი დახვდა. წინსწრებით ამბობს ამას, ჯერ კი ეს ადამიანი ცოცხალია და ახალმოსულებს ღიმილით ართმევს ატესტატებს. როგორც სასულიერო პირის შვილი, თედო სახოკია ე.წ. "ბურსაში" მოხვდა (ოღონდ თავის ხარჯით, სრული ბურსა-პანსიონისთვის კიდევ ობლობა იყო საჭირო), ანუ სემინარიის შენობაშივე მოთავსებულ პანსიონში, სადაც სამღვდელობის ხარჯზე ეძლეოდათ საკვები, ტანისამოსი, ბინა, შაქარი და სახელმძღვანელოები. მათ ბურსაკებს ეძახდნენ და სულ მალე ამ მეტსახელმა კიდევ უფრო დაზუსტებული მნიშვნელობა შეიძინა:

"...ეს სახელი უჭკვიოდათ ყველა უხემ, ტლანქ, ნატიფ ქცევაზე მწყრალად მყოფ მოწაფისათვის. მართლაც, მამინდელი სემინარიელი ყველანი სოფლებიც იყვნენ. გუთნულები, მოუხმავნი როგორც ქცევასა, ასე ლაპარაკში და ამგვარად განირჩეოდნენ ამ მხრით ვიმნაზიაში მოსწავლეთაგან. თქვენ მავათი მარტო გრძნეთ, შვიც მაუდის საზმითრო გვავანაკებთ ბრძანეთ, მათს მატარებელ მოწაფეთ შავ ყორნებს რომ ამსგავსებდა!... ასე რომ, ყველასაგან ყბად-ასაღები, დასაცინი და საქირდავი სემინარიელები იყვნენ."

როგორც წესი, სემინარიაში შედიან რწმენით, უფროსების პატივისცემით, მთავრობის მოქმედების უკრიტიკო მიღებით და ერთ ნელინადში ეს ყველაფერი ქრება, ძირფესვიანად ერყვება მსოფლმხედველობა და ზურგს აქცევენ ყველაფერს ძველებურს.

საოცრად აღწერს თედო სახოკია თანასემინარიელების გარეგნობას. დასავლეთ საქართვე-

ლოდან ჩამოსულთაგან განსხვავებით კახელი და ქართლელი მოსწავლეები შავგვერდნები იყვნენ და საშინელებად ეჩვენებოდათ. ძლივს შეაჩვიეს თვალი ამ ქერათმიანმა და ცისფერთვალეზმა კოლხებმა. სიშავით განსაკუთრებით გამოირჩეოდა თურმე შიო დედაბრძვილი:

“ძალზე შავი, ლოყებაკვერილი, ჩემზე, მაგალითად, საბთხურის შთაბეჭდილებასა სტოვებდა... პირველში გავურბობდი კიდევცა. წარმოვიდგენდი კი, რომ ეს ადამიანი, ჩუმი, გულწათხრობილი, ერთავად განმარტოვებული, სულ მოკლე ხანში ჩემ მეგობრად გახდებოდა”.

სასულიერო განათლების მომხრეები უფრო მამები არიან, დედები კი ხანდახან წინააღმდეგობას ბედავენ. ხდება პირიქითაც, როცა მამა უპირისპირდება შვილის სასულიერო კარიერას. სოფლებში თანატოლები “ვიწროშარვლიანებს” ეძახიან ქალაქში განათლების მისაღებად წასულ ყმაწვილებს.

პირველი მასწავლებლები, როგორც ითქვამოზობლები არიან ან დედინაცვალი, იშვიათად - ბებო-პაპა, და-ძმა, დეიდა-მამიდები, შინაური მასწავლებელი, სოფლის დიაკვანი, რომელიც ყოველწლიურად 2-2 თვით ხსნის ანბანისა და ანგარიშის სკოლას. ასევე, ჯარიდან ან სასწავლებლიდან დაბრუნებული ან სულაც გამორიცხული ახალგაზრდები. თუმცა საფუძვლიანი განათლების უკრად, ცხადია, სასწავლებელი მიიჩნევა. ამ ორ უზარმაზარ ტომში ათეულბობის სხვადასხვა სასწავლებელია ჩამოთვლილი. მოდით, უცებ გადავავლო თვალი. ესენია: სოფლის სკოლები, თუმცა სოფელში, სადაც სკოლა არაა, განათლებულ საზოგადოებას მღვდელი, დიაკვანი და მწერალი (გადამწერი, წერილის დამწერი) წარმოადგენს. აქვეა ნახსენები სათავადაზნაურო სკოლები, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებელი, სენაკის სასულიერო სასწავლებელი, სამინისტრო სკოლა, ხონის ორკლასიანი სკოლა, სამრევლო სკოლა, ქვასვეთის სამრევლო სკოლა, ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი, “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” ბათუმის ქართული სკოლა, სასოფლო-სამრევლო სკოლა, საეკლესიო ერთკლასიანი სასწავლებელი, კრონდშტადის სამხედრო-საზღვაო იუნგთა სკოლა, ბუღდანოვას კერძო სასწავლებელი, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია, ვაჟთა პირველი გიმნაზია, მეორე გიმნაზია, ქალთა საზოგადოების სკოლა, გორის ქალთა კლასიკური გიმნაზია, საჭაბიასერის უმაღლესი პირველდანიებითი სასწავლებელი, თბილისის საეპარქიო გიმნაზია (ქალთა), “სუფსარქისისა და სუბეპარქის სკოლა”, თბილისის ნეკრესიანის სასულიერო სემინარია, ბაქოს გოგორის სახელობის სასწავლებელი, ხონის საოსტატო სემინარია, მასთან არსებული ორწლიანი სკოლა (ეს და ის ორკლასიანი ალბათ ერთი და იგივეა), ზემო მაჩხა-

ანის სამკლასიანი სასწავლებელი, მაჩხაბინის არასრული საშუალო სკოლა, ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, ქუთაისის სემინარია, გორის სასულიერო სემინარია და გიმნაზია, თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებული მებაღეობის სკოლა, თელავის მამზრო სკოლა, პოლტავის სასულიერო სემინარია, “სუხუშის” ორკლასიანი სასწავლებელი, ხონის სამასწავლებლო სემინარია, ავღაბრის სამეცნიერო სკოლა, ცხმორის ქუთაისის ქალთა გიმნაზია, საეკლესიო ერთკლასიანი სასწავლებელი, გორის რუსული კლასიკური გიმნაზია, ფოთის უმაღლესი პირველდანიებითი, გუმანიური ტექნიკური, მთიულთა საბავშვო სახლი, სადაც მავგაკრიელ ჯაბუშანური სწავლობდა და “სუხუშის აფხაზური სკოლა-ინტერნატი”, ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლა, ამპროლაურის საშუალო სკოლა, ცხმორის შვიდწლიანი სკოლა, მეზღვაურთა საშუალო სკოლა. მე-20 საუკუნედან უკვე სკოლების დანომვრაც დაიწყო და ზემოთდამონმებული “ინდივიდუალობაც” ციფრებში გაიქცა. ზოგს საქართველოს ფარდლებს გარეთ უწევს დაწყებითი განათლების მიღება, რადგან მშობლები არიან სამუშაოდ წასული.

ეს თავი “თვითგანვითარებით” დავიწყე და აქვე განვავრცობ ამ თემას. ავტობიოგრაფიების ავტორები ხშირად ამბობენ, რომ უსისტემოდ და ბევრს კითხულობენ. შეხვედებით ასეთ გამოცქვევსაც: “თუ რამ ცოდნა შემიძენია - პირადი მუშაობით”. ლიდა მაშულიაშვილი-მეგრელიც მაგწერს: “კვითხულობდი ყველა წიგნს, რაც მოხვდებოდა ხელში. ამიტომაც ძალიან ადრე, სულ 13-14 წლისა, დავფორდი აზროვნებით, გრძნობით და სულიერი ცხოვრებით მაშინდელი გურის თავად-აზნაურულ ვაჟუქსავატებულ ნაწილს საზოგადოებისას, რომელნიც მესამე დასელებს უწოდებდნენ თავისთავს”. თვითგანვითარების გამოა, რომ ნატალია მიხეილის ასული აზიანდონდროვა 13 წლისა ტოლსტოის “კრეციერის სონატას” კითხულობს და შემდეგ მასწავლებელქალს “გულურწყვილივ” ჰკითხავს, “Что таке дом терпимости?”, რაზეც ერთი ამბავი ატყვდება მოუსვენარი გოგონა თბილისის “წინდა ნინოს” სახელობის პანსიონში თავს ცუდად გრძნობს. სატყვად მიაჩნია, მხოლოდ რუსულად ან ფრანგულად ლაპარაკის უფლებას აძლევენ. ბოლოს “გამობარახუნეს”, რადგან “ნაჩაღიციც” ტატბრჩევას ზემო სართულიდან ვაშლი სთხლიშა თავში, იმის გამო, რომ ხშირად სჯდა.

იმავეს აკეთებდა ნატალია გორის პროგიმნაზიაშიც. დირექტორ ტრეფლეცის ქრონიკულ ნერვიული თავის ცანცარი ჰქონია, კლასში გამოჩნდებოდა თუ არა, გოგონაც თავს აქეთ-სიეთ აქნევდა, აჯვავებდა და ამაზეც არაერთხელ დაუსჯიათ. ყოფაცქვევამ ყოველთვის “ედიინდა” ჰყოლია თურმე, მათემატიკაშიც იკვივე. ხშირად ერთბოდა კლასელებისთვის თმათა ჩანენით და შემდეგ დაფასთან გამოძახებისას ძალიან ხალ-

სობდა, როცა ერთს გამოიძახებდნენ და იგი მეორესაც წაითრევედა დაფისკენ. მორიგი გამოცხადების შემდეგ ისევ მოიცალა საყვარელი ნიგნებისთვის. ბევრ კითხვას უწუნებდნენ, გაიჟღერებო. მერე გონწაროვის **ОБРЯВ** წაიკითხა და *“ამ რომანის გმირ ქალ ვერასევე, რომელიც იქამდინ მომწონდა, რომ ჩემ იდეალათ დავისახე, ქოლგას ვიღებდი ხელში, სახლიდან ვიპარებოდი და გორის მიდამოებში ვეძებდი ჩემ ბევდრ ვოლოხოვს. ჩემ საბედნიეროთ, არავინ შემხვდა, თორემ, გადაცემული კინტოც რომ ყოფილიყო, მარკოზ პოზა-თაც მერვევებოდა. საზოგადოთ, ნილილოზმმა ძალიან გამიტაცა”*.


მუდმივ კითხვას უწუნებენ მარიამ გარიყულსაც. ამიტომ, გადაწყვეტილი აქვს, მონაზვნად წავიდეს. მამას ბიძაც კი მიუგზავნა მოციქულად. ასე ფიქრობდა, რომ მონასტერში თავისუფლად იცხოვრებდა და რასაც უნდა, იმას წაიკითხავდა. მამამისს მოციქულის პირითვე შემოუთვლია: *“როდესაც ოცდახუთი წლის იქნება და მაშინაც ამ სურვილს განმიტოვებს, აღარ დაეუშლიო”*.

კითხვაზე გამახსენდა, ლეო ქიაჩელს უწერია ავტობიოგრაფიაში სიტყვასიტყვით ასე, უელსისა და დარვინის ორიგინალებს ვკითხულობდით რუსულ თარგმანშიო.

ერთხელ, 1885 წელს, 16 წლის დავით გაბრუაშვილი-ვეძელი გრიგოლ ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში შევიდა და კარგი ნასაკითხი წიგნები მოითხოვა, თანაც დასძინა, ყარამინიანი, ვისრამიანი, ბარამიანი, ალექსიანი, ალღუზიანი, შვედ ვეზირიანი უკვე წაკითხული მაქვსო. უცებ ერთი უცნობი გამოიჩინა და ბარათი მისცა: *“ამ ბარათით ქართულ თეატრში მიიკითხე და წიგნსაც მოგვცემ და თეატრის ბილეთსაც”*ო. ეს უცნობი ალექსანდრე ყაზბეგი ყოფილა. შემდეგ პარიკმახერთან გადასულა დავით გაბრუაშვილი სამუშაოდ და იქ კიდევ უფრო კარგად დანაფთვია თვითგანვითარებას. მალე ლექსების “წერვაც” დაუწყია.

ჰაიდარ ალის ძე აბაშიძის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ის მომენტი ყოფილა, როცა “ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ და-დალჩი თავი ხოჯა-მოღების გავლენას და შევიგნე, რომ ქართველი ვარ. შეგნება იმისა, რომ აჭარელი ქართველია, ყველაზე ადრე შთამინერგა “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” ბათუმის ქართულმა სკოლაში”.

სწავლა რთული და მტკივნეული პროცესია, ბავშვებს ჭინჭრითაც უსუსხავენ წვივებს, ლაზათიანი ყურის ანეკვებიც გვხვდება და, საერთოდ, უმრავლესობას ჰგონია, რომ სკოლა ის ადგილია, სადაც აუცილებლად უნდა სცემონ, “სახაზავეებით გაუმასპინძლდნენ და სახლში მუდამ თვალცრემლიანი გამოუშვან”. “ცემა-ტყემა, პიროვნების ფეხქვეშ თელვა, ფიზიკური შრომისა და სილარბისათვის ზოგიერთი მასწავლებლის მხრივ მასხრად აღდება, დაროქება, გინება, დამამცირებელი ეპიტეტები”. ქართულად დალაპარაკებაზე



სასჯელს ვერავინ აცდა. კონსტანტინე კაპანელი იხსენებს, რომ კვანათის ნორმალურ ორკლასიან სასწავლებელშიც და ფოთშიც, ქართულად დალაპარაკება აკრძალული იყო. ასეთ დროს მას *“მაშინათვე მიაჩნებდნენ ხელში ვანსაკუთრებული ფორმის ფირფიტას, რაც ნიშნავდა გაკვეთილების შემდეგ დარაჯებთან სასწავლებლის შენობის დახვედრის ვალდებულებას”*. ალიო მირცხულავაც ახსენებს ამ ე.წ. *“ბეზაბედას ფირფიტებს”*. ამ წესს ბავშვებიც გაუუმბაყებია და *“ვאי მაშინ, თუ ვინმე ცუდლუღტი მოწაფეთავანი ამ ნაღისოდენა ფორფიტას შემოგაჩენება ხელში! სადამომდე სკოლაში უსმელ-უშმელა დაგტოვებდნენ”*. იქვეა დასჯის მეთოდების აღწერაც:

“<მასწავლებელი> თავში ჩააფრინდებოდა მოწაფეს, ორივე ყურით მაღლა ასწევდა და ასე იმდენხან ეჭრა, სანამ საწყალ ბავშვს გუგებიდან თვალები არ გამოეკარკლებოდა და აგლეჯილ ყურეზიდან სისხლი ყელზე არ გაესკვებოდა”.

ალიო მირცხულავა ასევე დეტალურად იხსენებს სადმროთ სჯულის მასწავლებლის, კინტირია კვირკველიას ჭირვეული ჯორის ამბავსაც. მხოლოდ მასწავლებლები არ ანამებდნენ უმცროსობას, არამედ ხანდახან მოსწავლეებიც ტანჯავდნენ თავიანთ მოძღვრებს. მაგ. კოლაუ ნა-



დირაქს ჰყვარებია მათი წვალბა, სხვათა მაგალითებიც საკმაოდ ვიცით, თუნდაც იაკინთე ლი-საშვილის, ვინც სოფლის სკოლაში სწავლისას ძალიან გამოიჩინოდა ცელქობით, ხშირი იყო ჩხუბი და გარტყმა, "რის გამოც მასწავლებელი ხშირად მაგდებდა სკოლიდან და ბოლოს საქმე ისე მიეწყო, რომ მასწავლებელთან ცუდი დამოკიდებულების გამო მეოთხე განყოფილებაში ორი წელი ვიჯექი (მანამდე ვსწავლობდი კარგად) - მასწავლებელი (კ. სვანიძე) არც მკითხავდა რას-მეს და არც მე ვუპასუხებდი. ჩვენ "გადაკიდებუ-ლები" ვიყავით. ამის გამო მივატოვე სწავლა...".

სოსო გრიშაშვილი "შაიკის" მეთაურია და შემდეგ სკოლიდანაც რიცხავენ ცელქობის გამო.

აკაკი განერელიას კითხვა ძალიან ადრე დაუწყია, კითხულობდა უნცსრიგად, მოთხრობებს, რომანებს, ბროშურებს, ძველ ჟურნალ-გაზეთებს, ქართველ კლასიკოსებს, ილიას, აკაკის, ალექსანდრე ყაზბეგს. 12 წლამდე წაუკითხავს რაც კი რამ ბულვარული რომანი იყო თარგმნილი, მერაბ მაჩაბლის შექსირსაც. გიმნაზისტობის პერიოდში რუსული და ევროპული ლიტერატურა ამონურა, იხსენებს დღსტოვესკით გატაცების პერიოდსაც. კითხულობდა ედგარ პოს, სტრინდბერგს, იბსენს, ანდრეი ბელისა და ექსპრესიონისტებს, ვასილი როზანოვს.

მოთხრობელები ასახელებენ თავიანთ საყვარელ მასწავლებლებსაც. ყველაზე ხშირად მთარიცხვში ხვდებიან ვასილ ბარნოვი, ან ეკალაძე, ვუოლი ბერიძე, ნიკო ლომოური. ახსენებენ ცნობილ პედაგოგებსა და საზოგადო მოღვაწეებს, ნაკლებად ცნობილ მასწავლებლებს, ანტა იურკევიჩსა და ზემო მაჩხაიაზე ელენე ბოსტაშვილს, ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდ მოყვარულს, ქსენია მაქსიმეს ასულ ბოლქეაძეს, "ადამიანთრობის ეტალონს". ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას გორის პროგინაზიაში ქართული ენის მასწავლებლად დახვედრია ცნობილი რევოლუციონერ-ხალხოსანი მიხეილ ყიფიანი, რომელმაც ყმანილი ქალის ბუნდოვანი მისწრაფებები "დღის სიხვადები" გამოუტანია და "მავარი უროთი ჩაუმკვრივებია". თბილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში ასწავლიდნენ ახალგაზრდა კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია და სერგო გორგაძე. ხანდრო შანშიაშვილი ასხენებს მოსე ჯანაშიელს, საშა ნეიმანს, ლათინური ენის მასწავლებელ ალექსანდრე მიქაბერიძეს, გერმანულის მასწავლებელს, ნიკო ლორთქიფანიძეს, პეტრე მირიანაშვილს, გრ. ვოლკოვს, გიორგი ნათაძეს, სეთი იაშვილს, სამღვთო სჯულში კალისტრატე ცინცაძეს. გიორგი ლეონიძის საყვარელი მასწავლებლები არიან - შიო შიუქაშვილი, ვასილ ბარნოვი, ნიკო სულხანიშვილი და ან კარგარეთელი. ვასილ ბარნოვზე წერს, მისი უსაყვარლესი მოწაფე და მესაიდუმლე გაეხდით. იგი თავისი ჩარიცხვის წელს იხსენებს, 1913-ს. ამ დროს სემინარიიდან 2 წლის ვარიცხუ-ლი იყო გალაკტიონი, ნიჭიერ ახალგაზრდა პო-

ეტს, "დემონს" (ქურქ ქავთარაძეს) ვერ ატყბან სემინარიის რეჟიმი და თავი მოეკლა, ხოლო ა. მოსაშვილს უკვე მოესწრო ხარკოვის უნივერსიტეტი შესვლა.

ხშირად უსახსრობის გამო სწავლის მიტოვება უნვეთ ყმანილებს, თუმცა უმრავლესობა მალევე პოულობს გამოსავალს და სხვა სასწავლებელში გადადის, ან უფასოში ან შეღავათიანში. ანდა სულაც ეგრევე მასწავლებლები ხდებიან როგორც მაგ. სოლომონ ციციშვილი. იგი ძალიან ემადლიერება იონა მუწუნარციას ოჯახს, რომელიც მისი თვითგანვითარების დაუთურებ წყაროდ იქცა.

უმადლესი განათლება

ჯერ სასწავლებლებს ჩამოვთვლი: თბილისის, პეტერბურგის, ვარშავის, ბერლინის, ნანსის, პარიზის სორბონის, მიუნხენის, ჟენევის, ლაიფციგის, ბერნის, ბრიუსელის, ნოიროსიისკის, ყაზანის, მოსკოვის, ხარკოვის უნივერსიტეტები, კიევის უნივერსიტეტის ციხორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, ბრიუსოვის სახელობის სალიტერატურო ინსტიტუტი, პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი (პეტროვიჩი გეგეჩკორი სწავლობდა, სწავლას თავი დაანება ფილტვების დაავადების გამო. ნევროლოგიურში კიდევ რამდენიმე ქართველი მწერალი სწავლობდა, ეტყობა რაღაც განსაკუთრებული ხიზალი ჰქონდა ამ სასწავლებელს). მოსკოვის მინაევსკის სახელობის უნივერსიტეტი, ყაზანის აკადემია, თბილისის საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტი, ვარშავის სამასწავლებლო ინსტიტუტი, ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი, მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, ქუთაისის საავიაციო ტექნიკუმი, ბათუმის პოლიტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი. ლევან გელაძე (დ. 1932) თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიულ ფაკულტეტზე სწავლობდა და საცხოვრებელ მისამართსაც ასახელებს, მეექვსეაქვე, N74 ოთახი.

სხვათა შორის, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში პოპულარული იყო მოსკოვის ლიბკნეხტის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. რამდენიმე აფხაზმა მწერალმა სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ნანა გალაგავანიც სტალინის (ცხინვალის) პედინსტიტუტში ჩააბარა 1932 წელს, აქვე სწავლობდა კიდევ რამდენიმე მწერალიც. მამედ ვარშანიძე ცუკასთან არსებულ ორწლიან სკოლაში სწავლობდა, თინა დონაძე ვინაა კი მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტი, ხოლო შემდეგ ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემია დაასრულა. 1939 წელს მესამე რანგის სამხედრო ექიმის წოდება მიანიჭეს და გაეზარდა ვანეს ქირურგ-ორდინატორად თბილისის საოლქო სამხედრო ჰოსპიტალში, საიდანაც ფრონტზე მოხვდა. თავისი მოკლე ავტობიოგრაფიის ბოლო

ავტორი წერს: "1946 წელს ვიქენი დემობილიზებული. 1947 წელს დაიწყო წერა."

ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა ლადო ასათიანმა, რომელიც შემდეგ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა.

მონპელიეს უმაღლეს აგრონომიულ სასწავლებელში სწავლობდა სიმონ ქვარიაძე, სადაც ფრანგულ ენაზე ნაშრომიც დაწერა, "კავკასიის მდებარეობა-მეღვივების სურათები" და რომელიც ცალკე წიგნადაც გამოიცა 1900 წელს. ნატალია აზიანი-დონდაროვა მოსკოვის უნივერსიტეტში თავის უფალი მსმენელია და კლუჩევსკის და სხვათა ლექციებს ესწრება, თუმცა ახალგაზრდა დრამატურგი უფრო დიდი აღტაცებით ელენორა დუზეს თამაშს იხსენებს, ვიდრე სწავლას. მის წარმოდგენებს იგი ოთხჯერ დასწრება, ორჯერ დიუბას "მარგარიტა გოტიეს" და თითოჯერ "ადრინა ლეკუერესა" და ზუდერმანის "სამშობლოს". დასი იტალიურად თამაშობდა თურმე, თუმცა დონდაროვას ყველა ეს პიესა ზემოაღსკრინად და არაფერი გამოჰპარავს. იგი ასევე დასწრება დირიჟორ ნიკოშის კონცერტებს, ისევე აღნიშნავს, "სერიოზული მუსიკა ავრერიგათ არ მესმოდა და ყველას ისევე ჩვენი თარი და ბიათე-ვი მერჩინავს". ასეთ მონატრეებს სხვაგანაც ავლენს ქალბატონი ნატალია, "იმატრას" განთქმულ წყალვარდნილს ასხენებს და ასე ამბობს, "ჩვენი ზნობის ხეობა მომავანაო".

თედო სახოკია ფენევაში მიემგზავრება სასწავლებლად, ჯერ ფრანგულს სწავლობს ინტენსიურად და შემდეგ იქაური უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო "ნაწილზე" შედის, სადაც კარლ ჰობსისა და გრებეს ლექციებს ისმენს, მალე კი პარიზში ჩადის და სორბონში "საისტორიო ნაწილზე" აბარებს, რადგან ამ ფაკულტეტზე ფული არ იყო გადასახდელი. ამის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო პარიზში დიდხანი გაჩერება და 2 წლის შემდეგ, 1889 წელს საქართველოს დაუბრუნდა. ამას არ შეუშლია ხელი ახალგაზრდა მწერლისთვის და მეცნიერისთვის, რომ ევროპაში დაბრუნებაზე ეფიქრა და 1900 წელს, კათალიკოს-პატრიარქის, კირიონის ხელშეწყობით ისევ დაუბრუნდა პარიზს, სადაც, სხვათა შორის, მსოფლიო გამოფენა იმართებოდა და თედო სახოკიაზე განსაკუთრებული გავლენა მოუხდენია ამ "კოლოსალურ, სასწაულებრივ და განაცვიფრებელ პროგრესს".

გამოფენის დათვალიერების შემდეგ პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოებასთან არსებულ საანთროპოლოგიო უმაღლეს სკოლაში შევიდა:

"იმავე თავითვე ძალიან მაინტერესებდა ბიოლოგია, ყოველ ორგანულ არსის და, უმთავრესად, ადამიანის წარმოშობის ისტორია, მისი პირველყოფილი მდგომარეობა და კულტურა, თანდათან პროგრესი, ვიდრე დღევანდელ მდგომარეობამდე მიაღწევდა. ჩემი გული მიიწვედა კერ-

ძოდ ეტნოგრაფიისაკენ, რომელიც, დაბოლოს, ჩემს სალიტერატურო მუშაობაში, ჩემს სპეციალობად უნდა გამეხადნა".

საანთროპოლოგიო უმაღლესი სკოლის მონაკვეთში სახოკია თავის პროფესორებს ჩამოთვლის და შემდეგ თავის საგანსაც აღწერს, დაუფინანსებია სიტყვები, თუ როგორ ტაბატი მოდიოდა ჩვენი წინაპარი, ტაბატი ეძებდა ჭქმარიტებას, კანონებს, პრინციპებს. ერთ-ერთ სხდომაზე პატონების (ყვავილის) სახალხო მკურნალობის შესახებაც ნაუკითხავს მოხსენება. შემდეგ წიგნადაც გამოუცია ფს მოხსენება. ანდაზების კრებულშიც გამოუცია ფრანგულად, იქიდან კი "ცნობის ფურცელსა" და "მოამბეს" ყოველ კვირა უგზავნიდა თითო წერილს. იმ პერიოდში მოგზაურობაც მოასწრო - ინგლისში, შვეიცარიაში, ბელგიაში, იტალიაში, სადაც მიქელ თამარაშვილს მიუწვევია. ნაწერების დაბეჭდვაშიც ეხმარებოდა.

ერთხელ მეგობარმა მკითხა, როცა თედო სახოკიას თარგმნილ "დეკამერონზე" ჩამოვადეგე სიტყვა, "კი მაგრამ, იცოდა იტალიური?". აი, მისი პასუხი:

"გადაწყვიტე შემოდგომამდე, ე.ი. პარიზში სწავლის განახლებამდე, ორი თვე ემიტარებინა იტალიის ისეთ მზარეში, სადაც ყველაზე წმინდად ლაპარაკობდნენ იტალიურსა, აქ ენაც შესწავლნა და ზაფხულის თვეებშიც სოფლის წმინდა პაერზე გამეტარებინა".

პარიზისა და შემდეგ ბრიუსელის უნივერსიტეტში სწავლობდა დავით კასრაძე, რომელიც ლენინთან შეხვედრასაც იხსენებს. მას კობა სტალინი უქია. კასრაძე ზაგვიშობიან ცნობდა სტალინს, მისი ძმის კლასელი იყო და ამიტომ აღფრთოვანდა ამ შექებით, შემდეგ კი საბატიაც დაუწერია და ლენინის თანახმად ამამინად დაუსახავს იგი. თანაც ამაყობს, ეს ვთქვი პირველადო:

"ვერავითარი დედოფალი მარია ანტუანეტა ვერ მოისყიდის სტალინს და ისტორიის წინაშე გამურული პირბადით არ წარსდგება, როგორც რევოლუციის მოღალატე".

დეტალურად ჰყვება თავისი უმაღლესი განათლების ამბებს კონსტანტინე გამსახურდია. ჯერ კენიგსბერგის უნივერსიტეტში შევიდა, სადაც კანტის სწავლობდა, შემდეგ ლაიფციგის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც ვუნდტს და კოსტერს უსმენდა, ასევე კასირერს, გატაცებული იყო შოპენჰაუერის ფილოსოფიით, ვაგნერის მუსიკით, ბალზაკისა და სტენდალის რომანებით. 1913 წელს მიუნხენის უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას, გაიცნობს თომას მანს (როგორც სხვაგან აღნიშნავს, გაუცნია გერმარტ შაუპტმანი და ანატოლ ფრანსიც). 1914 წელს, ომის დაწყე-

ბოსთანავე აპატიმრებენ, პატიმრობა კიდევ უფრო აკადემიური გამოდგა - იქვე იყვნენ "გამოჩენილი სწავლული პირები", მწერლები, მუსიკოსები, მომღერლები, ელჩისტიები, რომელთან ერთადაც თათბირებს ატარებდნენ "ელჩისთა" ლიტერატურასა და კულტურაზე, ოქსფორდელი პროფესორები, ბრიუსელის სწავლულები, ირლანდიელი მხატვრები, პარიზელი დენდები. ლაგერში თურმე კონცერტებიც ეწყობოდა, ასევე გამოფენები, ლიტერატურული საღამოები. ბოლოს კონსტანტინე გამსახურდიას თომას მანს გამოუსხინა და მიუნხენის უნივერსიტეტში დაბრუნებულა.

შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტში შესულა, რომელიც 1919 წელს დაუსრულებია და ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიუღია. იმეგზაურა იტალიაში, 6 თვე ფლორენციაში, 3 თვე რომში: "ამ დროს მივიღე ნებართვა გადამეთარგმნა ქართულად დანტე".

ნიცში კონსტანტინე გამსახურდიას ორი ავტობიოგრაფიაა შესული, ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებული. მაგ. მეორე ავტობიოგრაფიაში ასეთ ცნობასაც ვხვდებით:

"1923 წელს ს. ორჯონიკიძის დახმარებით წავიდა პარიზს და მთელი 2 სემესტრის მანძილზე ვუსმენდი ცნობილ ფილოსოფოს ბერკსონს".

სხვათა შორის, სერგო ორჯონიკიძე ასეთ შუამავლობებში და დახმარებებში კიდევ არაერთხელ ჩანს, ხან სტალინთან შეხვედრას უგვარებს რომელიმე მწერალს, ხან კიდევ რაღაც თემებს ალაგებს.

ბევრია ისეთი, ვინც მიატოვა სწავლა. დავით სულიაშვილი 10 წელი ცხოვრობდა ევროპაში, ლაიფციგში, უენევაში, ბუენოსაი. უენევაში სოციოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, თუმცა უსახსრობის გამო ვერ დაამთავრა. სიკო ფაშალიშვილი 1918 წელს თბილისის ახლად გახსნილი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დატოვა. სწავლა არ დასცვლდა გაბრიელ ჯაბუშანურსაც. მან პირველად 1934 წელს ჩააბარა უნივერსიტეტში და მალევე დაანება სწავლას თავი ხელმოკლეობის გამო - იგი თელავის რაიონის სოფელ ინგეთში გადავიდა მასწავლებლად, თავისივე სოფელში, სადაც 1933 წელს გადმოსახლდა ხევსურეთიდან მშობლებთან ერთად. 1936 წელს ხელახლა ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დასკერპოული ენებისა და ლიტერატურის სექციაზე, გერმანულის განხრით, თუმცა უნივერსიტეტი ამჯერადაც არ დაუმთავრებია.

ალექსანდრე ქუთათელი 1918 წელს დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში ჯერ სამკურნალო ფაკულტეტზე შევიდა და შემდეგ ფილოლოგიური არჩია. აქ იგი გრიგოლ წერეთელს დაემოწა. მესამე პირში ასე წერს ავტორი:

"წერეთელი მას თავის ბინაზეც ამეცხვებოდა, ძველი ბერძნულის იონიურ, დორიულ კილოკავებში წერთნიდა, თავის კათედრაზე დატოვებს უპირებდა".


ბრიუსოვის სახელობის სალიტერატურო ინსტიტუტში სწავლობდა ალიო მირცხულავა, სადაც თავად ბრიუსოვი იყო რექტორი და ლექტორიც. ავტორი რამდენიმე შემთხვევას იგონებს ერთხელ თურმე მთვრალი ესენინი შემობარბაცებულა ლექციაზე, კათედრაზე ასულა და თვოსი ლექსის კითხვა დაუწყია. ბრიუსოვს არც შემჩნევია ეს ამბავი, ისევ თავის ადგილას იჯდა, გულზე ხელდაკრეფილი. მაიაკოვსკისაც არაერთხელ გადაყრია ავტორი მოსკოვში სწავლისას შემდეგ თბილისის შეხვედრასაც იხსენებს ალიო მირცხულავა, როცა მან, კარლო კალაძემ და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ შეხვედრა მოუწყვეს სათაყვანებელ პოეტი. მირცხულავასთვის ეს უკეაში, შენი ლექსი ბესიკაც მაგონებსო და ქართულად დაუწყია დეკლამირება: "ტანო ტატანო, გულნამტანო, ზილფად მარებო!". ამ მოგონებას ძალიან უფრთხილდება პოეტი, თუმცა 1936 წელს მოსკოვში, კრემლში, სტალინთან შეხვედრას უფრო დიდი სიყვარულით იხსენებს.

1927 წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტში სოლომონ ხუციშვილი. იგი თითქმის ყველა თავის მასწავლებელს ჩამოთვლის: ივანე ჯავახიშვილს, კონსტანტინე კეკელიძეს, გიორგი ჩუბინაშვილს, აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, მიხეილ ზანდუკელს ვახტანგ კოტეტიშვილს. იმ დროს ახალგაზრდები იყვნენ სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე ბარამიძე, ვარლამ თოფურია, კობე ბაქრაძე, რევაზ ნათაძე, რომლებიც პრაქტიკულში ამეცადინებდნენ სტუდენტებს. ცალკე გამოყოფს სოლომონ ხუციშვილი შალვა ნუცუბიძისა და სერგი დანელიას ლექციებს.

სოლომონ ხუციშვილი ახსენებს გრიგოლ წერეთელსაც, რომელზეც ასევე მონივნებით წერს აკაკი განერელია. მან 1932 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი და ყველაზე დიდი სიყვარულით გრიგოლ წერეთლის ლექციებს იხსენებს კლასიკური (საბერძნეთისა და რომის) ლიტერატურაზე. სხვათა შორის, აკაკი განერელია 15 წლისა უკვე სტატიებს ბეჭდავდა, მაგ. ექსპერიმონიზმზე და სხვ თემებზე. შემდეგ იგი ამ წერილებს მონაფურ ვარჯიშობას უწოდებდა. 16 წლისა იგი უკვე ფურცულსტების კორპორაციის წევრი გახდა, საქართველოს მწერალთა ყრილობის დელგატიც ამ ასაკში იყო. ამავე ასაკში ინტერესდება იგი ფორმალნიზმით და პოეტიკის საკითხებით. 19 წლისა პირველ მოხსენებას კითხულობს ქართული ლექსის რიტმიკაზე.

მთა იათაშვილი

კომიკურობა და პარადოქსულობა, როგორც ენდი უორჰოლის სტრატეგია



“ენდი უორჰოლის ფილოსოფია” (რომანი),
მთარგმნელი თამარ სუბელიანი,
“სულაკაურის გამომცემლობა”, 2018.

ეს ნიგნი ორჯერ ვიყიდე. თავდაპირველად, მისი შექენიდან რამდენიმე დღეში ჩემს მეგობარს, და-თო ჩიხლაძეს დაბადების დღე უჭონდა. რომ დავფიქრდი, რა მეჩუქებინა, გულმა მითხრა, რომ ყველაზე მეტად ეს ნიგნი მოუხდებოდა. და არც ჩამეხედა შიგ, ისე წავუღე. მერე ტაქსიში რომ ვისხედით, იუბილარი საჩუქარს ათვალეირებდა, ნახე, ნახე, რაებს ამბობსო, - ბუტბუტებდა გახალისებული და შიგადაშიგ რაღაც ფრაზებს მიკითხავდა. მეორედ მაისში, ნიგნის ფესტივალზე ვიყიდე. უთვალავი ნიგნის ერთდროულად დანახვა, ალბათ, როგორც ყველას, მეც ძალიან მაბნევს. მეკარგება ობიექტური აღქმა იმისა, ამჟამად რა უფრო მჭირდება თუ მინდა. გარეგნული ეფექტები და ემოციური ფაქ-

ტორები ამ დროს მეტისმეტად მოქმედებს. მაგრამ რაღაც მომენტში გამომცემლობათა უღვევი პროდუქციით გარშემორტყმული და გზაკვალარეული გავჩერდი და საკუთარ თავს ჩავძახე: “დაფიქრდი, შოთა! შეიძლება მენ ახლა სულ ვერ ხედავ ამ ნიგნს, მაგრამ გინდა მისი ყიდვა. გაიხსენე!” და რამდენიმე წამში გონებაში ენდი უორჰოლის სახე ამომტივტივდა. ჰოდა, შევედი მეც “სულაკაურის გამომცემლობაში”, მოვძებნე ეს გაჩუქებული ნიგნი და თავიდან შევიძინე.

და მიუხედავად ასეთი მიზანმიმართულობისა, “ენდი უორჰოლის ფილოსოფია” ჩემი თვალსაწიერიდან კვლავ გაქრა, რადგან სახლში ახალმოტანილს ჩემმა ერთ-ერთმა გოგონამ დაავლო ხელი და გზაში საკითხავად ჩანთაში ჩაიტენა. უკვე თითქმის ალარც მახსოვდა იგი, რამდენიმე დღის წინ მაგიდაზე კვლავ გაჩენილს, თავისი ნითელი გარეკანით ჩემი ყურადღება ისევ რომ არ მიეპყრო.

და აი, ახლა, როგორც იქნა, ვკითხულობ ამ წიგნს და ცხოვრებით კმაყოფილი ვარ.

აი, უბრალოდ ასე. და იმიტომ, რომ ამ კმაყოფილების ძალას ეს უნიკალური არტისტი მიძღვეს თავისი გაურკვეველი ჟანრის თხზულებით, ჩემი გოგონა კი მოხიბვით თუ სულელურად გაღიმებულს რომ მხედავს ამ წიგნით ხელში, მიდასტურებს: ჰო, მეც სულ ეგრე მეცინებოდა, როცა ვკითხულობდი...

მაგრამ თუ შეხვიდეთ შეცდომამა: ეს არაა ჩვეულებრივი, არუნდაც ძალიან კარგი იუმორისტული წიგნი. ეს წიგნი ძალიან სხვა რამაა და ის იუმორიც, რომელიც მასშია, ძალიან სხვა სიღრმეებიდანაა წამოსული. იგი ცხოვრების თეორიულ შემადგენელ ნაწილებზე, ფენომენებსა თუ კარგად იუმორებულა და ასევეა დაყოფილი თავებდა: სიყვარული, სიღამაზე, სახელგანთქმულობა, მუშაობა, დრო, სიკვდილი, ეკონომიკა, ატმოსფერო, წარმატება, ხელოვნება და ა.შ. ესაა ფიქრები ამ საკითხებზე, ხშირად მეტისმეტად უცნაური და პარადოქსული, ხშირად ძალიან წრფელი და თანაც გარეგნულად უკიდურესად მიაშიტური და სასაცილო. ეს ენდი უორჰოლის სტრატეგიაა - ასეთი მიდგომით, აზროვნების ასეთი სხარტი სტილით და აქედან შექმნილი განწყობით უცნაური ეფექტი მოახდინოს - ურცხვად გადახსნას თქმა და მგრძობიარე გახადოს მკითხველი მის მიმართ, შეუქმნას ილუზია, რომ მსგავსი განცდები - ანუ რაღაც პირველადი, პრიმიტიული განცდები, აკვირებები, კომპლექსები, ნევროზები - მასშიც ტრიალებს...

ენდი უორჰოლისთვის ნებისმიერ "მარადიულ საკითხთან" მიმართება ასეთი ემოციების ნაკრებია. ამ ემოციებიდან იძივრება მისთვის საუკეთესოდ სიყვარულის თუ სიღამაზის, შრომის თუ წარმატების, დროის თუ ხელოვნების ფენომენი. აქედან ჩნდება ხედვის ის ახალი, ნოვატორული კუთხეებიც, რომლებითაცაა საერთოდ გამორჩეული მისი მრავალფეროვანი შემოქმედება. ადამიანური სისუსტეებისა და ბრწყინვალე აღქმების ზღვარზე ძვეს მისთვის ის მთავარი, რაც ასე რთულადაა ხოლმე მოსახლებული, და ეს თუ მოახერხებ რამენაირად და მოხელთე, უცებ რაღაც გადატრიალება ხდება შენში, ცნობიერება იხსნება, მზერა გამჭოლი ხდება, ყველაფერს სულიერების უცნაური მაღლი ევება.

ეს ყველაფერი კი უორჰოლთან კომიკურობიდანაა ამოზრდილი, ვინაიდან საგანთა არსი მისთვის კომიკური და თანაგრძობი თუ ჰიპერთანამედროვე ხედვაც მისთვის აქედან იბადება. და არა მხოლოდ მისთვის. ამ სიტუაციების აღწერისას იგი ბოლომდე გითრევს და გაიძულეებს, ინტერაქტიული გახდეს, გაჟვევს ამ სასაცილო ფიქრებს და უცებ საკუთარ ლიანდაგზეც გადახვიდე, შენებური კონსტრუქციების თუ სისტემის აწყობა დაიწყე, შენებურად დაინახო ის სამყაროსული დინამიკა, რომელიც კომიკურ აზრებს თანდათანობით გენიალურ ხედვად გარდაქმნის ხოლმე.

თუ წიგნის სტრუქტურაზე ვილაპარაკებთ, იგი საკმაოდ მარტივია. "ენდი უორჰოლის ფილოსოფიის" თავები ორი ტიპისაა. უფორი ან მონოლოგის რეჟიმში ლაპარაკობს რომელიმე ფენომენზე, ანდა

დილოგის. დილოგისთვის მას ჰყავს მეგობარი ინციალიტი ბ. ეს ბ ერთი ადამიანია არაა. სხვადასხვაგან სხვადასხვა ბ-ები ჩნდებიან, თავიანთი ხასიათებით, ახირებებით, ინტერესებით. ყოველი ბ კონკრეტულ მომენტში კარგ პარტნიორობას უწევს ე-ს, ანუ ენდის, და თავისი ქცევებით თუ მოსაზრებებით ენმარება თავისი გასსნაში (თუ გადასზრებით თითქმის ყოველ თავს ეპიგრაფადაც ე-ს და ბ-ს და ალოგის ფრაგმენტი უძღვის წინ ან რომელიმე მათეგანის ფრაზა. ერთი სიტყვით, ამ წიგნში არის საკმაოდ ბევრი ბ, ერთი ე, და კიდევ უთვალავი ნივთი. და თუ ამ ნივთებს შორის რომელიმეს გამოირჩევს მოვისურვევები, ეს, ალბათ, იქნება დიქტორონი, რომელზეც ენდი, როგორც თავად ამბობს, "დაქორწინებულია". დაქორწინებული კი იმიტომ, რომ მისთვის ეს სამყაროს შემცვენების ყველაზე უტყუარე გზაა: ინერდეს იმას, თუ რას ლაპარაკობენ ადამიანები. და მერე შლიდეს. ინერდეს და შლიდეს, ინერდეს და შლიდეს... რადგან ის tabula rasa-ს ცტრფის, უყვარს ცარიელ დაფაზე ჭეშმარიტებების წერა და ასეც სწამს, რომ ყოველ იყოს. წაშლა მთავარი იმპულსია მისთვის. როცა რაღაც იშლება, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ახალი უნდა დაიწეროს, დაიხატოს, გაკეთდეს... ამიტომ, რომ მას უყვარს ცარიელი სივრცეები, ყოველგვარი ზედმეტის თავიდან მოშორება, გარემოს სისუფთავე.

როდესაც ენდი უორჰოლი მივლი ამ ზემოთაღწერილი საკუთარი "ფილოსოფიის" ამუშავებას იწყებს, უკვე აღარა ექვს მნიშვნელობა, თუ რას გელაპარაკება იგი. მას შეუძლია გიყვებოდეს, თუ როგორ მიდის ბ-სთან ერთად საცვლებებისა და ნივთების შესაქმნელ, მაგრამ ეს გამძაფრებული აღქმების და სისარული სამყარო იქნება, როდესაც ყოფითი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტაყოფით ხდება, რაღაც ახალ განზობილებებს იძებს, ადამიანის ბუნებაში ღრმად გახედვებს. მას შეუძლია შიგვერდის განმავლობაში აღწერდეს, ტელეფონზე ჩამოკიდებული მორიგი ბ ისტერიულად როგორ უყვება იმის შესახებ, თუ როგორ წმენდს ის მტვერს, ყრის ნავაფს მა იბანს ტანს, მაგრამ ეს ტრანსანს გასვლასავით იყოს, ეს ადამიანის ხასიათის კიდევ ერთ ამოცნობას, მის ინტიმურ და ფსიქიკურ სამყაროსთან ძალიან ახლოს მისვლას წარმოადგენდეს.

თუკი ვაწარმოებ მაინც განვმარტავთ, "ენდი უორჰოლის ფილოსოფია" ავტობიოგრაფიული წიგნია, და ამ მხრივაც სანიმუშო, რადგან ხელოვნურ ასე დაუფარავად გამოჰქონდეს სააშკარაზე თავისი სისუსტეები, მანიები, შიშები და მერე ამ ყველაფერს ისეთ მატერიალ ხარშავდეს, რომელიც კონკრეტულად და სამყაროს აღქმის მოდელის მომცემია, მე მგონია, რომ ძალიან დიდი იმპოტობაა და ამიტომ, ეს წიგნი დაზოგეთათაა წასაკითხი. უკან მიბრუნებებით. პაუზებით. რადგან, დამიჯერეთ, ამ პაუზებს შორის თქვენი გონება განათდება ხოლმე და "ჭეშმარიტების მომენტს" იგრძობთ. და თანაც სისარულით გულში, პირზე ღიმილით. და ამიტომ ღირს მისი ორჯერ შექმნა. იქნებ სამჯერაც. მთავარი, რამდენჯერაც ამ უნდა გააჩუქეთ იგი ან დაგეკარგეთ, ბოლოს მაინც ჩაიგდეთ ხელში და ნაიკითხოთ.


**წლის საუკეთესო
ლიტერატურული დებიუტი:**

მარიამ გურგენიშვილი
„მარგალიტები“



**წლის საუკეთესო
პროფაული კრებული:**

რატი რატიანი
„მკვლელობა სადგურის უბანში“



წლის საუკეთესო რომანი:

გიორგი ხარაიშვილი
„ბნელია გზა - კირვალყოფილი
წყვდიადი“



**წლის საუკეთესო
ქართული თარგმანი**


თამარ ჯაფარიძე
ბერნარდინ ევარისტო
„გოგონა, ქალი და სხვა დანარჩენი“



პრემია „საბას“ ფინალისტიები



საუკეთესო პროზაული კრებული




საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა



საუკეთესო ქართული თარგმანი




საუკეთესო რომანი



„ხვლიკი საფლავის ქვაზე“ ქართველი მწერლის, არჩილ ქიქოძის ახალი რომანია, რომელშიც წარსულისა და აწმყოს, გახსენებისა და დავიწყების, სიკვდილისა და სიცოცხლის მარად აქტუალური და წინააღმდეგობით სავსე დაპირისპირებაა ასახული.

საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი



საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი



სულაკაური
ბაგომცხეაძის

